



ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება

ოს (სამხრეთ ოსეთი) გავლევართა სტატიების კრებული

2011



ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდოხო გზის ძიება

ოს (სამხრეთ ოსეთი) მკვლევართა სტატიების კრებული

2011

წინამდებარე ნაშრომის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ფონდისა და ორგანიზაციის მხარდაჭერით, მათ შორის აღსანიშნავია ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის სამშვიდობო ფონდი.

პროექტის კოორდინატორი: კოსტა ძუგაევი
რედაქტორი: სიუზენ ალან ნანი
ტექნიკური რედაქტორი: არტიომ მელიქ-ნუბაროვი
ტირაჟი: 250

© ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტი,
ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი,
ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრი „საინფორმაციო რესურსები“

შინაარსი

წინასიტყვაობა სიუზენ ალენ ნანი	4
ოსური (სამხრეთ ოსეთის) კრეპულის წინასიტყვაობა კოსტა ძუგაევი.....	5
სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია ბათრად ხარებოვი.....	6
ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადაწყვეტის ზოგიერთი ასპექტი ქართულ-ოსური ურთიერთობების ჭრილში მერაბ ჩიგოევი.....	39
ლენინგორის რაიონი: პოლიტიკური თავისებურებანი, დემოგრაფიული მასხასიათებლები, ეკონომიკა, სსსაზღვრო პრობლემები მარია კოტაევა.....	59

წინასიტყვაობა

აქ წარმოდგენილი ნაშრომების ორი კომპლექტი იმ იდეის ნაყოფია, რომელიც თავის დროზე შეიძლება გიჟურადაც კი მოგჩვენებოდათ. წინასიტყვაობის გარეშე მკითხველმა ეს წიგნი შესაძლოა შიზოფრენიის გამოვლინებად მიიჩნიოს. აიღებს რა ხელში ამ წიგნს, მკითხველი ქართველი მკვლევრების სამ სტატიას აღმოაჩენს, ხოლო როცა გადაატრიალებს — ოს (სამხრეთ ოსეთიდან) მკვლევართა სამი სტატია შერჩება ხელში. სხვა თვალსაზრისის გასაცნობად მკითხველმა თითქოს სივრცითი ორიენტაცია უნდა შეცვალოს. თითოეულ თავში გამოყენებულია განსხვავებული ტერმინოლოგია; ერთ თავში გამოთქმული მოსაზრება ეწინააღმდეგება სხვა თავში ჩამოყალიბებულ მიდგომას.

ეს ყველაფერი თავდაპირველი იდეის კონტექსტში იძენს აზრს, როცა კეთილი განზრახვებით აღჭურვილი ადამიანები ნდობის აღდგენის გზების ძიებას შეუდგენენ. საკითხი ასე დაისვა: შესაძლებელია თუ არა გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ მკვლევრებს შორის ხიდის გადგმა და მათი ნაწილებით პოლიტიკოსებისთვის ხელის შეწყობა? მსგავსი წამოწყებები ნდობის აღსადგენად თითქმის უიმედოდ გამოიყურებოდა, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებიდან მალევე მოხერხდა მშვიდობისათვის მოღვაწე სამოქალაქო აქტივისტების შეკრება პროექტ „თვალსაზრისის“ ფორმატში. ამ დროიდან მოყოლებული მე მათებს ორივე მხარის წარმომადგენელთა მოქნილობა, მონდომება და შორსმჭვრეტელობა — მათ სურთ დაამყარონ სტაბილური მშვიდობა, რათა ქართველი და ოსი ბავშვები უსაფრთხო გარემოში გაიზარდონ. 2010 წლის ოქტომბერში, ქ. სტამბოლში გამართული „თვალსაზრისის“ პროექტის შეხვედრის მსვლელობისას, კოსტა ძუგაევმა და არჩილ გეგეშიძემ ამ იდეის ხორცშესხმა გადაწყვიტეს. თქვენ ხელთ არსებული წიგნი იმის დასტურია, რომ მათ ეს შეძლეს.

მკვლევართა ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდა, თუმცა გარკვეული კოორდინაციის რეჟიმს ინარჩუნებდა. სწორედ ამ გარემოებამ უზრუნველყო სრულიად განსხვავებული სტატიების ერთ წიგნში თავმოყრა. სტამბოლში ერთობლივი მსჯელობის შემდეგ მკვლევართა ამ ორმა გუნდმა კვლევის სხვადასხვა პრიორიტეტი დაისახა, რაც თითო ჯგუფიდან წარმოდგენილ სამ-სამ სტატიაში გამოვლინდა კიდევ. ორივე ჯგუფი ისეთი თემების ძიებით დაკავდა, რომლებიც, ავტორთა აზრით, ორივე მხარის პოლიტიკოსებს კონსტრუქციულ დახმარებას გაუწევდა. თითოეულმა მკვლევარმა საკუთარი კვლევა დამოუკიდებლად აწარმოა. ჩემი რედაქტორული როლი შეზღუდული იყო და კვლევების შინაარსს არანაირად შეხებია. თანაც, „შავი“ ვერსიების მომზადების შემდეგ ავტორები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ქ. სტამბოლში და იქ გამართული განხილვის შედეგად მათი სტატიები უფრო დაიხვეწა.

მკითხველი უმალ შეამჩნევს: ავტორები შეთანხმდნენ, რომ ვერ თანხმდებიან ტერმინოლოგიის თაობაზე. იმას, რაც ქართველი ავტორისთვის არის „საკუთრივ საქართველო“, ოსი ავტორი „საქართველოდ“ მოიხსენიებს; ის, რასაც ოსი ავტორი „მთავრობას“ უწოდებს, ქართველი ავტორისთვის „ხელმძღვანელობაა“. განსხვავებულია როგორც გეოგრაფიული სახელწოდებების, ისე გადაადგილებულ პირთა მიმართ მიდგომა: ქართველი ავტორები მათ ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებს უწოდებენ, ოსები კი — იძულებით გადაადგილებულ პირებს ან ლტოლვილებს. სიტყვა „საზღვარი“ ასევე სხვადასხვანაირ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ოსები მას სახელმწიფოთაშორის საზღვრად მიიჩნევენ, ქართველები კი — ადმინისტრაციულ საზღვრად.

მოცემული პროექტი რაიმე სტანდარტული ტერმინოლოგიის დამკვიდრებას არ ესწრაფვის; მისი მიზანი ნდობის აღდგენის პოტენციალის მატარებელი სფეროების გამოვლენაა, გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ მკვლევრებს შორის კომუნიკაციის ხიდების აგება და პოლიტიკოსათვის ხელის შეწყობა რელევანტური ნაშრომების შექმნით იმ საკითხებზე, რომლებიც წლების მანძილზე თვალთახედვის მიღმა რჩებოდა.

ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა კოსტა ძუგაევისა და არჩილ გეგეშიძის, ასევე, ყველა ავტორისა და მთარგმნელის საქმისადმი ერთგულება. იგივე შეეხება იმ თანამშრომლებს, ვინც ორი განცალკევებული პროექტის კოორდინირებას ახდენდა და, საბოლოო ჯამში, ნაშრომების ერთ ყდაში გამოცემა უზრუნველყო.

ვიმედოვნებ, რომ ყოველი მკითხველი თითოეულ თავში რაიმე ფასეულს იპოვის მაშინაც კი, როცა ავტორთან შეკამათების სურვილი აღეძვრება. დღევანდელი გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს არსებული არგუმენტების გასაგებად, უპირველეს ყოვლისა, ამ არგუმენტების ცოდნაა საჭირო. სტატიების ორი კომპლექტი გამიზნულია, რომ სწორედ ამ მიმართულებით გადადგმულ პატარა ნაბიჯად იქცეს.

პროფ. სიუზენ ალენ ნანი

ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტი,
ჯორჯ მელსონის უნივერსიტეტი (აშშ)

ოსური (სამხრეთ ოსეთის) კრეზულის წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული, წარმოდგენილი დაინტესებული პირებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ, არის 2008 წლის აგვისტოს ქართველებისა და ოსების შეიარაღებული შეტაკებების შემდგომ პერიოდში გამოსული ამ ტიპის პირველი პუბლიკაცია.

ომის შემდეგ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ჰუმანიტარული კონტაქტები, ჩვეულებრივ, დიდი ხნით ფერხდება. ამდენად, განსაკუთრებით სასიამოვნოა ჯ. მეისონის ამერიკული ინსტიტუტის კონსტრუქციული შუამავლობა, რომ ქართულ და ოსურ სამეცნიერო საზოგადოებებს შორის მაინც შედგეს გარკვეული შინაარსის დიალოგი.

პროფესორმა სიუზან ალენ ნანმა პროექტის მონაწილეებს მუშაობის საკმაოდ თავისუფალი ფორმატი შესთავაზა, ეს შეეხო თვით საექსპერტო ანალიზის თემების შერჩევასაც. მხარეებმა ერთმანეთს მხოლოდ საკუთარი სტატიების სახელწოდებები აცნობეს, ერთმანეთის სტატიები კი წაიკითხეს სტამბოლში სამუშაო შეხვედრისას და გაიგეს ამ სტატიათა შინაარსი.

სამხრეთოსურმა მხარემ განხილული თემებიდან სწორედ ის სამი აირჩია, რომლებიც წინამდებარე კრებულში საექსპერტო კვლევების სახით შევიდა. საინტერესოა, რამ განაპირობა ასეთი არჩევანი.

ცხადად ჩანს, რომ ლენინგორის (ქართულად — ახალგორის) რაიონის პრობლემათიკის მიმართ მკვეთრად გამოხატული, აქცენტირებული ინტერესი არსებობს. ლოგიკური იყო, რომ ამ თემაზე სწორედ იმ ადამიანს დაენერა, რომელსაც ამ რაიონში ჩასვლა და ყოფნა არა მარტო ნათესაური კავშირებისა და საქმის, არამედ სამსახურეობრივი მოვალეობების გამოც ხშირად უხდება. ასეთი ავტორია ჩვენ მიერ მოწვეული მარია კოტაევა, პროფესიონალი ჟურნალისტი, რომელსაც ლენინგორის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია აქვს. თემა, რომელზეც წერდა, მისთვის საკმაოდ ნაცნობია და მხოლოდ დაზუსტებული ცნობების შეკრებალა დასჭირდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მარიას რაიონის მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს და, ამდენად, კარგად იცნობს არა მარტო იქაურ ადმინისტრაციულ-მმართველობით სპეციფიკას, არამედ რაიონის როგორც ქართული, ისე ოსური მოსახლეობის საზოგადოებრივ განწყობილებებს.

ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების რთულ და მძიმე პრობლემაზე მუშაობას დაგვთანხმდა მერაბ ჩიგოვეი — ამჟამად პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე. ამ შემთხვევაშიც ექსპერტს კვლევის ჩატარებაში თანამდებობრივი მდგომარეობა (ასევე — მისი სამსახურეობრივი ბიოგრაფია) დაეხმარა.

დაბოლოს, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაციის ძირითადი საკითხები წარმოადგინა ბათრად ხარებოვმა — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსმა, რომელსაც საჭირო მონაცემებზე მიუწვდებოდა ხელი.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე კრებული საშუალებას მისცემს მხარეებს, მეტი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ და, რაც მთავარია, იქცევა პრეცედენტად მხარეთა სამოქალაქო საზოგადოებების შემდგომი კონსტრუქციული ურთიერთქმედებისთვის. ეს მნიშვნელოვანია, რათა გაიმართოს ახალი დიალოგი, რომელიც მოემსახურება ამ ერების ძირითად სასიცოცხლო ინტერესებს, ერებისა, რომელთაც ერთმანეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ.

კოსტა ძუგაევი
პროექტის კოორდინატორი

ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრის
„საინფორმაციო რესურსები“ დირექტორი
ცხინვალი, 2011 წლის ივნისი

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია

ბათრად ხარებოვი

სსრკ-ის დაშლამ მისი ყველა შემადგენელი წარმონაქმნი კრიზისულ მდგომარეობაში მიიყვანა. ეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ შემადგენლებს შეეხო. თუკი ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა, რომლებმაც თავი სუვერენულ სახელმწიფოებად გამოაცხადეს, ახალი რეალობიდან გამომდინარე შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიება და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შენება დაიწყეს (წარმატების სხვადასხვა ხარისხით), ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები — ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ნაციონალური „ოკრუგები“ — გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი უმრავლესობა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების, ან უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების, შემადგენლობაში დარჩა. ზოგმა თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტატუსის ამალღებას მიაღწია, რასაც ახალი მეტროპოლიების ახალი ხელმძღვანელობა მაინცდამაინც არ შენინააღმდეგებია.

უფრო რთულად იყო საქმე საქართველოს შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან, ასევე აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით. ეს ნაციონალური რესპუბლიკები, ოდესღაც ძლივამოსილი სახელმწიფოებრივი მონოლითის ნანგრევებზე რომ აღმოჩნდნენ, პრაქტიკულად მათზე გავლენადაკარგული ცენტრის მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, სხვებზე უფრო მძიმე მდგომარეობა შეექმნათ. თავისი „უფროსი“ ძმების მაგალითით, სამხრეთ ოსეთმა საკანონმდებლო გზით, ყველა დონის სახალხო დეპუტატების გადარჩევილებით, 1990 წლის 20 სექტემბერს საკუთარი სტატუსი აამაღლა და ავტონომიური ოლქის ნაცვლად ჯერ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა უწოდა თავის თავს, შემდეგ კი — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. საქართველოს (სადაც ხელისუფლებაში ნაციონალისტები მოვიდნენ, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ აშენებდნენ მონონაციონალურ სახელმწიფოს, სადაც პოლიტიკა მიმართული იყო ეროვნული უმცირესობების განდევნასა და ასიმილაციაზე) შემადგენლობაში დარჩენის სურვილის არქონის შესახებ გაცხადდა ეროვნული სუვერენიტეტის შესახებ მიღებულ დეკლარაციაში. ამის საპასუხოდ საქართველოს უმაღლესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია, რასაც სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია მოჰყვა¹.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამხრეთ ოსეთი ორმაგი დაქვემდებარების ადმინისტრაციული წარმონაქმნი იყო. მას ჯერ რესპუბლიკური, შემდეგ კი საკავშირო ცენტრი აკონტროლებდა. ეს პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სირთულეებს ქმნიდა. სწორედ რომ ცენტრებს უნდა გადაეწვიტათ, სამეურნეო მშენებლობის რომელი სფერო უნდა წაწეულიყო წინ, მეურნეობის რომელი დარგი უნდა განვითარებულიყო. ამასთან, ადგილობრივი თავისებურებები, მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები, შიდა რესურსები ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ამგვარი არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკით ეკონომიკა ცალმხრივად, არასაკმარისი ტემპებით ვითარდებოდა, უმეტესწილად იყო ზარალიანი, ხოლო დასახული პროგრამები რეალურ შედეგებსა და პესპექტივებს ვერ უზრუნველყოფდნენ².

შედეგად, წინა საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს სამხრეთ ოსეთი საქართველოს ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონად მოგვევლინა. არსებითად იგი სანედლეულო დანამატად გადააქციეს. მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის ორ პროცენტს შეადგენდა, იქ მთლიანი შიდა პროდუქტის

¹ *Конфликты в Абхазии и Южной Осетии. Документы 1989-2006 гг.* М. 2008.

² *Советская Юго-Осетия. Цх.* 1975.

მხოლოდ 1,2 პროცენტს აწარმოებდნენ და მის წილად რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 1,5 პროცენტი მოდიოდა. ეროვნული შემოსავლის წარმოების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ოლქში საშუალო-რესპუბლიკურ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მხოლოდ 60,4 პროცენტის ტოლი იყო. ინდუსტრიული განვითარების დონე ძალიან ნელა იზრდებოდა, ოლქი ჯერ კიდევ აგრარულ-ინდუსტრიულად რჩებოდა. სამხრეთ ოსეთში ერთ სულ მოსახლეზე 42,7 პროცენტით ნაკლებ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებდნენ, ვიდრე საშუალოდ მთელ რესპუბლიკაში. თავად ოლქის სოფლის მეურნეობა, იმდროინდელი ანგარიშების მიხედვით, სავალალო მდგომარეობაში იყო. ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ რესპუბლიკა ოლქისგან ხარკის გადახდას მოითხოვდა. სამხრეთ ოსეთს ცენტრისთვის, მეზობელ ქართულ რაიონებთან შედარებით, ხორცი, ყველი, მატყლი, კარტოფილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტი 1,5-2-ჯერ მეტი უნდა მიეწოდებინა, რაც ადგილობრივი რესურსების გამოფიტვასა და თვით მეურნეობის დეგრადაციას იწვევდა. ყველაფერი ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე პირდაპირ აისახებოდა. 80-იანი წლების დასასრულს სამხრეთ ოსეთში საშუალო თვიური ხელფასი ყველაზე დაბალი იყო საქართველოში – 148 მანეთი (საქართველოში — 186 მანეთი, ხოლო სსრკ-ში — 220 მანეთი)³.

მიუხედავად ასეთი გაჭირვებული მდგომარეობისა, სპეციალისტები სამხრეთ ოსეთიდან ქმნიდნენ პროგრამებს, სადაც სრულად იყო გათვალისწინებული ადგილობრივი სპეციფიკა, ბუნებრივი და შრომითი რესურსები, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის შესაძლებლობები. მათი მთლიანად შესრულებით შეიძლებოდა სამხრეთ ოსეთი საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებლებს მიახლოებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ორმაგი დაქვემდებარების რეგიონს წარმოადგენდა. აქ საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოები იყო განთავსებული: კვანსას ტყვიისა და ცინკის საბადო, ქარხნები – „ელექტროვიბრომაშინა“ და „ემალპროვოდი“, რესპუბლიკური დაქვემდებარებისა კი — „საქტალკი“, სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკები, ავტობუსშემკეთებელი და საავიაციო ქარხნები და სხვა საწარმოები. ასევე აქ იყო ადგილობრივი მრეწველობის ობიექტები. ოლქიდან გადიოდა სამშენებლო მასალები, ხე-ტყე, მინერალური წყლები. ტრანსკავკასიური მაგისტრალი სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთთან პირდაპირ აკავშირებდა. გაზსა და ელექტროენერგიას საქართველო აწვდიდა. სოფლის მეურნეობას სახელმწიფო სტრუქტურები ეწეოდნენ (კოლმეურნეობებს საბჭოთა მეურნეობები ჩაენაცვლა).

სავსებით შესაძლებელია, რომ შიდა რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და საკავშირო და რესპუბლიკური ცენტრების მხრიდან ქმედითი მხარდაჭერის შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკას შანსი ჰქონოდა გამხდარიყო რენტაბელური, მზარდი და პერსპექტიული. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ დასახული პროექტები მთლიანად ჩაშალა. უპირველესად, გეგმური ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობებით შეიცვალა, რისთვისაც სამხრეთ ოსეთი აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ეს პროცესი უარყოფითად აისახა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მისი შედეგები იგრძნობა ახლაც, ხოლო ყველაზე უფრო მან ეკონომიკურად დაუცველი, მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები დააზარალა. სამხრეთ ოსეთის მრეწველობა განადგურების პირას აღმოჩნდა; საწარმოო ურთიერთობები სრულიად მოიშალა; გასაღებისა და მომარაგების პრობლემა ძნელად გადასაჭრელი გახდა. დაფინანსების არქონამ ფაბრიკებისა და ქარხნებიდან მუშახელის, განსაკუთრებით — კვალიფიციურის, მასობრივი გადინება გამოიწვია.

საბჭოთა პერიოდში მრავალი სამეურნეო ობიექტი სხვადასხვა მიზეზით იყო არარენტაბელური. იმისათვის, რომ საწარმოები არ გაჩერებულიყო და მოსახლეობას სამსახური არ დაეკარგა, ისინი სახელმწიფოს დოტაციაზე იყვნენ. ახალ პირობებში ეს შეუძლებელი გახდა. ამას გარდა, ბაზრის პირობებში სამხრეთ ოსეთის საწარმოების პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა.

³ Харебов Б.К. *Проблемы народонаселения Южной Осетии*. Цх., 1990.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკას ძირითდი დარტყმა 1991–1992 წ.წ. სამხედრო აგრესიამ მიაყენა. სირთულეები ჯერ კიდევ 1989 წელს დაიწყო, როცა სეპარატიზმის იდეით შეპყრობილი მოკავშირე რესპუბლიკები ნაციონალურებად გადაიქცნენ, რასაც მოჰყვა ყველა პრობლემური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და კულტურული შედეგი. იქიდან მოყოლებული სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი მიმდინარეობდა, ტარდებოდა პროპაგანდისტული აქციები, იღებდნენ ანტიხალხურ სამთავრობო გადაწყვეტილებებს, ეროვნული უმცირესობების უფლებების შემზღუდავ საკანონმდებლო აქტებს. დროთა განმავლობაში ყველაფერი ეს ძალადობრივ ქმედებებში გადაიზარდა – ადამიანების მოტაცება, სახლების დანვა, პირუტყვის მოპარვა, ქონების მიტაცება, გზების ბლოკირება. ეს კი სამეურნეო განვითარებას არანაირად არ უწყობდა ხელს; პირიქით — მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტივას სპობდა.

90-იან წლების სამხედრო აგრესიის დროს სამხრეთ ოსეთისთვის მიყენებული ზარალი უზარმაზარია. 117 ოსური სოფელი მთლიანად გაიძარცვა და დაინვა, ცხინვალის საცხოვრებელი ფონდის 15 პროცენტი დაზარალდა; დაინგრა გზები და ხიდები, გაიტაცეს პირუტყვი, ოლქიდან ეზიდებოდნენ არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო ქონებასაც – დაზგა-დანადგარებს, საქონელს, სატრანსპორტო საშუალებებს, სამშენებლო მასალებს, მოკლედ, ყველაფერს, რასაც რაიმე ღირებულება ჰქონდა ჯართის, ლიანდაგების, ელექტროგადამცემი მავთულებისა და ხე-ტყის ჩათვლით. 1992 წლის საერთო ზარალმა 1,4 მილიარდი მანეთი (რუბლი) შეადგინა⁴.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ზარალი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, მის შრომით რესურსებს მიაღვა. 1989-1992 წლებში თითქმის 1000 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის უმეტესობა — ბავშვები, ქალები და მოხუცები. 2000-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა და დასახიჩრდა. დღემდე ათობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — დანარჩენ საქართველოში მცხოვრები 100 ათასზე მეტი ოსი იძულებული გახდა ჩრდილოეთ ოსეთისთვის და რუსეთის სხვა რეგიონებისთვის შეეფარებინა თავი. მათი უმრავლესობა უკან აღარ დაბრუნებულა⁵.

1992 წლის ივლისში, სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანის შემდეგ, უსაფრთხოებასთან ერთად რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობის აღდგენით დაკავდა. აქ უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელთა ახალ პირობებში გადაწყვეტა შეუძლებელი ჩანდა. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო (ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ელექტროსატრაქტორო დანადგარების შემკეთებელი ქარხანა, საავიაციო და ქიმიური ქარხანა) იმდენად დაზარალდა, რომ მათ აღდგენაზე საუბარიც აღარ იყო; სხვა ქარხნებისთვის („ელექტროვიბრომაშინა“, „ემალპროვოდი“, მექანიკური ქარხანა) პროფილის შეცვლა გახდა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ხის გადამამუშავებელი ქარხანა და რძის ქარხანა პროდუქციას უწინდებურად უშვებდნენ, მათ ბევრი საწარმოს გაუქმება მოუწიათ. დღემდე დღის წესრიგში დგას სამკერვალო ფაბრიკის, ავტობუსშემკეთებელი, საკონსერვო ქარხნის, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნისა და ხორცკომბინატის აღდგენა, მათი საქმიანობის მცირეოდენი კორექტირებით.

ცალკეა კვაისას ტყვიისა და ცინკის საბადოს მუშაობის აღდგენის საკითხი. იმისათვის, რომ საწარმო სრული დატვირთვით ამუშავდეს, აუცილებელია მალარობიდან წყლის ამოტუმბვა, უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნიკის, დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, მისასვლელი გზების შეკეთება, გამამდიდრებელი ფაბრიკის ამოქმედება, სპეციალისტების მოწვევა და ადგილობრივი კადრების მომზადება. თუმცა, მთავარია

⁴ Кочетков А., Мартынов А., Пискорский М. *Южная Осетия. Вооружённая агрессия и миротворческая война*. М., 2009

⁵ იქვე.

ინვესტორების მოზიდვა, საწარმოო ურთიერთობების აწყობა, გასაღების ბაზრის პოვნა⁶.

ბევრი პრობლემაა სოფლის მეურნეობაშიც. სამხედრო მოქმედებების, დაუცველ სოფლებზე ქართული სპეცნაზისა და სხვადასხვა ბანდიტური ჯგუფის რეგულარული თავდასხმების, გზების ბლოკირების, რის გამოც მოშორებული დასახლებული პუნქტები პროდუქტებისა და სიცოცხლისთვის აუცილებელი საგნების გარეშე რჩებოდნენ, გამო მრავალი ოსური სოფელი სრულიად დაიცალა მოსახლეობისგან. გატაცებული საქონელი, მიტოვებული სავარგულები, დანგრეული ფერმები, დამწვარი სახლები, გაპარტახებული ბაღები – ასეთ ვითარებაში მოსახლეობის დაბრუნება დიდ პრობლემას წარმოადგენს. გასაკეთებელი ბევრია: პირველ რიგში, ადამიანებმა თავი უსაფრთხოდ უნდა იგრძნონ, უნდა ჰქონდეთ გარანტირებული შემოსავალი, უნდა აღდგეს საცხოვრებელი ფონდი, დაიგოს გზები, აღდგეს ელექტროგადამცემი ხაზები და სატელეფონო კავშირი, აშენდეს სკოლები, სამედიცინო პუნქტები, კულტურის ობიექტები, გამოიყოს სახსრები პირუტყვის, სათესი მასალების, სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად. აქ ჩამოთვლილის უმეტესობას ითვალისწინებდა და ახლაც ითვალისწინებს ფერმერული მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ განსახორციელებელია.

გარედან დახმარების გარეშე აღდგენა შეუძლებელი იყო. 90-იანი წლების რუსეთი შიდა პრობლემებით იყო დაუძღვრებული, მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებითვის, ბუნებრივი რესურსების კერძო გადანაწილება, აქტივების ძარცვა, ჩერდებოდა საწარმოები. რუსეთი საერთაშორისო ავტორიტეტსა და დიდი წვალეებით მოპოვებულ პოზიციებს კარგავდა. ასეთ პირობებში ის დახმარებას თავად საჭიროებდა.

სამხრეთ ოსეთში სხვადასხვა ჯურის მენარმეები და ბიზნესმენები ჩავიდნენ. ერთნი ჰუმანიტარულ დახმარებას უწევდნენ, მეორენი სახსრებს საგამომცემლო საქმიანობასა და სხვადასხვა კულტურულ პროგრამაში აბანდებდნენ. იყვნენ ისეთები, ვინც სხვადასხვა სამეურნეო ობიექტით დაინტერესდა და სახსრების დაბანდებისთვის მზადყოფნას გამოთქვამდა. ზოგი მათგანი აბანდებდა კიდევ, თუმცა ეს ერთჯერადი აქციები შედეგის მომტანი არ აღმოჩნდა, ხშირად ძალისხმევა ფუჭი იყო.

ამასთან, ინვესტორები გარანტიებს, საგადასახადო შეღავათებსა და საკანონმდებლო ბაზის გამართვას ითხოვდნენ. ეს ყველაფერი კი იმ პერიოდში სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რაც ეკონომიკურ აღორძინებას ხელს უშლიდა. სირთულეები უსაფრთხოების მხრივაც არსებობდა. ცხინვალის ქართული ანკლავებით იყო გარშემორტყმული, საიდანაც ისროდნენ, იგზავნებოდა დივერსანტები, ეწყობოდა პროვოკაციები და დაშინების აქტები. გზები მუდმივად იკეტებოდა, ადამიანებს და ტვირთებს აკავებდნენ. ნებისმიერ დროს შეიძლება შემწყდარიყო გაზით, წყლითა თუ ელექტროენერგიით მომარაგება. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იმის ნაცვლად, რომ კეხვი-ცხინვალის 10 კმ.-იანი გზატკეცილით ესარგებლა, უხდებოდა შემოვლითი, ნაკლებად გამოსადეგი 30-კმ.-იანი ზარის გზით გადაადგილება.

დიდი გარჯის ფასად ამუშავდა ზოგიერთი საწარმო, რომელთა შორისაა „ემალპროვოდი“, „ელექტროვიბრომაშინა“, მექანიკური ქარხანა, ხის კომბინატი, მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა „ბაგიათა“. ამათგან, მხოლოდ ამ უკანასკნელს მოაქვს სტაბილური შემოსავალი; დანარჩენი კი 90-იანი წლების ბოლოსთვის თავისი სიმძლავრის მხოლოდ 10-20%-ზე თუ გავიდნენ. ზოგი საამქრო დროებით დაიხურა, ხოლო თვით საწარმოებს პროფილი შეეცვალათ. მაგალითად, „ემალპროვოდის“ ქარხანამ პლასტიკატის პროდუქციის გამოშვება დაიწყო (ჭურჭელი, მილები), „ელექტროვიბრომაშინამ“ – შეშის ღუმლების, ურნების, ავზების. ზოგ ქარხანაში სადურგლო საამქროები გაიხსნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იქვე საფლავის ქვების დამზადებაც დაიწყო.

სოფლის მეურნეობაში საქმე კიდევ უფრო რთულად იყო. იმის გამო, რომ მეურნეობის კუთვნილი პირუტყვი გაიტაცეს ან დახოცეს, ხოლო ფერმები გადაწვეს ან

⁶ Цховребов И. Н. *Квайса – гордость Юго-Осетии*. Цх., 1990.

დაანგრის, მეცხოველეობა მთლიანად გაპარტახდა. რაც შეეხება კერძო ნახირს, მასაც მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. შესამჩნევად შემცირდა სათესი ფართობები. პრაქტიკულად აღარ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასუქის შემოტანა შეწყდა. გაიცემოდა სახსრები სათესლე მასალის შესაძენად, თუმცა ამას ეკონომიკური ეფექტი არ ჰქონია.

გზები, ხიდები, სარწყავი ნაგებობები რემონტს საჭიროებდნენ. საქალაქო სატელეფონო კავშირი იმდენად დაზიანდა, რომ ახლაც, 20 წლის შემდეგ, ბევრი აბონენტი ვერ სარგებლობს ტელეფონით. სახელმწიფო რადიოტრანსლაციის აღდგენაც მხოლოდ ამ ბოლო დროს მოხერხდა.

ხალხმა ნელ-ნელა ისწავლა გარე დახმარების გარეშე გამოსავლის ძიება, პრობლემების დამოუკიდებლად დაძლევა, კავშირების დამყარება, ყოფა-ცხოვრების აწყობა. ისტორიულად, უმეტესად მთაში მცხოვრები ოსები და დაბლობში მცხოვრები ქართველები ერთმანეთთან ურთიერთსარგებლიან ვაჭრობას ეწეოდნენ, ერთმანეთში სანარმო პროდუქციას ცვლიდნენ. ბაზარზე ოსებს ხორცი, ყველი, მატყლი, კარტოფილი, ხის ნაკეთობები ჩამოჰქონდათ, ქართველებს კი — ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, სამრეწველო საქონელი. უკანასკნელ დრომდე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება ვერ ხერხდებოდა და შიგადაშიგ ეროვნულ ნიადაგზე გართულებებიც იყო, ვაჭრობაზე ეს არ ასახულა. ცხინვალის გარშემო განლაგებულ სოფლებში მცხოვრებ ქართველებს ქალაქის ბაზარზე მაინც ჩამოჰქონდათ ხილი, ყურძენი, რძე და რძის პროდუქტები, სახლებში კი მიჰქონდათ ყველაფერი, რისი ყიდვაც შეიძლებოდა ბაზარზე თუ მაღაზიებში — ხორცი, ყველი, კარაქი, ბურღულეული, შაქარი და პურიც კი.

კონფლიქტის ზონაში ერთობლივი ვაჭრობის თავისებურ სიმბოლოდ სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს საზღვარზე მდებარე ბაზრობა გახდა. ოსები მას „ტეკს“⁷, ხოლო ქართველები ერგნეთის ბაზრობას უწოდებდნენ. ბაზრობას რომდენიმე ჰექტარი ფართობი ეკავა და ცხინვალი-გორის ტრასის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრზე გადაიჭიმა. საკმაოდ მოკლე ხანში აქ სასაწყობო ნაგებობები, სავაჭრო ჯიხურები, ღია სავაჭრო მოედნები, კავშირგაბმულობისა და სამედიცინო პუნქტები, აფთიაქები, გაზისა და ბენზინგასამართი სადგურები და ა.შ. გაჩნდა. საკვები პროდუქტების გარდა აქ მრავალი სხვა საქონელი იყიდებოდა, ავტოსათადარიგო და სამშენებლო მასალების ჩათვლით. აქ შეიძლებოდა ფქვილის, შაქრის, ცემენტისა და სხვა საქონლის ბითუმად შექმნა. ერგნეთში ოსებს ჩრდილოეთ კავკასიის ბაზრებიდან ჩამოჰქონდათ საქონელი, ხოლო ქართველებს — თურქული პროდუქცია და საკუთარ ბალ-ბოსტანში მოწეული. აქ იდებოდა გარიგებები, ინიშნებოდა შეხვედრები, წყდებოდა პრობლემები, რომლებიც ორივე მხარის დასწრებას მოითხოვდა. საერთაშორისო დამკვირვებლებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ერგნეთის ბაზრობა სახალხო დიპლომატიის თვალსაჩინო მაგალითი იყო, რომ ადამიანებმა ვაჭრობისა და უშუალო კონტაქტების მეშვეობით უფრო მეტის მიღწევა შეძლეს, ვიდრე ეს ოფიციალური მოლაპარაკებების, „მრგვალი მაგიდების“, პოზიციების დაახლოების მიზნით ერთობლივი პროგრამების შემუშავებით მოხერხდა.

ერგნეთის ბაზრობაზე დადებითი და, რაც მთავარია, ორივე მხარისთვის სარგებლიანი ვაჭრობის გამოცდილების მაგალითი ლენინგორისა და ზნაურის რაიონების სასაზღვრო ზონებშიც გამოიყენეს. კვების პროდუქტებით დაწყებული, ასორტიმენტი და სავაჭრო ბრუნვა იმდენად გაიზარდა, რომ ბაზრობაზე უცხოური მანქანის ყიდვაც კი გახდა შესაძლებელი.

ამგვარად, ერგნეთის ბაზრობა წარმატებით ვითარდებოდა, ხოლო ვაჭრობა ხელს უწყობდა „სახალხო დიპლომატიას“, კეთილმეზობლობასა და ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენას. მაგრამ საქართველოში „ვარდების რევოლუციამ“ გაიმარჯვა

⁷ საბჭოთა პერიოდში ცხინვალის სამხრეთ შესასვლელთან განთავსებული იყო ტექნიკურ-საექსპლუატაციო კანტორა (რუსულად — ТЭК), ხოლო ვაჭრობის დაწყებასთან ერთად ამ აბრივიატურამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა — „სავაჭრო-ეკონომიკური კომპლექსი“ (რომლის რუსული აბრევიატურაც ასევე ТЭК-ია).

და ხელისუფლებაში სააკაშვილის გუნდი მოვიდა. ახალმა ქართველმა ლიდერმა ერგნეთის ბაზრობასა და ორ ხალხს შორის დაახლოების პერსპექტივაში ქართული სახელმწიფოებრიობისა და თავისი პოლიტიკური მომავლისთვის საფრთხე დაინახა; გადაწყდა ერგნეთის ბაზრობის დახურვა და საზღვარზე კონტროლის გამკაცრება. ხალხს კი აუხსნეს, თითქოს ამ გზით სახელმწიფომ კონტრაბანდას, ნარკოტიკებსა და მთლიანობაში კრიმინალს გამოუცხადა ბრძოლა. მიუხედავად მოვაჭრეების პროტესტისა, ბაზრობა დახურეს, თუმცა საქართველოში ნარკოტიკებისა და კრიმინალის საკითხი ამით არ გადაწყდა, უფრო — პირიქით. ყველაზე მეტად ამ ძალისმიერმა ქმედებამ ქარელისა და გორის რაიონის ქართველი გლეხები დააზარალა: საქართველოს სხვა რეგიონებში მათ ხილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნილება არ იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართული ღვინის შესყიდვა შეწყვიტა (სხვა ქვეყნებში მასზე მოთხოვნა არც ყოფილა) ყურძნის ჩაბარება მათ ჩალის ფასად უხდებოდათ. სირთულეებს ოსური მოსახლეობაც განიცდიდა, თუმცა აქ ყველაფერი უფრო მარტივად იყო. ხილი და ყურძენი საქართველოდან სამხრეთ ოსეთში მაინც შემოჰქონდათ, ოღონდ — ერგნეთისთვის გვერდის ავლით და სხვა ფასად. ქართული სოფლების მაცხოვრებლები ცხინვალში რძესა და რძის პროდუქტებს მაინც დაატარებდნენ.

ასეთი ვითარება 2008 წლის აგვისტომდე გაგრძელდა. სამხრეთ ოსეთზე მორიგმა სამხედრო თავდასხმამ ორი რესპუბლიკის მოსახლეობას შორის აწყობილი სავაჭრო სისტემა მთლიანად მოსპო. რუსეთისა და სხვა ქვეყნების მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ადმინისტრაციული საზღვარი უმაღლეს სახელმწიფო საზღვრად გადაიქცა, მისი თანამდევნი ყველა შედეგით.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის აღდგენის საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეტანილი წვლილი. 1992 წლის ივლისში, საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე, მსოფლიოსა და ევროპის ბევრმა სტრუქტურულ კონფლიქტის მოსაგვარებლად საკუთარი შუამავლობა წამოაყენა. ამასთან, საკუთრივ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად, შუამავლები სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარეული მეურნეობის აღდგენისა და ლტოლვილების დაბრუნების ვალდებულებებსაც იღებდნენ.

2008 წლის აგვისტომდე მათ ამის შესაძლებლობები ჰქონდათ და ზოგი საერთაშორისო ორგანიზაცია ამ მიმართულებით საკმაოდ შედეგიანად საქმიანობდა. ასე, ეუთომ (იმ წლებში — ეუთო-მა) ცხინვალში თავისი ოფისი ჯერ კიდევ 1993 წელს გახსნა. ეუთოს მისიის საქმიანობის მთავარ ასპექტს მონიტორინგი წარმოადგენდა; ამიტომ სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო და სამხედრო დამკვირვებლები მუდმივად იმყოფებოდნენ. ეუთო თავის შუამავლობას რესპუბლიკისათვის ეკონომიკური დახმარების საქმეში სთავაზობდა. ვინაიდან ეს ორგანიზაცია სამეურნეო აღდგენას არ ემსახურებოდა, მისი მემკვიდრეობით ამ პროექტების განხორციელებას ევროკავშირი შეუდგა. ორწლიანი ეკონომიკური პროგრამა ძალიან ხარჯიანი აღმოჩნდა — მისი ღირებულება 11 მილიონი ევრო იყო. ამ ფულით დევნილებისთვის აშენდა სახლები, შეკეთდა გზები და წყალგაყვანილობა, აღადგინეს ხიდები, შესრულდა სხვადასხვა სახის სამუშაო და სხვადასხვა ჰუმანიტარული ღონისძიებაც დაფინანსდა⁸.

აფხაზეთისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთში გაეროს თავისი ოფისი არ ჰქონია და სამშვიდობო მისიით იქ დაკავებული არ ყოფილა, მაგრამ თავისი სტრუქტურის — გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს — მეშვეობით ლტოლვილთა განსახლების საქმეში მიიღო მონაწილეობა. სამმართველოს მთავარი მიზანი სოფლებში სახლების აშენება იყო, სადაც დევნილების შესახლება იგეგმებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტს სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შედეგები არ მოუტანია, პროგრამა მთლიანად შესრულდა.

უფრო მრავალმხრივი აღმოჩნდა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საქმიანობა. მან ჰუმანიტარული დახმარებით დაიწყო — არიგებდა პროდუქტებს, ტანსაცმელს,

⁸ ეუთოს მისია საქართველოში, თბილისი, 1994 წ.

საოჯახო ნივთებს და პირველადი მოხმარების საგნებს, თუმცა შემდეგ საბჭო მიკროეკონომიკური პროექტების რეალიზაციას შეუდგა. ის მსურველებისთვის პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო დანადგარებს იძენდა. ამგვარად, მკერავებისთვის შეიძინეს საკერავი მანქანები და ქსოვილები, რითიც მათ სახლში სხვადასხვა სახის შეკვეთების შესრულების საშუალება მიეცათ. ნორვეგიის საბჭომ დახმარება საფერმერო მეურნეობებსაც გაუწია. დაიწყო მომსახურების ობიექტების აღდგენაც.

მართალია, ავსტრიის ჰუმანიტარული კომიტეტი სამხრეთ ოსეთში არცთუ ისე დიდხანს საქმიანობდა, მაგრამ საკმაოდ ხელშესახები კვალი დატოვა: მან დაბა ძაუში საშუალო სკოლა და სკოლა-ინტერნატი ააშენა და ავეჯითა და ტექნიკით უზრუნველყო.

სამხრეთ ოსეთში სხვადასხვა მიკროეკონომიკური პროექტის რეალიზაციით ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები IRC და ADRA იყვნენ დაკავებული. გარდა ამისა, ეს უკანასკნელი ჰუმანიტარულ დახმარებას ეწეოდა, გაჭირვებულებს ურიგებდა შეშას, მედიკამენტებს და რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებისთვის მედებს ამზადებდა. აღსანიშნავია, რომ ADRA მაშინაც კი, როცა ცხინვალში ოფისი აღარ ჰქონდა, თავის მისიას აგრძელებდა და პროგრამის დასრულება თავისი ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით გადაწყვიტა.

საერთაშორისო ორგანიზაციას „ექიმები საზღვრების გარეშე“ ცხინვალში ასევე ჰქონდა წარმომადგენლობა. მართალია, მეურნეობისა და ეკონომიკის აღორძინებაში მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თავისი იქ ყოფნის მცირე ხანში მან ჰუმანიტარული დახმარების მხრივ საკმაოდ ბევრი გააკეთა. სამედიცინო დაწესებულებებში (უმეტესად ტუბერკულოზით დაავადებულთათვის) შეჰქონდათ მედიკამენტები, საკვები პროდუქტები, შეშა, და ა.შ. მოგვიანებით, იგივე საქმიანობას საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი ახორციელებდა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის ცხოვრების გაიოლებას სხვა მეთოდებითაც ცდილობდნენ: საკუთარი პროგრამების რეალიზაციისთვის ისინი ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ — თარჯიმნებს, მშენებლებს, მძღოლებს, სოციალურ მუშაკებსა და სხვა სპეციალისტებს და უხდიდნენ მათ უფრო მეტს, ვიდრე რესპუბლიკის დანარჩენი მაცხოვრებლები იღებდნენ. ამის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობისგან ისინი საცხოვრებელ ფართებსა და ავტოტრანსპორტს ქირაობდნენ და სხვა ფასიანი მომსახურებით სარგებლობდნენ. ისინი ყველა აუცილებელ (რესპუბლიკურ) გადასახადს იხდიდნენ.

იმ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონტაქტებს ყველანაირად უწყობდნენ ხელს, ნეიტრალურ ტერიტორიებზე მათთვის მართავდნენ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, სხვადასხვა თემატიკისადმი მიძღვნილ „მრგვალ მაგიდებს“. მასწავლებლები ხვდებოდნენ მასწავლებლებს, ექიმები — ექიმებს, ჟურნალისტები — ჟურნალისტებს და ა.შ. 1995 წლიდან 2000 წლამდე ორი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, მათ შორის — ორი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროვს შორის. ამ ღონისძიებებზე განსახილველი მთავარი საკითხები ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური პერსპექტივები, უსაფრთხოების გარანტიები და დევნილთა დაბრუნება გახლდათ. ამასთან ერთად, როგორც წესი, ყურადღება ეკონომიკის აღდგენას, საზღვრისპირა ვაჭრობას, გაზის, ელექტროენერჯისა და წყლის მოწოდებას ეთმობოდა. საერთაშორისო ორგანიზაციები, თავის მხრივ, სრული დაფინანსების გარანტიით, ორივე მხარეს ერთობლივ პროექტებში მონაწილეობას სთავაზობდნენ. ყოველი ასეთი ცდა მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა წარმატებული, ვინაიდან საქართველო მხოლოდ ლიდერის როლს თანხმდებოდა და პარტნიორულ საფუძველზე პროექტებში მონაწილეობას სამხრეთ ოსეთის ირიბ აღიარებად აღიქვამდა. ასეთ პირობებში საშუამავლო სტრუქტურები და სასპონსორო ფონდები საკითხის მხოლოდ ნაწილობრივ

გადანყვეტას დასჯერდნენ, რაც მხარეებს შორის ერთ პროექტში ჩადებული ფინანსური საშუალებების განაწილებაში მდგომარეობდა. ამასთან, სამხრეთ ოსეთი უფრო ხშირად ნამგებიან მდგომარეობაში იყო.

ახალი ათასწლეულის დამდეგს, სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების დამთავრებიდან ათი წლის თავზე, კონფლიქტის მხარეებმა პოზიციების მნიშვნელოვნად დაახლოება მოახერხეს, თუმცა საბოლოო შედეგი მიღწეული არ ყოფილა — სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი კვლავ ღია რჩებოდა.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებამ და ხელისუფლებაში მ. სააკაშვილის მოსვლამ ვითარება სანყის მდგომარეობაში დააბრუნა: გამკაცრდა სასაზღვრო კონტროლი, გაუქმდა ერთობლივი ბაზრობები, არასამთავრობო ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო და კულტურული გაერთიანებების კონტაქტები სრულიად განწყდა. მთლიანად შეწყდა კონტაქტები სამთავრობო დონეზეც, რესპუბლიკების მეთაურთა შეხვედრები შეუძლებელი გახდა. ეს ყველაფერი უარყოფითად აისახა სამეურნეო საქმიანობაზე, მაგრამ ყველაზე მეტად დაზარალდა საქართველო — მან რუსეთის ბაზარი დაკარგა. სამხრეთ ოსეთი რუსეთზე 95%-ით იყო დამოკიდებული და ამიტომ ოფიციალური თბილისის პოზიციას მისთვის დიდი ზიანი არ მოუტანია.

პოლიტიკური დაახლოებისა და კავშირების აწყობის ნაცვლად, საქართველო სამხრეთ ოსეთთან პირდაპირ კონფრონტაციაზე წავიდა, რაც საბოლოოდ მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმით დამთავრდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესია ქართულ-ოსური დაპირისპირების მთელი პერიოდის მანძილზე ყველაზე სასტიკი და სისხლისმღვრელი გამოდგა. სროლის შედეგად მხოლოდ ცხინვალში 26 მრავალბინიანი მუნიციპალური სახლი მთლიანად დაინვა და დაინგრა, ნაწილობრივ დაინგრა 226 სახლი. მთლიანად განადგურდა 231 კერძო სახლი, 442 სახლი საცხოვრებლად უვარგისი გახდა, 674 სახლმა საშუალო დონის დაზიანება მიიღო⁹. ეს ზარალი თავდაპირველი გაანგარიშებით 10 მილიარდ რუბლად შეფასდა.

მნიშვნელოვნად დაზიანდა ქარხნები — „ელექტროვიბრომაშინა“, „ემალზავოდი“, მექანიკური ქარხანა. დაინვა პარლამენტის შენობა, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა, სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი, ქალაქის უნივერსალი; ნაწილობრივ დაინგრა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ტელევიზიის შენობები. ქალაქის შვიდი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სამი მთლიანად დაინგრა, საბავშვო ბაღები და ბაგები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სერიოზულად დაზიანდა რესპუბლიკური საავადმყოფო, ქალაქის პოლიკლინიკები, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიბლიოთეკები. სროლის შედეგად ქალაქის ინფრასტრუქტურა თითქმის მთლიანად განადგურდა; კავშირგაბმულობის, წყალმომარაგების, გაზისა და ელექტროქსელის კომუნიკაციები მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. სავაჭრო და კერძო ბიზნესის ობიექტების უმრავლესობა დაინვა. დანგრეული კულტურის ობიექტებს შორისაა ორი მართლმადიდებელი ეკლესია და ერთი სინაგოგა. სატანკო შეტევის შედეგად დაზიანდა ცხინვალის მეხუთე სკოლის ეზოში მდებარე მემორიალური სასაფლაო.

არანაკლებ დაზარალდნენ რესპუბლიკის, განსაკუთრებით კი ცხინვალის რაიონის, სოფლები – ფრისი, ტბეთი, ხეთაგუროვო, დმენისი, სათიკარა, სარაბუკი, სადაც სახლების უმრავლესობა დაინგრა; განადგურდა ნათესები, ხოლო პირუტყვის 80 პროცენტი გაიტაცეს ან განადგურდა.

ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემი ზარალის მთლიან სურათს მაინც ვერ ასახავს. ეს მხოლოდ მათი ნაწილია და ყველა ეს ფაქტი იმისთვისაა მოყვანილი, რომ მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შეიქმნას იმაზე, თუ რა ზარალი მიადგა სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობას, მის სახელმწიფო და კერძო სექტორს. ცარიელი ციფრები ნათელს ჰფენენ, თუ რა მოცულობის აღდგენითი სამუშაოებია ჩასატარებელი.

⁹ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღდგენის პროექტების რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემების მიხედვით.

და ახლაც კი, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიდან ორნახევარი წლის შემდეგ, აღდგენით პროცესს ბოლო არ უჩანს.

ქართული ხელმძღვანელობის მიერ წამოწყებული სამხედრო ავანტიურის შედეგად დაზარალდა არა მხოლოდ ოსური მოსახლეობა, არამედ ქართველებიც. ცეცხლის ხაზზე აღმოჩნდა და საპასუხო დარტყმის შედეგად პრაქტიკულად განადგურდა კეხვი-თამარაშენის, ავნევი-ნულისა და ერედვი-ვანათის ანკლავები¹⁰.

სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ წარმოებულმა ომმა რესპუბლიკას დამღუპველი დარტყმა მიაყენა. თავდაპირველად წინა პლანზე მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების, საცხოვრებელი ბინებისა და კომუნიკაციების აღდგენის საკითხებმა წამოიწია, ხოლო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო განვითარების პრობლემები მხოლოდ ამის შემდეგ დადგა¹¹.

სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული დახმარება სამხედრო მოქმედებების დამთავრებისთანავე შევიდა. ის ერთობ მოცულობითი და მრავალმხრივი იყო. ტვირთები მოდიოდა სხვადასხვა ქვეყნიდან, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან, საზოგადოებრივი ფონდებიდან, მაგრამ განსაკუთრებით — რუსეთის ფედერაციის სუბიექტებისგან და დსთ-ის ქვეყნებიდან. დახმარებას უწევდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჰუმანიტარული ფონდები, რელიგიური თემები, ოსური დიასპორები. რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა კვების პროდუქტები, მედიკამენტები, პირველადი აუცილებლობის საგნები, საყოფაცხოვრებო ნივთები, სამშენებლო მასალები, ავტოტრანსპორტი, ტექნიკა და აღჭურვილობა. ამას გარდა, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარებაც შემოდიოდა. ეს იყო გადარიცხვები რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტებიდან და ფირმებისა და ორგანიზაციების ანგარიშებიდან, ასევე — კერძო შემოწირულობები. შედეგად, თითქმის ყველა დაზარალებულმა ოჯახმა მიიღო დახმარება და საკომპენსაციო თანხა.

სამხრეთ ოსეთის აღდგენის პროცესი ახალ ფაზაში რუსეთის მიერ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შევიდა: 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ სამხრეთ ოსეთი აღიარა, რის შემდეგაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა¹². ორი წლის მანძილზე ორ ქვეყანას შორის 50-ზე მეტ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას მოეწერა ხელი. მათი უმეტესობა სამეურნეო და სოციალური სტრუქტურების რეაბილიტაციას ეხებოდა.

პირველი ორი წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის აღდგენაზე რუსეთმა 11 მილიარდ რუბლზე მეტი გამოყო. ეს სახსრები მოხმარდა მუნიციპალური და კერძო საცხოვრებლების, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, გზების მშენებლობასა და რემონტს, ასევე საკომუნიკაციო სისტემების აღდგენას. ყველაზე დიდი რეზონანსი, თავისი სირთულისა და ტექნიკური მახასიათებლების უნიკალურობით, „ძუარიკაუ-ცხინვალის“ გაზსადენის გაყვანას მოჰყვა¹³. სამხრეთ ოსეთში გაზი რუსეთიდან პირდაპირი გზით შემოვიდა, რამაც მისი მნიშვნელოვანი გაიაფება გამოიწვია. გაზსადენის გამტარიანობა ისეთია, რომ პერსპექტივაში სამხრეთ ოსეთი შეიძლება სატრანზიტო რესპუბლიკად იქცეს, რაც უდავოდ გააუმჯობესებს ეკონომიკურ კლიმატს რესპუბლიკაში.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის ინიციატივით, ზოგიერთმა სამრეწველო გიგანტმა ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთის საწარმოებთან დადო, თავისი არსით კი ეს მათზე შეფობის აღება იყო. ასე, ურალის სამთომადნეულის კომბინატმა ვალდებულება

¹⁰ ადამიანთა მსხვერპლის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქართული სოფლების მოსახლეობა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ იმფორმირებული იყო და საშიში ზონა დროულად დატოვა, ხოლო დარჩენილ რამდენიმე მოხუცს ცხადია ხელი არ ახლეს.

¹¹ Бзаров Р.С. *Независимость Республики Южная Осетия – гарантия безопасности и надежного будущего осетинского народа*. Цх., 2008.

¹² რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულება №1261 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარების შესახებ, 2008 წლის 26 აგვისტო.

¹³ გაზსადენს ცალკე დაფინანსება ჰქონდა და ის 15 მილიარდი რუბლი დაჯდა.

კვაისაში მადნის მოპოვების მართვაზე, „ელექტროვიბრომაშინასა“ და „ემალპროვოდის“ ქარხნების სიმძლავრის გაზრდაზე აიღო.

რაც შეეხება საერთაშორისო, მსოფლიო და ევროპულ ორგანიზაციებს, სამხრეთ ოსეთის აღდგენაში მათ მონაწილეობაზე ლაპარაკიც არ ღირს. ელემენტარული ჰუმანიტარული დახმარებაც კი ზედმეტად პოლიტიზირებული ხდებოდა. უცხოური ფონდები სამხრეთ ოსეთში ტვირთების შემოტანას მხოლოდ საქართველოს მხრიდან თანხმდებოდნენ, რითიც თავის პოზიციას აფიქსირებდნენ — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი კი არა, არამედ საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ცხინვალისთვის ასეთი პოზიცია მიუღებელი იყო; ამას გარდა აქ საფუძვლიანად შიშობდნენ, რომ ჰუმანიტარულ ტვირთებთან ერთად საქართველოდან სამხრეთ ოსეთში შეიძლება შესულიყო ნარკოტიკები, კონტრაბანდა და ყალბი ფულადი ნიშნები, ხოლო თანხმდებ პირებს შორის შეიძლება ყოფილიყვნენ პროვოკატორები, დივერსანტები და სპეცსამსახურების თანამშრომლები.

ცხინვალში ყველა ევროპული ორგანიზაციის ოფისი დაიხურა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როცა მათ უაპელაციოდ დაუჭირეს მხარი საქართველოს, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ და საზოგადოებამ მათ მიმართ ნდობა დაკარგა. მას შემდეგაც კი, რაც სხვადასხვა საერთაშორისო დამოუკიდებელმა კომისიამ საკითხის ღრმა და მრავალმხრივი შესწავლის შემდეგ (მაგალითად, „ტალიავინის კომისიის“ დასკვნა) დაადგინა, თუ ვინ იყო აგრესორი და ვინ — მსხვერპლი, ეს სტრუქტურები მაინც დაჟინებით ლაპარაკობდნენ „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე“, „ოკუპირებულ მიწებზე“, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების „არალეგიტიმურობაზე“. ასეთ პირობებში აფხაზეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც ჰქონდათ ყველანაირი უფლება გადანყვეტილებები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიეღოთ, უცხოურ სახელმწიფოებთან და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან ურთიერთობები საკუთარი შეხედულებებისამებრ აენციოთ.

აგვისტოს მოვლენების დროს განსაკუთრებული საყვედური ეუთოს საქმიანობამ და პოზიციამ დაიმსახურა. ამ ორგანიზაციის თანამშრომლებმა, იცოდნენ რა მოახლოებული თავდასხმისა და საშიშროების შესახებ, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას ამის შესახებ არ შეატყობინეს. მეტიც, მოსახლეობას ეუთოს ცხინვალის ოფისების სარდაფების თავშესაფრად გამოყენებაზე უთხრეს უარი. მოგვიანებით იმავე სარდაფებში ქართული ჯარის მიერ ქალაქის აღების შემთხვევისთვის განსაზღვრული ლიტერატურა და სააგიტაციო ფურცლები აღმოაჩინეს. სხვათა შორის, ვიკილიქსის ცნობილი საიტის მასალებში აღმოჩენილია საინტერესო დოკუმენტი, რომელიც საქართველოში აშშ-ის ელჩმა ტეფტმა თავისი ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა. მასში, ეუთოს დამკვირვებლების დამონშებით, საუბარია იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი და აგრესიის დაწყებიდან ერთი საათის მანძილზე რამდენი ჭურვი იყო ნასროლი ცხინვალის მიმართულებით. სურვილის შემთხვევაში, ეუთოს ამ მონაცემების გახმაურება და დამოუკიდებელი კომისიებისთვის წარდგენა შეეძლო, მაგრამ ეს არ გაკეთდა, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ კონტინენტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი ევროპული სტრუქტურა მოქმედებს შერჩევით, არ არის დამოუკიდებელი და მიკერძოებულია. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეუთოსა და ევროკავშირს საკუთარი დამკვირვებლების ყოლაზე, დაჟინებული მცდელობების მიუხედავად, უარი ეთქვათ. შექმნილ პირობებში მათი იქ ყოფნა ვითარებას მხოლოდ გაართულებდა¹⁴.

ზოგმა საერთაშორისო ორგანიზაციამ სამხედრო მოქმედებების დამთავრებისთანავე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ინტერესი გამოავლინა. ისინი ახალგაზრდა სახელმწიფოებს სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტში ჩასართველად საკუთარ შესაძლებლობებს სთავაზობდნენ. ამასთან, როგორც წესი, შემოთავაზებული იყო ორი ვარიანტი: ან ეს რესპუბლიკები საქართველოსთან ერთობლივ პროექტებში

¹⁴ Доклад независимой международной миссии по поиску фактов в конфликте в Грузии. № 2008/2001 – CFSP. от 2 декабря 2008г.

მონაწილეობენ, რაც მათ, განცხადებების მიხედვით, დიდ სარგებელს უქადის, ან პირდაპირი გზით ევროპასთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზე მიდიან. ამასთან, აფხაზეთიცა და სამხრეთ ოსეთიც ამ პროექტების ინიციატორებისთვის ისევ და ისევ „საქართველოს ნაწილად“ და რუსეთის მიერ დროებით „ოკუპირებულ“ ტერიტორიად რჩებოდნენ. ასეთი პოზიცია ამ რესპუბლიკებში რუსეთის ეკონომიკური ყოფნის ნიველირების მცდელობად აღიქმებოდა, რაც თავისთავად მიუღებელი იყო.

ამ მხრივ, განსხვავებული პოზიცია ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა დაიკავა. მისი ოფისი ცხინვალში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიხსნა და დღემდე აქტიურ ფუნქციონირებას აგრძელებს. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ამ კომიტეტის თანამშრომლები მოსახლეობას ყველანაირ დახმარებას უწევდნენ, რითიც მაღლიერება და პატივისცემა დაიმსახურეს.

თავდაპირველად კომიტეტის საქმიანობა ჰუმანიტარული დახმარების დარიგებით შემოიფარგლებოდა, თუმცა შემდეგ ეს საქმიანობა ფუნქციონალურად გაფართოვდა. 2009-2010 წლებში სამხრეთ ოსეთის სოფლის მოსახლეობას თესლი და სასუქი დაურიგეს, რამაც ხუთი ათასი მეურნეობა მოიცვა; ამასთან, საბოლოო შედეგის მიღწევაზე კონტროლი დანესდა. მოცემულ ეტაპზე სათესლე მასალა მეურნეობებს ისევ დაურიგდებოდა, მოხდებოდა სათესი ფართობების დათვალიერება, ხოლო აგრონომი ამა თუ იმ კულტურის მოშენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნას გააკეთებდა.

განსაკუთრებული ყურადღება სასაზღვრო ზონებს დაეთმო, უპირველესად კი — ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების დახმარე მეურნეობებს. მხოლოდ ლენინგორის რაიონის მოსახლეობისგან 150-ზე მეტი განცხადება მიღებული მსხვილფეხა სანაშენო საქონლის თაობაზე, ამდენივე — მეფუტკრეობაზე და 200 განცხადება — მინიტრაქტორების შეძენაზე. ყველა ეს განაცხადი კმაყოფილდება უსასყიდლოდ განეული დახმარების მიზნობრივად გამოყენების პირობით. ორგანიზაციის მიერ გათვალისწინებული პროგრამები არა მხოლოდ მეცხოველეობასა და მემცენარეობაზეა მიმართული, არამედ სავაჭრო და სხვა სამენარმეო საქმიანობაზეც.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაგეგმვისას არ ღირს გარე, იქნება ეს რუსეთი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები და საქველმოქმედო ფონდები, გრძელვადიანი დახმარებისა და სამეურნეო სექტორის მხარდაჭერის იმედზე ყოფნა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სავაჭრო და საბაჟო კავშირები, ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიები ვერ იქნებიან. ეს ნათლად გამოჩნდა ამასწინანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს.

თანამედროვე პირობებში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და აღდგენის პრობლემებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური, სოციალური და დემოგრაფიული შემადგენელიც აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამხრეთ ოსეთში და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები დაჟინებული ყურადღების ქვეშაა მოქცეული და იმასაც, რომ ეს ყურადღება ყოველთვის არაა კეთილგანწყობილი, სახელმწიფოებრივი მშენებლობის დროს დაშვებული ყველა შეცდომა რესპუბლიკის დისკრედიტაციისთვის იქნება გამოყენებული და არა მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის, არამედ პოტენციური მოკავშირეებისა და ეკონომიკური პარტნიორების აღქმაში. აშკარაა, რომ თუ ამასთან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დინამიკის ვარდნა და სტაგნაციის პროცესი შეინიშნება, საქართველო არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთთან, არამედ რუსეთთან შედარებითაც ბევრად უფრო მიმზიდველ ეკონომიკურ სივრცედ წარმოჩნდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პოლიტიკური პროცესები მსოფლიო ეკონომიკაზე უშუალო და ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენენ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ თანხების ოდენობაზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთისთვის რუსეთისა და სხვა მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან იქნება გამოყოფილი. გასაგებია, რომ ამ დამოკიდებულებას უკუპროპორციული მახასიათებელი ახლავს. იმაზე, თუ რამდენად პროფესიონალურად მიუდგებიან

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური მოდელის ფორმირებას, თუ რამდენად მაღალი იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონე, ბევრადაა დამოკიდებული არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ხალხის ბედიც.

რაც შეეხება ეკონომიკას, ვფიქრობთ, რომ მისი აღდგენა და შემდგომი განვითარება, დროისა და პირადი ფაქტორების განსაზღვრით, მკვეთრად დეტერმინირებულ ღონისძიებათა ჯაჭვის რეალიზაციას უნდა დაექვემდებაროს. აშკარაა, რომ ეს ჯაჭვი უნდა გაფორმდეს და დაფიქსირდეს მთავრობის მიერ მიღებულ და რესპუბლიკის პარლამენტის მიერ დამტკიცებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში გრძელვადიან, საშუალოვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში, რაც, თავის მხრივ, რესპუბლიკის ბიუჯეტთან უნდა იყოს დაკავშირებული იმ პირობით, რომ ამ პროგრამების შემუშავებელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, მათ განხორციელებაზე სრულ პასუხისმგებლობას აიღებს.

აუცილებლობას არ წარმოადგენს საუბარი იმაზე, რომ ნებისმიერი პროგრამის შემუშავება დეტალური, მრავალმხრივი და ობიექტური სტრატეგიული ანალიზით უნდა დაიწყოს, რომლის მიზანსაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პოტენციალის, წარმოების ძირითადი ფაქტორების განვითარების დონის, პრობლემათა დიაგნოსტიკისა და მათი აქტუალურობის დონის განსაზღვრა უნდა წამოადგენდეს. ამ ანალიზის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების შემუშავების გზით, რომლებიც საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს დაახასიათებენ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად პრობლემებს წარმოადგენს:

- საქართველოს მხრიდან გამოვლენილი აგრესიის შედეგად მოშლილი ინფრასტრუქტურით, მთელი რიგი საწარმოებისა და საცხოვრებელი ფონდის ნგრევით, შრომითი რესურსების დეფიციტით შექმნილი პერმანენტული და ღრმა ეკონომიკური კრიზისი.
- მრავალი საწარმოო ფაქტობრივი გაჩერება ან, 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, მათი მხოლოდ 5-10 პროცენტის მუშაობა, რაც გამოიწვია სსრკ-ის დაშლის შედეგად სამეურნეო კავშირების მოშლამ; რესპუბლიკის მრავალწლიანმა ბლოკადამ, რის შედეგადაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საწარმოებისთვის დაიხურა კავკასიის ბაზარი; რუსეთის ფედერაციის მიერ 1994 წელს სახელმწიფო საზღვრის ქვემო ზარამაგში გატარებამ და ადამიანებისა და ტვირთების მოძრაობაზე მკაცრი რეჟიმის დანერგებამ; კონკურენტუნარიანი პროდუქციის პრაქტიკულად არარსებობამ. ამის შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები მუდმივად ზარალიანია, საბაზრო მექანიზმები ან განუვითარებელია, ან არ არსებობს, თავისუფალი ეკონომიკის კანონები კი არ მოქმედებს. საწარმოების ზარალიანობამ განაპირობა არანორმალური მდგომარეობა — საწარმოები სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობას პრაქტიკულად არ იღებენ.
- მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ცვეთის მაღალი დონე, რადგან ისინი 1980-იანი წლების შემდეგ არ განახლებულა. ამის შედეგად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის წარმოება შეუძლებელი გახდა. გამოდის მოჯადოებული წრე — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები პროდუქციის გასაღების ბაზრებს მოკლებული არიან და მათ მიერ წარმოებული და გასაღებული პროდუქციის რაოდენობა არანამდებრივად დონეს ვერ აღწევს, ხოლო მოგების არარსებობა წარმოების ძირითადი საშუალებების რეინოვაციისთვის სახსრების რეინვესტირების საშუალებას არ იძლევა.
- არ არის განვითარებული მეურნეობის ახალი, საბაზრო ფორმები, არ არსებობს სააქციო კაპიტალი, საბაზრო გარდაქმნებზე რეაქცია დუნია.
- საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობა ნაკლებპროდუქტიულია და აქვს სირთულეები ტექნიკითა და მექანიზმებით აღჭურვასთან დაკავშირებით.

საფერმერო მეურნეობები ჩამოყალიბების სტადიაშია და ამ დროისათვის ეროვნული დოვლათის შექმნაში მნიშველივან როლს ვერ ასრულებენ.

- მცირე და საშუალო ბიზნესი სავაჭრო, მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების სფეროთი შემოიფარგლება; ეკონომიკის რეალურ სექტორში და, მით უფრო, ინოვაციების სფეროში, კერძო საწარმოები პრაქტიკულად არ არსებობენ.
- მიმდინარეობს შრომითი რესურსების დეკვალიფიკაცია და ბუნებრივი დაბერება. ეს პროცესები რესპუბლიკიდან აქტიური სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილის გადინებითა (განსაკუთრებით 1990-იან წლებში) და პროფესიული და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის სრული ნგრევითაა გამწვავებული. ჯერჯერობით დასასბუთებელია, რამდენად მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინრებისა და სპეციალისტ-ტექნიკოსების მომამზადებელი შესაბამისი ფაკულტეტებისა და, ასევე, მრავალპროფილიანი კოლეჯის (კალატოზების, შემდუღებლების, კაფელის დამგებების, სანტექნიკოსების, ელექტრიკოსების მომამზადებელი) გახსნა. ყოველივე ეს კი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კადრების მომზადება-გადამზადებას ართულებს.
- მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე ჩამოთვლილი მიზეზებითაცაა განპირობებული. მოსახლეობის სოციალურად მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავალი საარსებო მინიმუმს ქვევითაა.
- რთული პრობლემებია დემოგრაფიის სფეროში. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე შეინიშნება დეპოპულაციის პროცესი, სიკვდილიანობა შობადობას აღემატება. მიგრაციის სალდო უკანასკნელი წლების განმავლობაში უარყოფით ნიშნულზე იდგა. განსაკუთრებულ შეშფოთებას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა იწვევს. რესპუბლიკაში მიმდინარე არახელსაყრელი ბუნებრივი და მექანიკური დემოგრაფიული პროცესების გამო მოსახლეობის დაბერება სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება. დღეისათვის რესპუბლიკის ყოველი მეოთხე მაცხოვრებელი საპენსიო ასაკისაა. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის შრომისუნარიანი მოსახლეობის დატვირთვას. ამ შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ აქტიური, გონივრული და მეცნიერულად გამართლებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი, ისიც — არამყისიერად.
- საგარეო-პოლიტიკური რისკებით გამოწვეული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საინვესტიციო მიმზიდველობის დაბალი დონე: საქართველოსთან სამშვიდობო შეთანხმების არქონა ემუქრება უსაფრთხოებას. ინვესტიციების სფეროში დადებითი ფაქტორი ლიბერალური კანონმდებლობაა.
- სამხრეთ ოსეთის სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო – სამრეწველო საქონლის, სურსათის, პირველადი და ხანგრძლივი მოხმარების საგნების იმპორტი მრავალჯერ აღემატება იმავე პროდუქციის ექსპორტს. ნათელია, რომ მსგავსი ვითარება რესპუბლიკის სასურსათო უსაფრთხოებას რეალურ საშიშროებას უქმნის. ამას გარდა, სატრანსპორტო ხარჯები მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, რაც ძირითად პროდუქტებსა და საქონელზე ფასების ზრდას უწყობს ხელს. პირველადი მოხმარების საგნების ფასები 30–100 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირების დამატებითი ფაქტორია.
- საკუთარი ენერჯის წყაროების არარსებობის გამო იქმნება ვითარება, როცა სამხრეთ ოსეთი სრულადაა დამოკიდებული გარე ენერგეტიკულ წყაროებზე; ეს მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ჰიდროენერგორესურსების ჯამური სიმძლავრე, სულ მცირე, 110 მეგავატია, ხოლო სამრეწველო საწარმოებისა და საოჯახო მოხმარებისთვის საჭიროა მხოლოდ 35–50 მეგავატი. გარდა ამისა, რესპუბლიკაში ქარისა და მზის ენერჯის გამოყენების საშუალებაც არსებობს.

- ხსენებული ტენდენციები და პროცესები განაპირობებენ იმას, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ნაღდი ფული ბრუნვაში თითქმის არ ჩერდება, ვინაიდან ენერგომატარებლებისა და პროდუქციის საფასური იმხელაა, რომ ერთი ბრუნვით მთელ ნაღდი ფული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ „გაედინება“. ნაღდი ფულის მუდმივი უკმარისობისა და მასთან დაკავშირებული გადახდების შეყოვნების გარდა, ამ ფაქტორმა გამოიწვია ისიც, რომ არ არსებობს შიდა ინვესტიციები, მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ქმნის დანაზოგებს, ხოლო ოჯახური ბიუჯეტები იქამდეა მისული, რომ ხანგრძლივი მოხმარების საგნები მთლიანი ხარჯების 2/3-ს შეადგენენ. საკვები პროდუქტების, კომუნალური მომსახურებისა და ენერგომატარებლების საფასური მთლიანი ხარჯების 70 პროცენტს აღემატება, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში უფრო მეტიცაა;
- ეფექტური საბანკო სისტემის არარსებობის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ფინანსური შემადგენელი აქტუალური ვერაა. არ არსებობს ეკონომიკის რეალური დარგების დაკრედიტება, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს;
- იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობა ეკონომიკურ კატეგორიას განეკუთვნება, რესპუბლიკაში ჯანდაცვის დაბალი დონე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის დაცემის ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნებისთვის გამოყოფილი სახსრების დაუშვებლად დაბალი პროცენტი ვითარების უკეთესობისკენ შეცვლას ხელს არ უწყობს¹⁵.

ჩამოთვლილი პრობლემები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკისთვის საკმაოდ სერიოზულია. რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პარკტიკულად არც ერთ სფეროში არ მომხდარა გარდატეხა, თუმცა იმ წნეხის გათვალისწინებით, რომლის ქვეშაც რესპუბლიკა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე იმყოფებოდა, ეს შეუძლებელიც იყო. მიზეზები ობიექტურიცაა და სუბიექტურიც.

ამრიგად, ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი შტოების წინაშე დგას ამოცანები, რომელთა სირთულისა და შრომატევადობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია. ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით, შესაძლებელია რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარებისა და აღმავლობის ძირითადი მიმართულებების ფორმულირება. სავარაუდოა, რომ სახალხო მეურნეობის მასშტაბური რეფორმირების, ახალ ეკონომიკურ აზროვნებაზე გადასვლის პრობლემებისადმი მიდგომების კარდინალური შეცვლის, სხვა ქვეყნებისა და რეგიონების პოზიტიური პრაქტიკის გათვალისწინების გარეშე კარგი შედეგების მიღება არა მარტო ახლო, არამედ შორეულ მომავალშიც შეუძლებელი იქნება.

ამასთან, მთავარი მიზანი უნდა გახდეს სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის მდგომარეობისა და სოციალური სფეროს თანდათანობითი მიახლოება რუსეთის ფედერაციის სუბიექტების — ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დონესთან, მცდელობა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მაქსიმალურად მიუახლოვდეს ამ რეგიონების მაჩვენებლებს.

ვფიქრობთ, ერთჯერადი მიზნობრივი პროგრამებითა და ცალკეული პროექტების განხორციელებით პრობლემა არ გადაიჭრება. სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა კომპლექსურ, ყოვლისმომცველ ხასიათს უნდა ატარებდეს. რომელიმე სფეროს ამოვარდნა ან მისი არაპროპორციული განვითარება აუცილებლად გამოიწვევს სტრუქტურულ გადახრებსა და, საბოლოო ჯამში, ვერ გადაიჭრება დასახული ამოცანები.

როგორც უკვე ითქვა, სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და განვითარებისთვის განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას ყველა სფეროში წინ უნდა უძღოდეს ვითარების კომპლექსური ანალიზი. ეს არის სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების, პრობლემების დიაგნოსტიკა და რესპუბლიკის

¹⁵ Кокоев Г. Г. Экономика РЮО – пути становления // Южная Осетия. 25. 01. 2009.

პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა. ამკარაა, რომ მთავარ პრობლემებს დაბალი საზოგადოებრივი მწარმოებლობა და, განსაკუთრებით, სამრეწველო საწარმოების ზარალიანობა წარმოადგენს. ეს ვითრება მნიშვნელოვანწილად გამოიწვია საწარმოების მოძველებულმა ძირითადმა ფონდებმა და აღჭურვილობამ. აქედან გამომდინარეობს ფონდების პროდუქტიულობის დაბალი დონე.

შექმნილი ვითარება შედეგია საბაზრო მექანიზმების არარსებობისა, რომ არ ხდება სახელმწიფო საკუთრების, ანუ სახელმწიფო საწარმოების, მმართველების კონტროლი. სანყის ეტაპზე აუცილებელია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საწარმოთა პროდუქციის გასაღების ბაზრებისა და მათი ტევადობის განსაზღვრა. ამისთვის კი, როგორც ცალკეული საწარმოებისთვის, ისე რესპუბლიკის მთელი მრეწველობისთვის მარკეტინგული კვლევებია ჩასატარებელი. ამკარაა, რომ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებამ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური ბლოკადა გაარღვია. და თუ სამხრეთ კავკასიის ბაზარი საქართველოს მიერ ჯერ კიდევ ბლოკირებულია და ამ მხრივ პოზიტიური ცვლილებების მოლოდინს საფუძველი არ გააჩნია, რუსეთის ბაზარი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საწარმოებისთვის სავსებით ხელმისაწვდომია.

მარკეტინგული პერსპექტივების განსაზღვრის შემდეგ ფაბრიკებისა და ქარხნების საწარმოო სიმძლავრე საბაზრო შესაძლებლობებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, განსახორციელებელია გამოუყენებელი და საწარმოთა მართვის სტრატეგიასთან შეუსაბამო ძირითადი საწარმოო ფონდების რეალიზაცია ან უტილიზაცია. უნდა მოხდეს უპერსპექტივო საწარმოთა პროფილის შეცვლა, პერსონალის გადამზადება. ვინაიდან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებზე ამჟამად მთლიანი შრომითი რესურსის მხოლოდ ხუთი პროცენტია ამოქმედებული, მის გადამზადებას არც ბევრი დრო და არც დიდი მატერიალური დანახარჯები დასჭირდება. ამასთან, საბიუჯეტო სფეროში დაკავებული დიდი რაოდენობის მუშაკთა მატერიალური წარმოების დარგებში გადაყვანის პრობლემა უნდა გადაწყდეს, რათა ბიუჯეტი განიტვირთოს, ხოლო მოსახლეობის შემოსავლის საშუალო დონემ აიწიოს. იმ აზრის სანინააღმდეგოდ, თითქოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მაღალი მოთხოვნილების საქონლის ახალი საწარმოების გახსნა არ ღირს, არსებობს ყველანაირი საფუძველი საიმისოდ, რომ აქ მსოფლიოში განთქმული ბრენდების პროდუქციის ასაწყობი საშუალო საწარმოების შექმნის მიზანშეწონილობაზე ვისაუბროთ. პრიორიტეტი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებას უნდა მიენიჭოს. ქარხნებმა – „ელექტროვიბრომაშინა“ და „ემალპროვოდი“ — ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგეს. ეს შრომითი რესურსების განათლების დონის ამაღლების თვალსაზრისითაც რაციონალურია და იმითიც, რომ მსგავსი საწარმოების პროდუქციას, როგორც წესი, დამატებითი ღირებულების მაღალი დონე აქვს. სოციალური დისპროპორციების შესარბილებლად სამრეწველო საწარმოები შემდეგ მოთხოვნებს უნდა პასუხობდნენ: სოციალური მნიშვნელობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე თანაბრად გადანაწილება. აქ ლოგიკური იქნებოდა შერეული ტიპის საწარმოებისა და აქციების საკონტროლო პაკეტში სახელმწიფოს უპირატესი წილით დახურული სააქციო საზოგადოების შექმნა. იმავდროულად, ეს გახდებოდა საბაზრო პირობებში მომგებიან საწარმოებში ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მისი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციითა და სახელფასო დანახარჯების არცთუ მაღალი დონით პოტენციურად კონკურენტუნარიანია არა მარტო შიდა, არამედ გარე ბაზრებზეც. აქ არ ღირს ისეთი საწარმოების შექმნა, რომლებიც წინასწარ დიდ ხარჯებს ითვალისწინებენ. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში 100-150 სულზე გათვლილი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფერმერული მეურნეობის შექმნა იქნებოდა ოპტიმალური. დასაწყისისთვის დაახლოებით 100-150 მეურნეობის შექმნა მოსახლეობის ხარისხიანი, იაფი სურსათით მომარაგებისა და მისი რესპუბლიკის გარეთ რეალიზაციის შესაძლებლობის პრობლემებსაც გადაწყვეტდა. ამასთან,

მიზანშეწონილია ხორცის, რძის პროდუქტების, ღვინის, ხილის, წველებისა და თაფლის წარმოება.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით საკმაოდ დიდი შესაძლებლობები აქვს. ძველი ობიექტების – ტურბაზების, დასასვენებელი სახლების, მინერალური წყლების ბაზაზე სანატორიუმების აღდგენა და ახალი – ალპინისტური ბანაკების, სამთო-სათხილამურო ტრასების, კემპინგების, სანატორიუმებისა და პანსიონატების მშენებლობა რესპუბლიკის ეკონომიკაში სახსრების მოზიდვის სოლიდური ფაქტორი და ახალგაზრდა სახელმწიფოს დადებითი იმიჯის ფორმირების საშუალებაა. არის შესაძლებლობა უცხოური მსხვილი სანარმოების მხრიდან ინვესტიციების მოზიდვისა დასასვენებელი ობიექტების შესაქმნელად, მათ შორის — ამავე კომპანიების თანამშრომლებისთვის.

პერსპექტივები არის ეკონომიკის სხვა დარგებშიც – მშენებლობასა და ტრანსპორტში, საშენი მასალების მრეწველობაში. სამხრეთ ოსეთის წიაღი ბოლომდე არაა შესწავლილი, თუმცა არის ინფორმაცია, რომ ზოგი სასარგებლო წიაღისეულის მარაგი საკმაოდ დიდია. აუცილებელია რესპუბლიკის მთის მდინარეების ბაზაზე მცირე ენერგეტიკის განვითარების შესაძლებლობების დეტალურად შესწავლა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე ათწლეულის წინ აქ მცირე ჰესები წარმატებით ფუნქციონირებდა (მათ შორის — ცხინვალის ჰესი). მთლიანად „შემოტანილ“ ელექტროენერგიაზე დამოკიდებულება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილშიც არსებითი რისკების შემცველია. ყველა ეს მიმართულება როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან დაგეგმვაში დეტალური შესწავლისა და პრაქტიკული განხორციელების საგნად უნდა გადაიქცეს. ამ პროგრამების ამოქმედების ძირითადი მიზანი ისეთი მდგომარეობის მიღწევაა, როცა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით თვითკმარი ქვეყანა, დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც საკუთარ ბიუჯეტს დამოუკიდებლად ჩამოაყალიბებს. სწორედ ამ მიზნების მიღწევაზე უნდა იყოს მიმართული რესპუბლიკის ხალისუფლების ყველა შტოსა და სამხრეთ ოსეთის მთელი საზოგადოების ძალისხმევა.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ უახლოეს მომავალში რა მიმართულებითა და ტემპებით განვითარდება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკა, უნდა გადავხედოთ აგროსამრეწველო კომპლექსისა და მრეწველობის განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების შინაარსს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა.

ინდუსტრიული განვითარების მთავარ მიზანს, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ჩამოყალიბების ხარჯზე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამრეწველო სანარმოების ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენს. ამის მისაღწევად ახალი სანარმოების შენების, გაჩერებული და მოქმედი წარმოებების რეკონსტრუქციისა და პროფილის შეცვლის გზით რესპუბლიკის სამრეწველო სანარმოების მწარმოებლური პოტენციალის განვითარებაა დაგეგმილი; ახალი მწარმოებლური სიმძლავრეებისა და რესურსების დაზოგვითი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

სახელმწიფო პროგრამების შესასრულებლად საჭიროა არსებული პოტენციალის სრულად ამოქმედება, სერიოზული ძალისხმევა, მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებებისა და შრომითი რესურსების მოზიდვა. როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამხრეთ ოსეთში ორ ათეულზე მეტი სამრეწველო სანარმო ფუნქციონირებდა, ძირითადად — საშუალო და მცირე. წარმოების წლიური მოცულობა შეადგენდა მხოლოდ 120 მილიონ მანეთს.

ავვისტოს მოვლენების შედეგად ცალკე აღებულ რესპუბლიკის სამრეწველო სანარმოებს 1,5 მილიარდი რუბლის ოდენობის ზარალი მიადგა. ამჟამად, სანარმოების წარმოების სიმძლავრეების 70 პროცენტზე მეტი მწყობრიდანაა გამოსული და მოძველებულია. ამის გამო ფაბრიკებისა და ქარხნების მუშაობა ნაწილობრივ ან

მთლიანად პარალიზებულია. 17 სანარმოდან რეალურად ფუნქციონირებს მხოლოდ ცხრა: „ელექტროვიბრომაშინა“, „ემალპროვოდი“, მექანიკური ქარხანა, ბაგიათის ჩამოსასხმელი ქარხანა, ტყე-კომბინატი, ლუდისა და ხილის წყლების ქარხანა, სანარმო „იუგოსტალკი“, პურფუნთუშეულის სანარმო, პოლიგრაფიული გაერთიანება. ამათგან ყველაზე კარგად პურფუნთუშეულის სანარმოსა და ბაგიათის ჩამოსასხმელ ქარხანას აქვთ საქმე, თუმცა მთლიანობაში დარგი ნამგებიანია. იმ ობიექტებიდან, რომლებიც თავიდანაა ასამუშავებელი, უნდა გამოვყოთ კვაისას მადნის სამმართველო, სამკერვალო ფაბრიკა, ჟანგბადის სადგური, საკონსერვო, რძისა და ღვინის ქარხნები, ხორცკომბინატი, პურის მიმღები სანარმო. წარმოების სფეროში მომუშავეთა რიცხვი დღესდღეობით იმდენია, რამდენიც უნინ მხოლოდ ქარხანაში „ელექტროვიბრომაშინა“ მუშაობდა. 2010 წელს ყველა სამრეწველო სანარმოში მოხერხდა ხელფასის 1,5-ჯერ მომატება, ხოლო მექანიკურ ქარხანაში კი — სამჯერ.

აშკარაა, რომ დარგის არსებული სანარმოო პოტენციალი დღესდღეობით სრულად არაა გამოყენებული. ეს უმეტესწილად წარმოების დაბალი ტექნიკური დონითა და წარმოებული პროდუქციის ხარისხითაა განპირობებული. სანარმოების ხარჯზე ტექნიკური გადაიარაღება და მშენებლობა საკუთარი ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო მუხრუჭდება.

სამრეწველო სანარმოებში შექმნილი ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრეწველობის განვითარების პრობლემები და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება რესპუბლიკის ეკონომიკის საერთო პრობლემებთან მჭიდროდაა დაკავშირებული და აქვს დარგობრივი სპეციფიკური თავისებურებები. ძირითად პრობლემებად მიჩნეულია:

- წარმოების აღჭურვილობის დაბალი ტექნიკური დონე, ტექნოლოგიური მოწყობილობისა და წარმოების ძირითადი საშუალებების მორალური და ფიზიკური ცვეთა;
- წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და მოდერნიზაციისთვის საჭირო საბრუნავი სახსრებისა და დანაზოგის არარსებობა;
- შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე;
- განუვითარებელი შიდასახელმწიფოებრივი სანარმოო კოოპერაცია;
- პროდუქციის წარმოების ხარისხის საერთაშორისო მეთოდებისა და მართვის სტანდარტებიდან ჩამორჩენა;
- სამრეწველო პოლიტიკაში გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანა მდგომარეობს იმპორტჩანაცვლების აქტიური პოლიტიკის გატარების გზითა და შრომატევადი და კაპიტალტევადი წარმოებებიდან რესურსდაზოგვით წარმოებებზე გადასვლის გზით სამრეწველო პროდუქციის იმპორტზე რესპუბლიკის დამოკიდებულების გეგმაზომიერ შემცირებაში.

მაგალითისთვის, მხოლოდ 2011 წელს ლუდისა და ხილის წყლების ქარხნისთვის ლუდისა და მინარელური წყლის ავტომატური ჩამოსასხმელი ხაზის შექმნა და ექსპლუატაციაში შეყვანა იყო განსაზღვრული, რომლის სიმძლავრე საათში 2400 ბოთლია. ქარხანაში „ემალპროვოდი“ პროფნასტილის (თანამედროვე სამშენებლო მასალაა, გამოიყენება გადახურვისა და მოპირკეთებისთვის) და ლითონკრამიტის წარმოების დაწყება იგეგმება. მასშტაბური მშენებლობის პირობებში ამ მასალებზე დიდი მოთხოვნაა. თანამედროვე მოწყობილობის შექმნა წელიწადში 550 ათასი კვ/მ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. იგეგმება ყველაზე რენტაბელური სანარმოს — ბაგიათის ჩამოსასხმელი ქარხნის რეკონსტრუქცია. მიმდინარეობს ახალი ანგარის მშენებლობისა და ახალი ჩამოსასხმელი ხაზის გამართვა. ობიექტების ხელახალ აღჭურვასა და პროფილის შეცვლაზე მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯება.

2011 წელს ასევე დაგეგმილია სამკერვალო ფაბრიკის გადაიარაღება, რაც ხელს შეუწყობს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით კონკურენტუნარიანი და თანამედროვე პროდუქციის წარმოებას, რომელზე მოთხოვნაც მოსალოდნელია

გაიზარდოს. ამას გარდა, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით აშენდება აგურის ქარხანა (საბჭოთა პერიოდში ცხინვალში ორი, აგურისა და კრამიტის, ქარხანა მუშაობდა). იმ პირობებში, როცა რესპუბლიკაში მასშტაბური მშენებლობებია, ამ ქარხნის პროდუქციაზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზრდება.

ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიება მიმართულია, რომ რესპუბლიკის მრეწველობა გამოიყვანოს წამგებიანი მდგომარეობიდან, განამტკიცოს მისი პოზიცია ბაზარზე, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაზარდოს მუშა-მოსამსახურეების ხელფასები¹⁶.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პროგრამაზე მხოლოდ 2011 წელს 600 მილიონი რუბლი გამოიყო. თუ პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები შესრულდება, მაშინ მოსალოდნელია:

- მაღალხარისხიანი საკვები პროდუქტების წარმოების თანამედროვე ეფექტური სისტემის შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა;
- სოფლებში ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სფეროში კერძო მენარმეობის განვითარება;
- რესპუბლიკის მასშტაბით საკვები ბაზის მოსამზადებელი სისტემის შექმნა და ფერმერული მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფა;
- გადამამუშავებელი საწარმოებისთვის სახელმწიფო შეკვეთის ჩამოყალიბების გზით ფერმერებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერი სისტემის შექმნა.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისთვის რესპუბლიკას საკმარისი რესურსი აქვს. უნიკალური ლანდშაფტი და კლიმატური პირობები შედარებით პატარა ტერიტორიაზე მრავალპროფილიანი და მაღალმწარმოებლური აგარული წარმოების უზრუნველყოფის შესაძლებლობებს იძლევა.

ამკარაა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნიკით საკმარისად აღჭურვის გარეშე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უნიკალური ბუნებრივი პოტენციალის ამოქმედება შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლების, რესპუბლიკის საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროგრამის რეალიზების მეშვეობით მოსახლეობის საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა, ხოლო მომავალში, ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთდ, სამხრეთ ოსეთში მუდმივად საცხოვრებლად ჩამომსვლელთა რიცხვიც გაიზრდება. შესაბამისად, ახლად ჩამოსული მაცხოვრებლები ხარისხიან საკვებ პროდუქტებზე რესპუბლიკის მოთხოვნილებებს გაზრდიან. თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთში გადმოსახლებულები სამუშაო ადგილებით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი.

აღნიშნული რთული პრობლემის გადაწყვეტაზე გადამამუშავებელი სექტორის გასავითარებელი ღონისძიებებია მოწოდებული. ამას გარდა, ადგილობრივი საქონელმწარმოებლების პროდუქციის გადამამუშავებაზე ორიენტირებული თანამედროვე გადამამუშავებელი კომპლექსი ფერმერული მეურნეობის გრძელვადიანი მხარდაჭერის ინსტრუმენტი გახდება და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გარანტიას უზრუნველყოფს.

ამკარაა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნიკით საკმარისად აღჭურვის გარეშე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უნიკალური ბუნებრივი პოტენციალის ამოქმედება შეუძლებელია.

¹⁶ სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მრეწველობის განვითარება“ 2011 წლისთვის (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო).

გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლების, რესპუბლიკის საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროგრამის რეალიზების მეშვეობით, მოსახლეობის საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა, ხოლო მომავალში, ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთდ, სამხრეთ ოსეთში მუდმივად საცხოვრებლად ჩამომსვლელთა რიცხვიც გაიზრდება. შესაბამისად, ახლად ჩამოსული მაცხოვრებლები საკვები პროდუქტების დამატებით გამოომუშავებაზე რესპუბლიკის მოთხოვნილებებს გაზრდიან.

კონკურენტუნარიანი აგრომრეწველობის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების კომპლექსი ითვალისწინებს მოქმედებებს შემდეგი ძირითდი მიმართულებებით:

1. მეცხოველეობის განვითარება;
2. მემცენარეობის განვითარება;
3. სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებელთა ტექნიკური აღჭურვა და გადაიარაღება;
4. მოქმედი კვების საწარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და ახალი საწარმოების აშენება.

პროგრამის განხორციელების პერიოდში იგეგმება მეცხოველეობის კომპლექსების აშენება. უზრუნველყოფილი იქნება 5 სარძეო-სასაქონლო ფერმის (თითოეული — 100 სულ პირუტყვზე) და 10 სასაკვებე მოედნის მშენებლობა, ასევე სარძევე კომპლექსისა და ხორცკომბინატის მშენებლობა.

პირუტყვის გენეტიკური პოტენციალის ამაღლების მიზნით, პროგრამით გათვალისწინებულია 2011 წლის მანძილზე 500 სული საჯიშე პირუტყვისა და 1000 სული სახორცე პირუტყვის შეძენა, ნახირის სტრუქტურისა და რაოდენობის ოპტიმიზაცია, საჯიშე პირუტყვის გენოფონდის შენარჩუნება და გაუმჯობესება, მეცხოველეობის სასაკვებე ბაზის გაუმჯობესება, ცხოველების ვეტერინარული დაცვა.

დაგეგმილია 15 ტონა/დღელამეში სიმძლავრის სარძევე კომპლექსის აშენება რძის წარმოების დახურული ციკლით, ევროპული ნიმუშის ინტენსიური ტექნოლოგიის მიხედვით.

სახორცე მეცხოველეობა ძირითადად რესპუბლიკის მთიან, მთისწინა რაიონებსა და საველე ზონის ზოგ მეურნეობაში განვითარდება. ამ დარგის განვითარებისთვის შემოიყვანენ ყალმუხური, სიმენტალური, ჰერეფორდული ჯიშის პირუტყვს და ამ პირუტყვთან საჯიშე მუშაობა იგეგმება.

ხორცის წარმოებისა და მისი გადამამუშავების დასრულებული ციკლის მისაღებად ცხინვალში იქმნება ხორცკომბინატი სიმძლავრით 10 ტონა/დღე-ლამეში.

რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მთის საძოვრების პოტენციალის გამოყენება. ბუნებრივი საკვებით მდიდარი მთიანი ადგილები, რომლებიც 60 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული, დღესდღეობით სრულად არ გამოიყენება. სამომავლოდ, პირუტყვის სულადობის გაზრდასთან ერთად, საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობაში გაიზრდება მთის საძოვრების ბუნებრივ საკვებზე დატვირთვა. მთის საძოვრების გამოყენება პირუტყვის შენახვა-გამოკვების სეზონურ ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს; ეკოლოგიურად სუფთა, ქორფა მთის ბალახის მრავალსახეობა გაზრდის მის პროდუქტიულობას. ამას გარდა, მთის საძოვრები მაღალხარისხიანი თივის მოსამარაგებლადაა აუცილებელი.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, მისი ყველა ბუნებრივი ზონით, სამრეწველო მეზღვეობისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს. ამ სფეროში სპეციალიზაციისთვის რესპუბლიკას უნიკალური პირობები აქვს. მის ტერიტორიაზე ხილის კულტურების გასაშენებლად ხელსაყრელ ფაქტორთა მთელი კომპლექსია, პირველ რიგში — დამნიფების სხვადასხვა ვადის ვაშლი.

მეზღვეობა — ეკონომიკურად და სოციალურად ეფექტიანი დარგია, რომელსაც ინვესტიციების მაღალი რენტაბელურობის და სოფლის მოსახლეობის დაკავების უზრუნველყოფის შესაძლებლობა აქვს. დღესდღეობით რუსეთში საბაზრო

მოთხოვნილება ხილზე მთლიანად დაკმაყოფილებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობითაა შემოტანილი ძვირი და ეკოლოგიურად არცთუ სუფთა იმპორტული პროდუქცია.

ამასთან დაკავშირებით, პროგრამის განხორციელების პერიოდში მებაღეობის განვითარება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულება გახდება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

- ინტენსიური და სუპერინტენსიური ბაღების გაშენება 150 ჰა-ზე;
- ვაზის ჩაყრა 50 ჰა-ზე;
- კაკლის გაშენება 50 ჰა-ზე;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება მემცენარეობის პროდუქციის გადამუშავების უზრუნველყოფითა და დარგის აგროსერვისული მომსახურებით.

სამხრეთ ოსეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, უცხოური და რესპუბლიკის ბაზრების კონიუნქტურა განაპირობებენ რესპუბლიკაში ხილბოსტნეულის დაკონსერვებისა და ხორცისა და რძის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივას.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის დაგეგმილ ღონისძიებათა მიზანს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური და კონკურენტუნარიანი წარმოების შექმნის გზით პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა და ამის საფუძველზე დინამიკური ეკონომიკური ზრდისა და დარგში მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდის მიღწევა.

საკონსერვო დარგში დასახული ამოცანების გადასაწყვეტად 2011 წელს ცხინვალის საკონსერვო ქარხნის აღდგენა და მოდერნიზაციაა დაგეგმილი, ასევე სანარმოს აღჭურვა წვენების ასეპტიკური ჩამოსხმის აპარატებით და ხილისა და ბოსტნეულის ფაფების დამზადება.

საკვებწარმოების განვითარების თვალსაზრისით იგეგმება ერთნლიანი და მრავალნლიანი ბალახეული და ბოსტნეული კულტურების, მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და სარწყავი მოწყობილობების შექმნა.

ტრადიციული მებოსტნეობა სასათბურე მეურნეობით შეივსება. დაგეგმილია სათბურების 7 ათას კვ.მ.-ზე აშენება, წვეთოვანი სარწყავი სისტემითა და თხევადი სასუქების გამოყენებით.

2011 წელს გამოიყოფა სახსრები თევზის მეურნეობის შესაქმნელად, მეფუტკრეობისთვის მოწყობილობის შექმნისა და სარწყავი სისტემის „ხეთაგუროვო-მუგუთი“ რემონტისა და აღდგენისთვის¹⁷.

სამხრეთ ოსეთში განსაკუთრებული ყურადღება ყოველთვის ეთმობოდა გზების მშენებლობას. ვინაიდან რესპუბლიკა საშუალომთიან და მაღალმთიან ზონაშია განლაგებული, გზების დამგებებს გარკვეული სირთულეები ხვდებათ წინ. ზოგჯერ ტრასები კლდოვან ქანებშია გასაყვანი, დასაყენებელია დამცავი ჯებირები, ასაშენებელია ხიდები, გვირაბები, ზვავსაწინააღმდეგო და ღვარცოფის საწინააღმდეგო გალერეები, აკვედუკები და ვიადუკები.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავარ სატრანსპორტო არტერიას ტრანსკავკასიური საავტომობილო მაგისტრალი წარმოადგენს, რომელიც სამხრეთ ოსეთს უშუალოდ ჩრდილოეთ ოსეთთან აკავშირებს, ხოლო მისი გავლით კი — რუსეთთან. ეს ყველაზე მოკლე და მოსახერხებელი გზაა, რომელიც მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს და ჩრდილოეთ კავკასიას მთელ კავკასიასთან და, შეიძლება ითქვას, ევროპას აზიასთან საიმედოდ აკავშირებს. ის დიდი აბრეშუმის გზის

¹⁷ სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება“ 2011 წლისთვის (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო).

თანამედროვე ვარიანტად გვევლინება. ტრანსკავკასიური მაგისტრალის პროექტირებისას გათვალისწინებული იყო ამ მშენებლობის ყველაზე ეკონომიკური სარგებელი; მის ფუნქციონირებაში არა მარტო საქართველო, არამედ სომხეთი და აზერბაიჯანიც იყვნენ დაინტერესებული. ტრასა შეიძლება გაგრძელებულიყო ირანში, თურქეთში, იქიდან კი — ახლო აღმოსავლეთში. ამ ზღუდეებზე ტრასის გასვლის შემთხვევაში, ფაქტობრივად ადგილობრივი მნიშვნელობის გზად გადაიქცეოდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც სეზონურად ფუნქციონირებდა. თუმცა, ჯერ კიდევ 2000 წლის დასაწყისში საკუთარი საზღვრების ჩაკეტვით საქართველომ ტრასის პოტენციური მნიშვნელოვნად შეამცირა. ასეთი მკაცრი და არაშორსმჭვრეტელი გადაწყვეტილებით იზარალა ყველამ, მათ შორის — საქართველომაც. მაგრამ აქ წინა პლანზე არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ინტერესები დადგა. სატრანსპორტო ბლოკადის მუქარით ქართულმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა საკუთარი პოლიტიკური ნების სხვისთვის თავს მოხვევას. გასაგებია, რომ სამხრეთ ოსეთმა სატრანზიტო შესაძლებლობები დაკარგა, მაგრამ ტრანსკავკასიური მაგისტრალი მისთვის პირველ რიგში არა ეკონომიკური კეთილდღეობის ფაქტორი, არამედ უსაფრთხოების, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ორი ოსეთის მტკიცე კავშირის პირობაა. ტრანსკავკასიური მაგისტრალის გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ თვით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არსებობის საკითხი დადგებოდა. ამჟამად ეს გზა არის ერთადერთი სატრანსპორტო არტერია, რომელიც სამხრეთ ოსეთს გარე სამყაროსთან აკავშირებს.

ფუნქციონირების 30 წლის მანძილზე ტრანსკავკასიური მაგისტრალით მილიონობით ტონა ტვირთი გადაიზიდა; ასევე მთამბეჭდავია მგზავრთა რაოდენობაც. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ეს ტრასა ოსებისთვის ჭეშმარიტად იქცა „სიცოცხლის გზად“. აგრესიების, თავდასხმებისა და ბლოკადების დროს ამ გზით შემოდიოდა დახმარება, როკის გვირაბით თავს შველოდნენ ლტოლვილები. ამჟამად ამ გზით სამხრეთ ოსეთში ჩამოდიან პოლიტიკოსები, დიპლომატები, ბიზნესმენები, მენარმეები, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამომადგენლები და უბრალოდ — სტუმრები.

მაგრამ ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე იმთავითვე აღმოჩნდა სამშენებლო ხარვეზები, დეფექტები, რაც მოძრაობის სიჩქარესა და უსაფრთხოებაზე აისახებოდა. 2011 წლიდან დაიწყო ტრანსკავკასიური მაგისტრალის, პირველ რიგში, როკის გვირაბის რეკონსტრუქცია. 2015 წლისთვის ყველა სამუშაოს დასრულება იგეგმება. გვირაბი ყველა საჭირო მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მიმოსვლისთვის უფრო მოხერხებული გახდება. ტრასაზე აგებული დამცავი გალერეები, ესტაკადები, წელიწადის ნებისმიერ დროს ტრასას უსაფრთხოს გახდიან. ყველაფერი ეს უშუალოდ აისახება რესპუბლიკის უსაფრთხოებაზე, ვინაიდან გაადვილდება საქონლის გატანა და შემოტანა, რაც ინვესტორებისთვის რესპუბლიკას უფრო მიმზიდველად აქცევს.

ტრანსკავკასიური მაგისტრალის გარდა, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზეცაა დაგეგმილი. ეს, პირველ რიგში, ცხინვალი-ზნაურის, ცხინვალი-ლენინგორის, ცხინვალი-კვაისას ტრასებია. პერსპექტივაში გზების გაყვანა ყველა მოშორებულ სოფლამდე, ფერმამდე, საძოვრამდე, აგრეთვე — სასარგებლო წიაღისეულის საბადოებამდე და მინარეღური წყლების წყაროებამდეა დაგეგმილი.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში კავკასიურ ქედზე რკინიგზის გაყვანაზე იყო საუბარი. შემუშავდა პროექტი, განისაზღვრა სამშენებლო ორგანიზაციები, გამოიყო სახსრები. მაგრამ უკანასკნელ მომენტში უპირატესობა საავტომობილო გზას მიენიჭა. სამხრეთ ოსეთში რკინიგზა მხოლოდ 1940 წელს გაჩნდა; ეს იყო გორი-ცხინვალის ტოტი. 1991-1992 წლების აგრესიის შედეგად მან ფუნქციონირება შეწყვიტა, ხოლო ლიანდაგები აყარეს.

ამჟამად კავკასიური რკინიგზის მშენებლობა, სამხრეთ ოსეთის მთებქვეშ გვირაბის გათხრით, დღის წესრიგში კვლავ დადგა. განიხილება პროექტები, მიმდინარეობს ტექნიკური მახასიათებლების შესწავლა. პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ მშენებლობა არცთუ დიდ ფინანსურ დანახარჯებსა და არცთუ დიდ

დროს საჭიროებს. ასეთი გზის მწყობრში ჩადგომით გადაწყდება კვაისას მადნეულის მოპოვების აღდგენის საკითხი, სხვა სამრეწველო საწარმოებს თავისი სიმძლავრეების გაზრდის შესაძლებლობა მიეცემათ, სოფლის მეურნეობის მუშაკებს სტიმული მიეცემათ, გაჩნდება ტურიზმისა და საკურორტო სექტორის განვითარების პერსპექტივები, რესპუბლიკა უფრო მიმზიდველი გახდება ინვესტორებისთვის.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სატრანსპორტო მშენებლობის პროექტებში გარკვეული ადგილი ავიაშიმოსვლას ენიჭება. რომ არაფერი ვთქვათ სუვერენულ სახელმწიფოზე, ის ნებისმიერი განვითარებული ადმინისტრაციული სტრუქტურისთვისაა აუცილებელი, თუნდაც — როგორც ტრადიციული კომუნიკაციების დივერსიფიცირებული ვარიანტი. და თუ აეროდრომის მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ არ დგას (ის მხოლოდ პერსპექტივაშია), საკუთარი სავერტმფრენო მეურნეობისა და მასთან სამი მოედნის — ცხინვალში, ლენინგორსა და ძაუში — შექმნა საკმაოდ რეალურია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავშირისგაბმულობის პრობლემა სასწრაფოდ გახდა გადასაწყვეტი. ვინაიდან საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი სამხრეთ ოსეთისთვის მხოლოდ საქართველოს გავლით ხორციელდებოდა, საჭირო გახდა ტრანზიტორებისგან დამოუკიდებელი ხაზების გამართვა. რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში გაზსადენის მშენებლობის პარალელურად ოპტიკურბოჭკოვანი კაბელი გაიყვანეს. ცხინვალამდე ის ჯერ არ მისულა, თუმცა ხაზის გაყვანა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. დღესდღეობით ოპერატორები უფრო ხარისხიანი და მისანვლომი ინტერნეტკავშირით არიან დაინტერესებული. მობილური კავშირი მხოლოდ ერთი ოპერატორის („მეგაფონი“) მეშვეობითაა უზრუნველყოფილი მაშინ, როცა მომხმარებლებს ყველგან აქვთ არჩევანი, რაც ოპერატორებს შორის კონკურენციას ქმნის და მობილური კავშირის გაიაფებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს, აფართოებს სხვადასხვა მომსახურების ნუსხას.

როგორც უკვე აღინიშნა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკურ სექტორში ყველაზე მკაფიო მიღწევას „ძუარიაკაუ-ცხინვალის“ გაზსადენი წარმოადგენს, რომელმაც ამ სახის სანვავში რესპუბლიკის მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილა. გაზი გაიაფდა, მისი მიწოდება შეუფერხებლად ხდება. ადრე რუსეთის გაზი სამხრეთ ოსეთში საქართველოს გავლით ხვდებოდა, რაც ტრანზიტის გამო ფასს ზრდიდა.

სამხრეთ ოსეთში ელექტროენერჯიაც რუსეთიდან შემოდის. ამჟამად კიდევ ერთი ელექტროგადამცემი ხაზი შენდება, რომლის სიმძლავრე 35 კილოვატის ნაცვლად 130 კვტ-მდე გაიზრდება. ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა ზარამაგის ჰესის ამოქმედების შედეგად (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრიდან 30 კმ-ში). აგრეთვე შემუშავდა სამხრეთ ოსეთში გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. აქ ასევე არსებობს ქარისა და მზის ენერჯის გამოყენების ყველანაირი შესაძლებლობა.

ეკონომიკის სტაბილიზაციას და აღმავლობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, არამედ რესპუბლიკის ბუნებრივი პირობებიც. ამ მხრივ სამხრეთ ოსეთს განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს. აქაური კლიმატი ადამიანისთვის თითქმის იდეალურია. ტემპერატურული ბალანსი, ნალექების ოდენობა, ატმოსფერული წნევა, ჰაერის ცირკულაცია — ყველაფერი ეს ჯანმრთელობისთვის სასიკეთოა. თვით რესპუბლიკა სამ მაღალ სარტყელშია განლაგებული — საველე, საშუალომთიან და მაღალმთიანში. ლანდშაფტური ზონებიც ძალიან თვალწარმტაცია და მრავალფეროვანია. ტყის მასივები და წყლები აქაურობას უფრო ამშვენებენ. ბუნების სილამაზე, სუფთა ჰაერი და წყალი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები სამხრეთ ოსეთს, განსაკუთრებით — საკურორტო მშენებლობისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მეტად მიმზიდველს ხდიან.

სამხრეთ ოსეთის უნიკალური ბუნებრივი შესაძლებლობები დიდი ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აქ მინერალური წყლების ბაზაზე აშენდა სანატორიუმები, პროფილაქტორიები, დასასვენებელი სახლები, სამკურნალო დანესებულებები, პანსიონატები, ტურბაზები (საერთაშორისოც), პიონერთა ბანაკები. ყველზე მსხვილი საკურორტო ობიექტი იყო სანატორიუმი „ძაუ“, სადაც

დამსვენებლები მთელი სსრკ-დან ჩამოდიოდნენ. 1991 წლის სამხედრო მოქმედებებისა და მიწისძვრის შედეგად მრავალი სარეკრეაციო ობიექტი დაინგრა, თვით საკურორტო მეურნეობა კი გაპარტახდა.

ახლა ეს ყველაფერი აღორძინების გზაზეა. ნელ-ნელა ყველა აცნობიერებს, რომ ეს სფერო შეიძლება სწრაფი ეკონომიკური ეფექტის მომტანი გახდეს. გარდა ამისა, სწორედ აქ შეიძლება ველოდოთ ინვესტიციების შემოდინებას. საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება სახელმწიფოთაშორის კავშირებს ამყარებს, ტერიტორიებს მისაწვდომსა და გახსნილს ხდის, აახლოებს ხალხებს და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

სამხრეთ ოსეთი მინერალური წყლების მრავალფეროვნებითაცაა უნიკალური. აქ 2,5 ათასზე მეტი წყაროა, თანაც განსხვავებული წყლის ქიმიური შემადგენლობით, ბალნეოლოგიური შესაძლებლობებითა და დებეგით. ჯერ კიდევ სსრკ-ის დროს ეს წყლები ავსტრიის, გერმანიის, პოლანდიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ინტერესს იწვევდა. მინერალური წყლების ჩამოსხმითა და გასაღებით დაკავებულ რამდენიმე კომპანიასთან წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც უნდოდა სასმელი წლის ექსპლუატაცია. ახლა მინერალური წყლების ჩამოსხმა მხოლოდ ბაგიათისა და ძაუს წყაროებიდან ხდება. ბაგიათის ჩამოსასხმელი ქარხნის პროდუქცია სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთაც გადის; ეს საწარმო დღემდე რესპუბლიკის რენტაბელურ სამრეწველო ობიექტს წარმოადგენს.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვებში პარლამენტისა და ხალხისადმი უახლოესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებია დასახული, რომელთა შორისაც უპირატესობა იმას ენიჭება, რასაც ადამიანების კეთილდღეობა მოაქვს. ყურადღება იმას ექცევა, რომ ძირითადი ძალისხმევა იმ სფეროებზე იყოს მიმართული, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხს.

ტურიზმი — თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, რომელიც ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მათი ცხოვრების დონის ამაღლებისკენაა გამიზნული. ამასთან, მსოფლიო ბაზრებზე არამდგრადი ვითარების პირობებში, ტურიზმი, ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, უფრო მაღალ სტაბილურობას ამჟღავნებს. ამ მიზეზით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების პროგრამა შემუშავდა; ამ პროგრამაში დასახული ამოცანებით, განხორციელების ვადებითა და რესურსებით ნავარუადევია ურთიერთდაკავშირებული მიზნობრივი ღონისძიებების ერთობლიობა; აგრეთვე — ცალკეული პროექტებითა და პროგრამით გაუთვალისწინებელი საორგანიზაციო, სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკურ-დიპლომატიური ხასიათის ქმედებები, რაც ტურიზმის მდგრადი და დინამიკური განვითარების პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას უზრუნველყოფს.

პროგრამაში გათვალისწინებული დებულებები ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ საერთო-სახელმწიფოებრივი ხედვისათვის შექმნიან საფუძველს; განისაზღვრება აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე მდგომი ამოცანები ტურიზმის განსავითარებლად, აგრეთვე — ტურისტული ინდუსტრიის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიმართულება და დონე.

პროგრამით გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროში კანონმდებლობის სრულყოფა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ეკონომიკური განვითარების ტურისტულ-რეკრეაციული ზონების გასახსნელად ნორმატიული ბაზის შექმნა და მის საფუძველზე გამაჯანსაღებელი და ტურისტული დანიშნულების კომპლექსების აშენება, სამხედრო აგრესიის დროს გაპარტახებული სამხრეთ ოსეთის ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენა, დამსვენებელთა და ტურისტების უზრუნველსაყოფად კადრების მომზადება, უცხოურ ქვეყნებთან ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განმტკიცება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამხრეთ ოსეთში არატრადიციული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები — სამთო, წყლის, ველოტურიზმის, ეთნოტურიზმისა და ა.შ. აქ ასევე შესაძლებელია

შეიქმნას ზამთრის სპორტის სახეობათა ცენტრები, ალპური ბანაკები, ოლიმპიური მომზადების ბაზები¹⁸.

მას მერე, რაც 20 წლის წინ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოცხადდა და სახელმწიფო აღმშენებლობა დაიწყო, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღება საერთაშორისო კავშირების განვითარებას დაეთმო. 1992 წელს, ჯერ კიდევ სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პირველ ეტაპზე სწორედ ეს უწყება დაკავდა საგარეო-ეკონომიკური პრობლემებით. ამის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც შემდგომში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროდ გადაკეთდა.

პირველი ეკონომიკური შეთანხმება 1993 წელს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან დაიდო. შემდეგ, 1996 წელს, მოსკოვში ხელი მოეწერა სახელმწიფოთაშორის მემორანდუმს, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობის მუხლებს შეიცავდა. ხელშეკრულებებში, რომლებსაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერა აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკებთან, ადგილი დაეთმო ურთიერთკავშირებს სამეურნეო საქმიანობის სფეროში. ეს სამი სახელმწიფო წარმონაქმნი გაერთიანდა პარლამენტთაშორის ასამბლეაში „ხალხთა უსაფრთხოებისა და უფლებებისათვის“. ასამბლეის ერთ-ერთი ქვედანაყოფი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტითა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებითაა დაკავებული.

სამხრეთ ოსეთი ყველაზე დიდ ეკონომიკურ მხარდაჭერას რუსეთისგან იღებდა. თავიდან რუსეთი ურთიერთობებს აგებდა, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრე, მაგრამ მალე ურთიერთობების პარამეტრებმა, მოცულობამ და პირობებმა ახალი კონტურები შეიძინეს. მატერიალური, ტექნიკური და ნებისმიერი სხვა დახმარება რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში შემოდიოდა 1990 წლის სექტემბრიდან 2008 წლის აგვისტომდე, მაგრამ იყო არსებითი შეზღუდვები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ უკანასკნელის პოლიტიკური სტატუსი გარკვეული არ იყო. სამხრეთ ოსეთი დე ფაქტო დამოუკიდებელ რესპუბლიკად რჩებოდა, მაგრამ არა — დე იურე.

„ხუთდღიანი ომის“ დასრულების შემდეგ, 2008 წლის 26 სექტემბერს, რუსეთმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აღიარა და ამ მომენტიდან დროის ხელახალი ათვლა დაიწყო. უკვე 2008 წლის 17 სექტემბერს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას“ მოეწერა ხელი. ამის კვალდაკვალ კიდევ 50 ორმხრივი ხელშეკრულება დაიდო. იმ ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც ეკონომიკურ თანამშრომლობას ეხებოდა, აღსანიშნავია შეთანხმება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროებს შორის ფინანსური დახმარების შესახებ, რომელიც გამიზნულია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღდგენაზე, დაბალანსებული ბიუჯეტის უზრუნველყოფასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, აგრეთვე — ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხში დახმარების განევაზე, ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის სავაჭრო წარმომადგენლობების დანესების თაობაზე, ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის კაპიტალდაბანდებების ნახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის სამინისტროს შორის — მემორანდუმი ურთიერთგაგებისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.

¹⁸ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების პროგრამის განხორციელების ღონისძიებათა გეგმა. 2010 წ. (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობა).

ამ და სხვა ხელშეკრულებების თანახმად, სამხრეთ ოსეთმა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ 30 მილიარდი რუბლის ოდენობით სხვადასხვა სახის დახმარება მიიღო. რესპუბლიკის აღსადგენად მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა, მაგრამ ეს არა მარტო კომუნალურ და კერძო მშენებლობებს, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურის ობიექტების, სახელმწიფო დაწესებულებების ფართებისა და შენობების მწყობრში ჩაყენებას ეხება, არამედ სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სრულმასშტაბიან სტიმულირებას.

ამ მომენტიდან სამხრეთ ოსეთმა რუსეთის ფედერაციის პრაქტიკულად ყველა სუბიექტთან მოაწერა ხელი ხელშეკრულებებს ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე. რუსეთის რესპუბლიკებიდან, ოლქებიდან და რეგიონებიდან შემოდიოდა და დღესაც შემოდის სხვადასხვა დანიშნულების ტვირთი (ძირითადად — უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით). აღდგენითი სამუშაოები მსხვილი სახელმწიფო სტრუქტურებისა (რუსეთის რკინიგზა, „სპეცსტროი“ და სხვა) და ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის რესპუბლიკებიდან, ასტრახანის, ტამბოვის, სამარის, ნოვგოროდის, ჩელიაბინსკის, ტიუმენის, ვოლგოგრადის ოლქებიდან, ასევე სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებიდან ჩამოსული მუშებისა და ბრიგადების მონაწილეობით ტარდება. ბევრ შენობას ეს სტრუქტურები და სუბიექტები საკუთარი სახსრებით აშენებენ. სამხრეთ ოსეთის აღდგენაში მონაწილეობას დსთ-ის ქვეყნების სპეციალისტები იღებენ უკრაინიდან, ბელორუსიდან, მოლდოვიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან.

ზოგი დასავლური სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურა, საერთაშორისო ორგანიზაცია დროდადრო ავლენს ინტერესს სამხრეთ ოსეთის მიმართ, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის აღდგენაში, მის საერთაშორისო-ეკონომიკურ ინტეგრაციაში თანამონაწილეობა ბევრს შეუძლია. ხანდახან შემოთავაზებულია კონკრეტული პროექტები, უფრო ხშირად — ერთობლივი. აქ საუბარია ისეთ პროექტებზე, რომლებშიც სამხრეთ ოსეთის, საქართველოსა და, შეიძლება, რომელიმე დასავლური კოორდინატორის ერთობლივი მონაწილეობა იგეგმება. უკანასკნელნი თანხმდებიან იმაზეც, რომ ორივე მხარემ პარიტეტულ საწყისებზე მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ ეს ყველაფერი კეთილი განზრახვებია, ხოლო თვით შემოთავაზებები, როგორც წესი, უფრო ნიადაგის მოსინჯვაა ცხინვალის მხრიდან შესაძლო რეაქციის გასაგებად.

მას მერე, რაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, იგი მეტად დაინტერესდა საერთაშორისო სტრუქტურებში უსწრაფესი ინტეგრაციითა და ამ მიმართულებით აქტიურობს კიდევ. თუმცა დღეისათვის მას წინ პოლიტიკური ბარიერები ეღობება, რომელთა გაუქმების გარეშე ძალისხმევა ამაო იქნება. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისთვის და ხალხისთვის მიუღებელია ის, რომ ზოგიერთი მას დღესაც საქართველოს ნაწილად მიიჩნევს, „ოკუპირებულ ტერიტორიად“ და „სეპარატისტებისა და კრიმინალების ბუდედ“ მოიხსენიებს. რომელ პარტნიორობაზეა საუბარი, როცა სახელზეც კი — „სამხრეთ ოსეთი“ — უარს ეუბნებიან. გაურკვეველი ეკონომიკური ეფექტის საფასურად მისგან პოლიტიკური სარჩულის მქონე დათმობებს მოითხოვენ. სამხრეთ ოსეთი არც ახლა და არც მომავალში არ დათანხმდება სახელმწიფოებრივი ინტერესების პოლიტიკურ ზარალს, თუნდაც დიდი ეკონომიკური დივიდენდების სანაცვლოდ.

აქ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. 2010 წელს ეუთო და ევროკავშირი სამხრეთ ოსეთს მეურნეობის აღსადგენად თავის დახმარებას დაბეჯითებით სთავაზობდნენ. მათმა წარმომადგენლებმა ზონკარის წყალსაცავი დაათვალიერეს, რომლის კაშხალიც ავარიულ მდგომარეობაშია. სამხრეთ ოსეთისთვის დახმარების პროგრამის დაფინანსების ნაშთის ფარგლებში, რომელიც სამხედრო მოქმედებების დაწყების გამო დარჩა, ისინი მზად იყვნენ სარემონტო სამუშაოებისთვის 800 ათასი ევრო დაეხარჯათ. ამის სანაცვლოდ, სამხრეთ ოსეთს თავის ტერიტორიაზე ევროპელი დამკვირვებლები, მათ შორის სამხედროებიც, უნდა დაემშვა. სამხრეთ ოსეთისთვის მსგავსი „გაცვლა“ იმთავითვე მიუღებელი იყო და ამ შემოთავაზებაზე უარი თქვა.

რუსეთის გარდა, სამხრეთ ოსეთი აღიარეს ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ. მხარეებმა რწმუნებათა სიგელების გადაცემისა და დელეგაციების გაცვლის პროცედურა გაიარეს. სამთავრობო დონეზე შეხვედრებისას აღინიშნა, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების შენებისას განსაკუთრებული ადგილი ეკონომიკურ თანამშრომლობას დაეთმობა. მოცემულ ეტაპზე მხარეები ვაჭრობის, სამეურნეო პროექტებში მონაწილეობის, სპეციალისტების გაცვლისა და მომზადების, ტექნოლოგიების გაცვლის შესაძლებლობებს სწავლობენ.

ამჟამად სამხრეთ ოსეთის საგარეო-ეკონომიკური უწყება სხვა ქვეყნების მხრიდან სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესის გაფართოებასა და გამყარებასთან დაკავშირებით დიდ სამუშაოს ატარებს. ამ სიაში განსაკუთრებული ადგილი ბელარუსს ეკუთვნის. ეს ქვეყანა ბევრჯერ იყო ახლოს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტასთან, მაგრამ ყოველ ჯერზე მისი ხელმძღვანელობა, კონიუნქტურული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სამომავლოდ დებდა. სავარაუდოა, რომ ბელარუსი სამხრეთ ოსეთს მაინც აღიარებს. ამასთან დაკავშირებით ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამის შემდეგ სამხრეთ ოსეთს ექნება რეალური შანსი გახდეს რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის სამრეწველო-საბაჟო საბჭოსა და დსთ-ისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებების წევრი.

1997 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“¹⁹. კანონი მიიღეს უცხოური კაპიტალდაბანდების და ტექნოლოგიების მოზიდვის, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სფეროში მართვის გამოცდილების გაზიარების, ფინანსური შემოდინებებისა და მოსახლეობის დასაქმების გაზრდის მიზნით. კანონით განისაზღვრა თავისუფალი ეკონომიკური ზონის რეზიდენტის სტატუსი, დაკონკრეტდა დებულებები უცხოური ვალუტისა და ინვესტიორების შესახებ. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში საერთაშორისო ბიზნესკომპანიების შექმნა იყო გათვალისწინებული, რომლებზეც შემდეგი შეღავათები ვრცელდებოდა:

- რეგისტრაციის დაჩქარებული წესი;
- გადასახადებისგან სრული გათავისუფლება, გარდა სარეგისტრაციო და წლიური მოსაკრებლებისა;
- კომპანიების სავალუტო ავტონომია;
- საბაჟო მოსაკრებლისა და გადასახადისგან გათავისუფლება;
- ანონიმურობა და კომერციული საიდუმლოება.

ახალ პირობებში, როცა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ აღიარებას მიაღწია, მთელი ქვეყნის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევის საკითხი სხვაგვარ გადაწყვეტას ელოდება. ამ მიზეზით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტმა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შესახებ“ კანონი მოამზადა²⁰. ახალი კანონმდებლობის მიზანს ეკონომიკის გადამამუშავებელი დარგების განვითარება წარმოადგენს, ასევე წარმოების მაღალტექნოლოგიური დარგებისა და პროდუქციის ახლი სახეობების შექმნა, ტურიზმისა და სასანატორიუმო-საკურორტო სფეროს განვითარება. საგანგებოდაა აღნიშნული, რომ უცხოური საქონლის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში განთავსება და მოხმარება ხდება საბაჟო გადასახადისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე.

ნათელია, რომ ორივე დოკუმენტი ეკონომიკის განვითარების მიზნითაა შემუშავებული, რასაც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღზევება შეუწყობს ხელს, ასევე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სრულყოფა, ტურიზმისა და მთელი

¹⁹ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონი „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“. 1997 წ. (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტი).

²⁰ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შესახებ“. 2011 წ. პროექტი (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტი).


სარეკრეაციო დარგის განვითარება, ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური და ამავედროულად ხელმომჭირნე გამოყენება, საბანკო სისტემის მონესრიგება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ყველაფერი ეს კი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას გამოიწვევს.

დღეისათვის სამხრეთ ოსეთი არც გაეროს და არც სხვა საერთაშორისო სტრუქტურების სრულუფლებიანი წევრი არაა. თუმცა მას ეტაპობრივად, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, სხვადასხვა მსოფლიო და ევროპული ორგანიზაციის მუშაობაში ინვევენ, პირველ რიგში კი, ჰუმანიტარული მიმართულებით — მეცნიერების, კულტურის, განათლების სფეროში. სამხრეთ ოსეთი უკვე მიიღეს ზოგი საერთაშორისო ფედერაციის რიგებში და მას სხვადასხვა შეჯიბრში საკუთარი დროში შეუძლია მონაწილეობა. ყველაფერი ეს, შესაძლოა ირიბად, მაგრამ მაინც წარმოადგენს აღიარების აქტს.


შეჯამებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური განვითარების გზაზე წინ წასანევად შესასრულებელია რიგი პირობებისა:

- ყველა საკუთარი რესურსის — ბუნებრივი სიმდიდრის, ტექნიკური ბაზის, ადამიანური კაპიტალის, ინტელექტუალური და პროფესიონალური შესაძლებლობების მაქსიმალური პროდუქტიულობით გამოყენება;
- რესპუბლიკაში შემოსული დახმარების მაქსიმალურად რაციონალურად გადანაწილება, იქნება ეს ფინანსური საშუალებები, ჰუმანიტარული ტვირთები, შემუშავებული პროექტები, შედგენილი პროგრამები, ტექნოლოგიები თუ სპეციალისტების მომზადება და მივლინება და ა.შ.
- ეკონომიკაში პრიორიტეტული მიმართულებების დასახვა, საბოლოო მიზნების გამოკვეთა, პერსპექტივების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ეკონომიკურ სტრუქტურებში ყველა არსებული შესაძლებლობის გამოყენება, სახელმწიფოთაშორისი პროექტებისა და პროგრამების შესრულებაში მონაწილეობა, საკუთარი ინიციატივების წამოყენება.


სამხრეთ ოსეთის სამრეწველო დარგების წვლილი
სამრეწველო საქონლის საერთო მოცულობაში 2010 წელს




2010 წელს რესპუბლიკის მასშტაბით
ეკონომიკის ცალკეული დარგების ფუნქციონირების სტრუქტურა




2010 წელს სამხრეთ ოსეთის სანარმოებში
სამომხმარებლო საქონლის წარმოების სტრუქტურა (%)




2010 წელს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტრუქტურა




უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა



2010 წელს სამხრეთ ოსეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (რუბლებში), საკარმიდამო და ფერმერული მეურნეობების გამოკლებით



2010 წელს სამხრეთ ოსეთის ფერმერულ მეურნეობებში
მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობა



**ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა
პრობლემების გადაწყვეტის ზოგიერთი ასპექტი
ქართულ-ოსური ურთიერთობების ჭრილში**

მერაბ ჩიგოვეი

კონფლიქტები, მით უფრო, თუ მათ შეიარაღებული დაპირისპირება და მსხვერპლი ახლავს, კონფლიქტის მხარეთათვის აუნაზღაურებელი მატერიალური და მორალური ზარალის მომტანია. კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრა დიდ დროსა და მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს და ზეგავლენის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ცვალებად ერთობლიობაზე დამოკიდებული.

კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე რთულად აღმოსაფხვრელი შედეგი ლტოლვილთა ბედის გადანყვეტაა, ანუ მათი ახალ ადგილებზე მონყობა ან უნინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, ვინაიდან ეს პრობლემა როგორც დაბრუნებულთათვის, ისე დამხვდურთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ყველა სფეროს ეხება – სამართლებრივ, პოლიტიკურ, მორალურ-ეთიკურ ასპექტებს, ხელახალი თანაცხოვრების პირობებისადმი ადაპტაციას; ეკონომიკურ სფეროს, მათ შორის, ყოფით დონეზე — მატერიალურს; მინათსარგებლობის საკითხებს; საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობას და ა.შ.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც ქართულ-ოსური კონფლიქტი წარმოადგენს, რომლის აქტიური, შემდეგ კი მდორე ფაზა 1989 წლიდან 2008 წლამდე გაგრძელდა და რომელსაც როგორც სხვა კონფლიქტებთან მსგავსი ნიშანთვისებები, ისე მხოლოდ ამ კონფლიქტისათვის დამახასიათებელი თავისებურებები აქვს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მასალის უკეთ გასაგებად საჭიროა აღინიშნოს, რომ 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემების თანახმად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა 98 ათასს შეადგენდა, მათ შორის 67 ათასი იყო ოსი და 27 ათასი — ქართველი²¹.

ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემების საექსპერტო კვლევა აუცილებლად მოითხოვს მოკლე ექსკურსს ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესასწავლ საკითხთა საკვანძო დეტერმინანტები შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს. ამის გარეშე შეუძლებელია ამ კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზებისა და შედეგების გააზრება, მათ შორის — საქართველოდან და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან მოსახლეობის გახიზვნის მიზეზებისა; ასევე გართულდება იმ გარემოებათა ანალიზი, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყონ ან შეუშალონ როგორც მთლიანობაში კონფლიქტის მოგვარებას, ისე ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა მათ უნინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას ან მათ დღევანდელ საცხოვრებელ ადგილებში მონყობას.

კონფლიქტების სფეროს პოლიტოლოგ-სპეციალისტებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების, მათ შორის, ქართულ-ოსური კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლა, რასაც სსრკ-ში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტების „აღლუმი“ მოჰყვა.

ამავდროულად, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ 1989 წლის ნოემბერში დაწყებული საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის კონფლიქტის გაჩაღებაში ბრალი მხოლოდ საქართველოს ნაციონალისტურად განწყობილ ხელისუფლებას მიუძღვის.

²¹ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის საკავშირო მონაცემები.

ნანილობრივ ვეთანხმებით რა ამ თეზისს, მაინც მიგვაჩნია, რომ ქართულ-ოსურ კონფლიქტს ფესვები ქართულ-ოსური ურთიერთობების წიაღში ღრმად აქვს გადგმული²².

ეს კონფლიქტი თავიდანვე ატარებდა ეთნოპოლიტიკურ ხასიათს. ქართული ხელისუფლებები, მათი პოლიტიკური კუთვნილებისა და საქართველოში არსებული წყობის მიუხედავად — ფეოდალები, თავადები, მენშევიკები, ბოლშევიკები, დემოკრატები — საუკუნეების მანძილზე მონოეთნიკური სახელმწიფოს მშენებლობის სტრატეგიულ მიზანს ესწრაფოდნენ; ყველა საშუალებით ცდილობდნენ საქართველოში ნაციონალური უმცირესობების საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას, ანუ ეროვნული უმცირესობებისთვის ეთნიკური იდენტობის წართმევას. XX საუკუნე ამ მხრივ მეტად თვალსაჩინოა. 1920 წელს საქართველომ, ისარგებლა რა რუსეთის იმპერიის დაშლით, რომლის შემადგენლობაშიც 1801 წლიდან იყო, შექმნა ქართული დემოკრატიული რესპუბლიკა და რევოლუციურ ელემენტებთან ბრძოლის საბაზით, ხოლო სინამდვილეში — ოსების ფიზიკური განადგურებისა და/ან მათი ჩრდილოეთ კავკასიაში განდევნის მიზნით, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესია განახორციელა.

იმ ომში 18 ათასზე მეტი ოსი დაიღუპა, ხოლო სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილების რაოდენობამ, რომელთა უმრავლესობა საკუთარ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, 50 ათასს მიაღწია²³. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დასახულ მიზანს — სამხრეთ ოსეთის ოსების საბოლოო ლიკვიდაციას ან განდევნას — ვერ მიაღწია, სამხრეთ ოსეთის ხალხს საშინელი ზარალი მიადგა.

შემდგომ ათწლეულებში საქართველოს ხელისუფლებამ ტაქტიკა შეცვალა და დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რომელიც საქართველოს მასშტაბით ოსების იძულებით გაქართველებაზე იყო მიმართული, სხვა, უფრო „მშვიდობიანი“ და ამავე დროს დახვეწილი მეთოდების გამოყენება დაიწყო. ასეთი პოლიტიკის შედეგი გახდა ის, რომ დღეისათვის აღმოსავლეთ საქართველოსა და კახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, წარმოშობით ოსები, ქართველებად არიან მიჩნეული და ქართული საზოგადოების მიერ პრაქტიკულად მთლიანად არიან ასიმილირებული²⁴.

²² ქართულ-ოსური ურთიერთობების კონფლიქტური შემადგენლის პიონერული კვლევა წარმოდგენილია პუბლიკაციაში: Дзидзоев В. Д., Дзугаев К. Г., *Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений*, Цхинвал, 2007 г.

²³ შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის არქივის ნაწილი და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გენპროკურატურის მონაცემები.

²⁴ საქართველოში ფართო ანტიოსური კამპანიის ფონზე „არაქართველთა გაქართველების“ ინტენსიური პროცესი მიმდინარეობდა. აი ოსების „გაქართველების“ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის სახელმწიფო ოფიციალური ორგანოს გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნიმუში:

ხაშურის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №296.

ხაშურის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოსური და სომხური გვარების შესწორების შესახებ. ხაშურის რაიონის ქართული ეროვნების მცხოვრებლებმა, რომლებიც ოსურ და სომხურ გვარებს ატარებენ (ცხოვრებაშვილი, კულუმბეკოვი, მიქოიანი, შავერდიანი და სხვ.) საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტს მიმართეს. ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ პირები, რომლებიც ზემოჩამოთვლილ გვარებს ატარებენ, არიან ქართველები და მათ ეძლევათ რეკომენდაცია გვარის თავდაპირველი ფორმა დაიბრუნონ.

საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით და ამ პირთა თხოვნით ხაშურის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო ადგენს:

1. დაბადების მოწმობების ამონაწერში ჩამოთვლილი პირების ეროვნება ჩაინეროს: ქართველი. გვარები: კულუმბეკოვები – კულუმბეკაშვილი, მიქოიანი – მიქაშვილი და ა.შ. ხოლო ცხოვრებაშვილს სურვილისამებრ დაუბრუნდეს ფორმა ცხოვრებელი, შავერდიანს – შავერდაშვილი.

2. ხაშურის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპასპორტო განყოფილებას გაენიოს დახმარება ახალი გვარებით პასპორტების მიღებაში.

3. ანალოგიური სამუშაოს ჩასატარებლად გადაწყვეტილება ეცნობოს ყველა რაიონსა და რაისაბჭოს. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. დანელია.

მსგავსი მცდელობები სამხრეთ ოსეთის მკვიდრი, ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მიმართაც განხორციელდა და მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობები ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე საკუთრივ საქართველოში, ამ უკანასკნელის შემადგენლობაში დარჩენის შემთხვევაში, მით უფრო, რომ საქართველო სუვერენული გახდა, დროთა განმავლობაში საკუთარი ეროვნული იდენტობის, ენისა და კულტურის დაკარგვის საშიშროება მეტად რეალური გახდებოდა.

ამგვარ მეტად რთულ ვითარებაში, საქართველოში ეთნონაციონალიზმის დაუოკებელი ზრდის პირობებში, სამხრეთ ოსეთის ხალხმა XX საუკუნის 90-იან წლებში, უპირველესად საკუთარი ეთნოსის შენარჩუნების მიზნით, გადარჩენის მომტანი ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება მიიღო — თავდაპირველად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსამდე აწია²⁵, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების შემდეგ²⁶ — მისი შემადგენლობიდან გავიდა და სუვერენული სახელმწიფო — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა — გამოაცხადა²⁷.

შემდგომმა მოვლენებმა ხალხის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა.

საქართველოს ყველა რეგიონში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და შრომით კოლექტივებში შოვინისტური ლოზუნგებით ანტიოსური კამპანია დაიწყო: ოსი ეროვნების პირისგან მტრის ხატი იქმნებოდა, მას ქართული მიწის მიმტაცებლად წარმოაჩენდნენ და ა.შ. ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, თანაც, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი, ამ პროპაგანდას წამოეგო; საყოველთაო ხასიათი შეიძინა ოსების სამსახურებიდან გაყრამ; მათ ართმევდნენ საცხოვრებელსა და ქონებას, ზოგჯერ — სიცოცხლესაც კი²⁸.

1989 წლიდან მოყოლებული საქართველოდან დაახლოებით 100 ათასი ოსი განდევნეს. მათ უმეტესობას საკუთარი სახლებისა და ქონების მიტოვება მოუწია, რასაც ქართველები დაეპატრონენ. საქართველოდან დევნილი ოსების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციაში, ხოლო დაახლოებით 5 ათასი ადამიანი სამხრეთ ოსეთში დაფუძნდა. ამ ლტოლვილებიდან საქართველოში დღეისათვის, მცირე გამონაკლისის გარდა, არავინ დაბრუნებულა.

ამავდროულად, 1989-1992 წლების განმავლობაში, ანუ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სამშვიდობო ძალების შეყვანამდე, ქართველმა ნაციონალისტებმა სამხრეთ ოსეთის სრული ეკონომიკური ბლოკადა მოახდინეს, რასაც სამხედრო აგრესია მოჰყვა. ამასთან, 117 ოსური სოფელი გადაწვეს ან დაანგრიეს, მოკლეს დაახლოებით ათასამდე ოსი, დაიჭრა 2,5 ათასი ადამიანი, 150 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა;

შედარებისთვის: „მხოლოდ 1926-1979 წლებში საქართველოში 100 ათასზე მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენელი გაქართველდა“. (ვ. გუჯაბიძის სტატიიდან, „ლიტერატურული საქართველო“, 13 იანვარი, 1989 წ.)

²⁵ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს XII სესიის 1989 წლის 10 ნოემბრის დადგენილება.

²⁶ საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 ნოემბრისა და 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილებები.

²⁷ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს XIV სესიის 1990 წლის 20 სექტემბრის დადგენილება, დადასტურებულია 1990 წლის 16 ოქტომბერს და 28 ნოემბერს, შესაბამისად, XV და XVI სესიებზე.

²⁸ შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის არქივის ნაწილი:

– პროფესორ კვანჭილაშვილის სტატია (საქართველო), რომელიც საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ასპექტებს ეხება, სადაც გახმოვანებულია იდეა საქართველოს არაქართული მოსახლეობის შობადობის შეზღუდვის თაობაზე (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 30 სექტემბერი, 1988 წ.);

– პროფესორ ზ. ჩქვანავას სტატია (საქართველო) სათაურით „გზა ნაპოვნია“ (გაზეთი „კომუნისტი“, 21 ნოემბერი, 1988 წ.), რომელშიც საქართველოდან იმ არაქართველების გასახლება შეთავაზებული, რომლებსაც ორ შვილზე მეტი ჰყავთ.

– მწერალ ა. ბაქრაძის ინტერვიუ (საქართველო), რომელშიც საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხების ენისა და კურტურის მიმართ აგებული დამოკიდებულება იგრძნობა (გაზეთი «Молодёжь Грузии», ნოემბერი, 1988 წ.) და ა.შ.

მთლიანად განადგურდა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურა, გადაწვეს საავდემყოფოები და სკოლები²⁹.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისთვის მიყენებულმა ზარალმა, ექსპერტების გაანგარიშებით, 34 მილიარდ რუსულ რუბლს მიაღწია³⁰. ამ წლების მანძილზე, ომის საშინელებებისგან თავის დასაღწევად და უკეთესი ბედის ძიებაში, რესპუბლიკიდან 40 ათასი ოსი გაიხიზნა, რომელთა უმეტესობა სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. დანგრეული სოფლებიდან ქ. ცხინვალში იძულებით გადასახლდა 5 ათასი ადამიანი. ამავდროულად, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან 16-18 ათასი ქართველი საქართველოში ან გაიხიზნა, ან იქ საცხოვრებლად უკეთესი ცხოვრების ძიებაში გადავიდა; მათმა უმრავლესობამ ქ. ცხინვალში 1991 წლის 6 იანვარს, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს პირველი შეიარაღებული აგრესიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა. მათ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობა დევნილებად არ აღიარებს³¹.

ჩვენ მიერ წამოჭრილი პრობლემატიკის შემდგომი განხილვა ტერმინოლოგიურ დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ქართველებისა და ოსების მიერ ტერმინების „ლტოლვილი“ და „ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირი“ (ჩვენში ამ კატეგორიის აღსაწერად მიღებულია სიტყვა „დევნილი“ — მთარგმნელის შენიშვნა) გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში არსებითი განსხვავებაა. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა „ლტოლვილის“, „ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირისა“ და „იძულებით გადაადგილებული პირის“ ტერმინების მნიშვნელობას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„ლტოლვილი“ – არის პირი, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქე არ არის და რომელსაც აქვს დასაბუთებული შიში იმისა, რომ თავისი სარწმუნოების, მოქალაქეობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა ან პოლიტიკური მრწამსის გამო შეიძლება დევნის მსხვერპლი გახდეს, არ იმყოფება თავისი მოქალაქეობრივი კუთვნილების შესაბამის ქვეყანაში და ზემოხსენებული შიშის გამო არ შეუძლია ან არ სურს ამ ქვეყნის დაცვის ქვეშ ყოფნა, აგრეთვე, არ გააჩნია რა კონკრეტული მოქალაქეობა და იმყოფება რა აღნიშნული მოვლენების შედეგად თავისი ძველი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან არ სურს ამ ქვეყანაში დაბრუნება ამგვარი შიშის გამო“³².

1. „იძულებით გადაადგილებული პირი“ არის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი მისი ან მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის ან დევნის სხვა ფორმის გამო ან გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა თუ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, რაც გახდა საბაბი კონკრეტული პირისა თუ პირთა ჯგუფის მიმართ მტრული კამპანიისა და საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევისა, მას შეექმნა დევნის რეალური საფრთხე³³.

2. იძულებით გადაადგილებულ პირად (ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირად) ითვლება:

ა) სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ჩამოვიდა;

ბ) სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც იძულებული გახდა შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ერთი რაიონიდან გადასულიყო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სხვა რაიონის ტერიტორიაზე თუ ქალაქში;

²⁹ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რუსულ-ქართულ-ოსური კომისიის დასკვნა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქონებრივი ზარალის შესაფასებლად შერეულმა საკონტროლო კომისიამ შექმნა.

³⁰ რუსულ-ქართულ-ოსური კომისიის დასკვნა.

³¹ შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილის მონაცემები.

³² სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონი „ლტოლვილთა შესახებ“.

³³ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონი „ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა შესახებ“.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც კანონიერად იმყოფება მუდმივ საცხოვრებელ ადგილას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ფარგლებში პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების გამო შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი;

დ) ყოფილი სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ყოფილი სსრკ-ის მოქალაქე, რომელმაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ლტოლვილის სტატუსი მიიღო, ხოლო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის მიიღების შემდეგ ლტოლვილის სტატუსი დაკარგა და რომელსაც ლტოლვილის სტატუსის მოქმედების პერიოდში შეექმნა გარემოებები, რომლებმაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწყობაში შეუშალეს ხელი“.

გასათვალისწინებელია, რომ ტერმინში „იძულებით გადაადგილებული პირი“ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა „ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირს“ გულისხმობს.

ამასთან, სამხრეთ ოსეთისა და ქართულ მხარეებს შორის არსებობს სერიოზული წინააღმდეგობები გადაადგილებული მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის ლტოლვილებად ან ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებად ცნობასთან დაკავშირებით. წინააღმდეგობები არა მხოლოდ ტერმინების „ლტოლვილი“ და „ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირი“ ფორმალურ გამოყენებას ეხება, არამედ ამ ცნებების შინაარსსაც; გადაადგილებულ პირთა ამ ორ კატეგორიას კანონი სხვადასხვა სტატუსს და, ამდენად, სხვადასხვა უფლებასა და მოვალეობას ანიჭებს.

სამხრეთ ოსეთისა და ქართული მხარეების მიერ ამ ორი ტერმინის შინაარსისა და გამოყენების მიმართ განსხვავებული მიდგომის მიზეზი პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათისაა და მდგომარეობს იმაში, რომ სამხრეთ ოსეთის ოსები, რომლებიც ერების თვითგამორკვევის უფლების საყოველთაო პრინციპსა და, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმების შედეგებს ეყრდნობიან, დასაბუთებულად მიიჩნევენ თავის სახელმწიფოს სუვერენულად, დამოუკიდებლად, გაეროს წევრი რამდენიმე ქვეყნის მიერ აღიარებულად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და ამიტომ საქართველოდან სამხრეთ ოსეთში გადაადგილებული ყველა პირი ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთიდან მეზობელი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ლტოლვილებად ითვლებიან.

ქართული მხარე კი ასეთ პირებს ქვეყნის შიგნით გადაადგილებულებად (დევნილებად — მთარგმნელის შენიშვნა) მიიჩნევს გამომდინარე იქიდან, რომ იგი სამხრეთ ოსეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლის.

მთელი კონფლიქტის განმავლობაში ანტიოსურ ქმედებებში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის — ცხინვალის — გარშემო მდებარე ქართული სოფლების მაცხოვრებლები იღებდნენ. ამ სოფლებიდან 1989-1992 წლებში ყველა ოსი განიდევნა, ხოლო მათი სახლები და ქონება ან განადგურდა, ან ქართველმა თანასოფლელებმა მიისაკუთრეს. ცხინვალიდან ჩრდილოეთ ოსეთში მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა, რომელიც ამ სოფლებზე გადიოდა, განუწყვეტილად იბლოკებოდა, ხოლო როცა იხსნებოდა, ამ გზაზე მიმავალი ოსები რეგულარულად დამამცირებელი ჩხრეკისა და აგდებული დამოკიდებულების მსხვერპლი ხდებოდნენ. ამ სოფლების მაცხოვრებელთა მიერ შექმნილი სამხედრო ფორმირებები, არსით კი — ბანდაჯგუფებები, ოსი მოსახლეობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულებს სჩადიოდნენ³⁴.

³⁴ 1992 წლის 20 მაისს ბანდაჯგუფებამ, რომელიც ქართული სოფლების (კეხვი, ქურთა, აჩაბეთი, ძარცემი) მაცხოვრებლებისგან შედგებოდა, შემოვილით გზაზე, ოსურ სოფელ ზართან, ჩაუსაფრთდა და ქ. ცხინვალიდან მიმავალი ლტოლვილთა კოლონა დახვრიტა. დაიღუპა 34 ადამიანი, მათ შორის მოხუცები, ბავშვები და ქალები. 1991 წლის 18 მარტს ქართულ სოფელ ერედვთან ბანდაჯგუფების წარმომადგენლებმა, ამ სოფლის მაცხოვრებელთა მონაწილეობით, გზაზე მიმავალი ავტობუსიდან ეროვნებით ოსი 12 მამაკაცი, მეზობელი ოსური სოფლების მაცხოვრებლები, გადმოსხეს და წამების შემდეგ ცოცხლად დამარხეს და ა.შ.

შემდგომ წლებში აღნიშნული სოფლები და მათი მაცხოვრებლები ქართული ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობის პლაცდარმად, სხვადასხვა პროვოკაციისა და ანტიოსური ქმედებებისთვის გამოიყენებოდა.

მიუხედავად განცდილი უბედურებებისა, 1992 წლის კონფლიქტის ცხელი ფაზის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ „გაღლობა“ დაიწყო, ოსებსა და ქართველებს შორის ყოფით დონეზე კონტაქტები აღდგა. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და საქართველოს საზღვარზე, საკუთრივ მოქალაქეების — ქართველებისა და ოსების — ინიციატივით, სოფელ ერგნეთთან გაჩნდა და ფუნქციონირება დაიწყო ბაზრობამ, რომლის ერთი ნაწილი განლაგებული იყო სამხრეთ ოსეთის, მეორე ნაწილი კი — საქართველოს ტერიტორიაზე. თავისი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ადამიანები ბაზრობის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ურთიერთობდნენ, გარიგებებს დებდნენ და ა.შ.

ყოველდღიურად ბაზრობას რამდენიმე ათასი ადამიანი სტუმრობდა; ურთიერთობის პროცესში ადამიანებს შორის კავშირები და ნდობა აღდგა. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ქვეყანაში თავისუფალ გადაადგილებას, სამლოცველოების მონახულებას, ოსებსა და ქართველებს შორის ბიზნესკონტაქტებს ხელს არ უშლიდა. 1992 წელს დაგომისის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილმა შერეულმა საკონტროლო კომისიამ, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის, საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და მისი სუბიექტის — ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიის (რომლის ტერიტორიაზეც საქართველოდან ყველაზე მეტი ლტოლვილი გადასახლდა) წარმომადგენლებისგან შედგებოდა, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის და რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების (ინდივიდუალურ თუ სანარმო სუბიექტების დონეზე) განვითარების საქმეში გარკვეულ პროგრესს მიაღწია. შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის და ეუთოს შუამდგომლობით, 1997 წლის 13 თებერვალს გადაადგილებულ პირთათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღეს: „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უწინდელ მუდვიმ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი დაბრუნების წესი“.

იმავე წელს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ლტოლვილთა და სხვა გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და მონყოფის ხელშემწყობი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელი პაკეტი მიიღო³⁵.

2000 წლის 23 თებერვალს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მონაწილეობით რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებს შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით ურთიერთქმედების, გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, მონყოფის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის შესახებ სახელმწიფოთაშორისი პროგრამის შემუშავების თაობაზე ხელშეკრულება დაიდო. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სრულად რეალიზება ვერ მოხერხდა, დაფიქსირდა კონფლიქტის მხარეების სწრაფვა ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემების ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვეტისკენ.

ეს არ ნიშნავს, რომ ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტაში გარღვევა მოხდა და მათი უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე უსაფრთხო, ნებაყოფლობითი, ღირსეული დაბრუნებისთვის ყველა პირობა შეიქმნა. თუმცა, შესაძლოა, ნელა, რთულად, მაგრამ დაბრუნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის პროცესი მკვედარი წერტილიდან დაიძრა.

³⁵ Указ Президента Республики Южная Осетия от 11 июня 1997 г. «О первоочередных мерах по содействию процессу возвращения беженцев и вынужденных переселенцев в Южную Осетию» (იხ. დანართი 1). Постановление Правительства Республики Южная Осетия о принятии «Программы комплексного решения проблем беженцев и вынужденных переселенцев».

მომდევნო წლებში, შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის პარტნიორული მონაწილეობით, ზემოხსენებული „ნესის...“ ფორმატში რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში 67, ხოლო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში 470 ოჯახი დააბრუნეს³⁶. ლტოლვილებმა საქართველოდან სამხრეთ ოსეთშიც დაიწყეს დაბრუნება, უმეტესად — ცხინვალისა და ზნაურის რაიონებში³⁷.

ქართულ-ოსური ურთიერთობების ამგვარი სცენარით განვითარება ხელს არ აძლევდა ქართულ მთავრობას მ. სააკაშვილის მეთაურობით, რომელიც 2003 წელს საქართველოში ხელისუფლების ხელში ჩაგდებისას თავის ხალხს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოში დაბრუნებას დაჰპირდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისა და ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტისკენ გადადგმული ყველა პოზიტიური ნაბიჯი, რაც ასე რთულად იქნა მიღწეული, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკუაგდო: საქართველო ცალმხრივად გავიდა ყველა იმ საერთაშორისო შეთანხმებიდან, რაც კონფლიქტის მოგვარებას ეხებოდა³⁸. საქართველო უგულვებელყოფდა ნაკისრ ვალდებულებებს შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, რომლის საქმიანობა თანდათანობით მინიმუმამდე დავიდა და ფორმალური გახდა. ახალმა ქართულმა ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური ბლოკადის რეჟიმი მაქსიმალურად გაამკაცრა, დახურა ერგნეთის ბაზრობა, რაც საზიანო, პირველ რიგში, ქართული მოსახლეობის ინტერესებისთვის იყო. ერთი სიტყვით, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის აღდგენისთვის დამყარებული ყველა კავშირი ქართული მხარის მეცადინეობით განყდა. ქართული ხელისუფლება პრაქტიკულად ღიად ემზადებოდა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაწყვეტისთვის, რაც სცადა კიდევ³⁹.

³⁶ შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილის არქივი.

³⁷ სიმპტომატურია, რომ სამხრეთ ოსეთში დაბრუნებულები მათი დაბრუნების ადგილებშივე დაფუძნდნენ, ხოლო საქართველოში დაბრუნებულები დროის მოკლე მონაკვეთში იძულებული გახდნენ ისევ რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებულიყვნენ. ხელმეორედ დევნილთა გამოკითხვამ გადასახლების მიზეზი გამოავლინა, ის მარტივი და ბანალურია – საქართველოში მათი მონყობის ელემენტარული პირობებიც კი არ შეუქმნიათ, მათ არც არავინ ელოდებოდა და ისინი არც არავის სჭირდებოდა.

³⁸ შეთანხმება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა ალანისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მონაწილეობით „შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების შესახებ“ 1992 წლის 24 ივნისი (დაგომისის შეთანხმება).

რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიონების ეკონომიკური აღდგენის შესახებ, 1993 წლის სექტემბერი.

მემორანდუმი ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

განცხადება ე. შვეარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის (საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტები) შეხვედრის შესახებ, ქ. ვლადიკავკაზი, 1996 წლის 27 აგვისტო., 1997 წლის 14 ნოემბერი, სოფ. ჯავა (სამხრეთ ოსეთი) და 1998 წლის 20 ივნისი ქ. ბორჯომი (საქართველო).

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობით) „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ“, 2000 წლის 23 დეკემბერი.

განცხადება ე. კოკოითისა და ზ. ჟვანიას შეხვედრის შესახებ, 2004 წლის 5 ნოემბერი (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი).

შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ ოფიციალურ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი დაბრუნების ღონისძიებათა შესახებ“, 1997 წლის 13 თებერვალი (ოქმი №7) ასევე ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ ოფიციალურ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი დაბრუნების წესი (იხ. დანართი 2).

³⁹ 2004 წლის აგვისტოში მ. სააკაშვილის რეჟიმმა „სამხრეთ ოსეთის საკითხის“ ძალისმიერი გადაწყვეტის პირველი მცდელობა განახორციელა. საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების რამდენიმე ქვედანაყოფმა სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა მიიტანა. ცდილობდნენ რა ცხინვალის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეების დაკავებას, ძაუს რაიონის გავლით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის როკის გვირაბის ხელში ჩაგდება სურდათ. საქართველოს მხრიდან

ქართული სოფლები, საიდანაც ცხინვალს ცეცხლს უხსნიდნენ, საომარი მოქმედებების დროს 2008 წლის 10-12 აგვისტოს განხორციელებული კონტრშეტევისა და საპასუხო საარტილერიო ცეცხლის შედეგად დაინგრა, ამ სოფლების მოსახლეობა კი, რომლის უმეტესობა ქართულმა ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ტერიტორიაზე გადაიყვანა, თავის საცხოვრებელ ადგილებს ველარ დაუბრუნდა და ამჟამად ლტოლვილებად ითვლებიან. ამ ადამიანთა რიცხვი დაახლოებით 15-16 ათასს შეადგენს.

თავის მხრივ, 2008 წლის 7-12 აგვისტოს ქართული აგრესიის გამო, სამხრეთ ოსეთიდან კვლავ გაიხიზნა 30 ათასზე მეტი ეროვნებით ოსი. ომის დასრულების შემდეგ მათი უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა.

2008 წლის ხუთდღიანი ომის მსვლელობისას, არსებული სიების მიხედვით, სამხრეთ ოსეთის მხარეს 600-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, დაახლოებით 2 ათასი დაიჭრა, შვიდი ოსი ეროვნების ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასა და მის მოქალაქეებს აუნაზღაურებელი მატერიალური ზარალი მიადგა, რომელიც მრავალ მილიარდ რუსულ რუბლს შეადგენს. ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად თავიდანაა აღსადგენი⁴⁰.

მთლიანობაში, სამხრეთ ოსეთში პრაქტიკულად არ დარჩენილა ოჯახი, სადაც 1989-2008 წლებში საქართველოს მხრიდან განხორციელებული კონფლიქტური ზეწოლის შედეგად დაღუპული ან დაჭრილი ნათესავი არ ჰყავდეს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისა და ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას, ზემოთ მოყვანილ გარემოებებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ამ გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტორებიც, რომლებიც არა მარტო კონფლიქტის მოგვარებას, არამედ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასა და საქართველოში, თავის უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ლტოლვილებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობის განჭვრეტად მომავალში დაბრუნების შესაძლებლობასაც კიდევ უფრო ართულებენ.

ამ ფაქტორთაგან რამდენიმეს მოვიყვანთ:

1. სტატუსის თაობაზე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და საქართველოს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები, რაც უარყოფითად მოქმედებს ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტაზე.

2. 1989 წლის ნოემბრიდან 2008 წლამდე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებების ქმედებების პოლიტიკურ შეფასების

კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტის მცდელობა მოგერიებული იქნა, სამხედრო ავანტიურა ჩაიშალა, თუმცა პრობლემის სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვეტის სურვილი ქართველ ხელმძღვანელებს შერჩათ.

ხანგრძლივი და მრავალმხრივი მომზადების შემდეგ, პირველი მცდელობიდან სულ რაღაც 4 წლის თავზე, საქართველოს ხელმძღვანელობამ ისევ წამოიწყო სამხედრო ავანტიურა 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს და ავიაციისა და მძიმე არტილერიის ყველა სახეობის გამოყენებით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა. დაიბოძა მძინარე ქალაქი ცხინვალი და რამდენიმე ოსური სოფელი და დაბა, ცეცხლი გაიხსნა ყუმბარმტყორცნიებიდან და ტანკებიდან (გამოიყენებოდა აკრძალული კასეტური ყუმბარები და ჭურვები), რის შედეგადაც მასობრივად დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა. ომს გამოქცეულ ლტოლვილებს ცხინვალი-ვლადიკავკაზის ტრასაზე სამხრეთ ოსეთში შემოჭრილი ქართული ტანკები და ჯარისკაცები ხვრეტდნენ. სამხედრო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლების მაცხოვრებლებიც. ამ სოფლებიდან უხსნიდნენ ცეცხლს ცხინვალსა და ოსურ დასახლებულ პუნქტებს.

2008 წლის 9 აგვისტოს საღამოხანს ცხინვალში შემოსულმა რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ქართული სამხედრო ფორმირებების შეტევა შეაჩერეს, ხოლო 12 აგვისტოსთვის ისინი ბრძოლების შედეგად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან განიდევნენ. სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონი, რომლის უმეტესი ნაწილი 18 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა, განთავისუფლდა.

⁴⁰ რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მასალები; აგრეთვე, ადამიანის უფლებების საკითხებში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებულის მონაცემები.

არარსებობა როგორც საკუთრივ საქართველოს ხელისუფლების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების — ეუთოს, ევროკავშირისა და გაეროს — მხრიდან. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების განსაკუთრებულ აღმფრთვობას იწვევს იმის მცდელობა, რომ აგრესორი საქართველო გადააქციონ აგრესიის მსხვერპლად და იმის მტკიცება, თითქოს 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველოს არ დაუწყია.

3. ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრაზე ძალზე უარყოფითად აისახება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იურიდიულად დამავალდებულებელი დოკუმენტის ხელმოწერაზე უარი, რომელიც მას მომავალში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე აალებინებდა ხელს.

4. გასათვალისწინებელია და საქართველოდან და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან ლტოლვილთათვის ასახსნელია, რომ უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებაზე თანხმობის შემთხვევაში, მათი დაბრუნება განხორციელდება სხვა სახელმწიფოში. ამ გარემოების გათვალისწინებით დასაცავია დაბრუნების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — ნებაყოფლობითობა.

5. ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის დონის ამაღლების ხელისშემშლელია საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურების, რიგი ქართველი ისტორიკოსების, ეთნოგრაფებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა მხრიდან ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის დესტრუქციული, მავნე და, რაც მთავარია, მცდარი ინტერპრეტაცია.

6. ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრისას ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა მოწყობის საკითხთა ნაწილში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება — უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, ერთმანეთისგან ფაქტობრივად სრულ იზოლაციაში ყოფნისას, სამხრეთ ოსეთისა და ქართულ საზოგადოებებში ჩამოყალიბდა თაობა, რომელსაც კონფლიქტმა მემკვიდრეობით ერთმანეთის მტრობა და უნდობლობა გადასცა.

7. ლტოლვილთა დაბრუნებისა და მათ უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში მოწყობის საკითხის გადაწყვეტისას სერიოზულ გართულებებს ამ პრობლემის ე.წ. „სოციალურ-ეკონომიკური“ შემადგენელი შექმნის, ანუ — საცხოვრებელ ადგილებში დასაბრუნებლად საჭირო ეკონომიკური და სოციალური პირობების არარსებობა და მათი პრაქტიკულად თავიდან შექმნის აუცილებლობა.

8. ვითარების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ საფუძვლიანია ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად აქვს საქართველოს პოლიტიკური ნება და მატერიალური ბაზა საქართველოდან 100 ათასი ოსი ლტოლვილის მათ უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხოდ, ღირსეულად დასაბრუნებლად და მოსაწყობად, ან — საქართველოში დაბრუნების სურვილის არმქონეთათვის მათი დაკარგული ქონების საკომპენსაციოდ. ამ ეჭვებს რეალური ნიადაგი აქვს, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს ლტოლვილთა საკითხის გადაჭრას.

9. კონფლიქტის შედეგად როგორც სამხრეთ ოსეთიდან, ისე საქართველოდან გადაადგილებული პირისთვის „ლტოლვილის“ და/ან „ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის“ სტატუსის განსაზღვრისა და დაფიქსირებისას კონფლიქტის მხარეთა განსხვავებული მიდგომები.

10. როგორც ცნობილია, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების შედეგად ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემებით ახლა ყველაზე უფრო შეწევს დისკუსიებზე არიან დაკავებული, სადაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და აფხაზეთის წარმომადგენლებიც სრულუფლებიან პირობებში მონაწილეობენ. ამ მოედანზე შესაძლოა ძნელად, მაგრამ კონკრეტული პროგრესი მაინც შეინიშნება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ბედის გადაწყვეტაში. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური დივიდენდების მიღების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და აფხაზეთის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ და პრობლემის გადაწყვეტის საკუთარ ხედვას ვერ წარადგენდნენ, ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი განსახილველად სამჯერ გაიტანა. შედეგად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავისი არსით დეკლარატიული ხასიათის რეზოლუციები

მიიღო, რამაც ჟენევის დისკუსიების ფორმატში ისედაც არცთუ იოლი სამუშაო კიდევ უფრო გაართულა.

11. გასათვალისწინებელია, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და ღირსეული მოწყობის პრობლემას მჭიდროდ უკავშირებენ საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და მისი მოქალაქეებისათვის ქართული აგრესიის შედეგად მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანისთვის მატერიალური-ფინანსური კომპენსაციის გადახდის საკითხს.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილია ის გარემოებები და ფაქტორები, რომლებიც საქართველოდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილებს უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას უდავოდ უშლიან ხელს.

საინტერესოა, არსებული რეალიების გათვალისწინებით როგორია ამ რთული და მტკივნეული პრობლემის გადაჭრის პერსპექტივები? რა ნაბიჯებია გადასადგმელი იმისთვის, რომ დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლებში დაბრუნება?

საფიქრალია, რომ ამ საკითხში პროგრესის მისაღწევად მიზანშეწონილია საფუძვლად საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების აღება, რომლებიც ლტოლვილებთან და გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებენ. საუბარია, კერძოდ, იმ პრინციპებზე, რომლებსაც 1957 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია და მისი 1967 წლის პროტოკოლი შეიცავს, აგრეთვე — ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა შესახებ 1998 წლის სახელმძღვანელო პრინციპები, ანუ 1989–2008 წლებში საქართველოდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილთა, ქვეყნის შიგნით და სხვა გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით, უსაფრთხო და ღირსეულად დაბრუნების უფლებაზე.

ამასთან, ვითარების გაუმჯობესებისა და ნდობის გაზრდის მიზნით აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე:

ა) ქართულ-ოსური ურთიერთობების პოლიტიკური მოგვარების მიღწევის აუცილებლობა, როგორც ნებაყოფლობით დაბრუნებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ნაწილისა, ხოლო სათანადო კოორდინაციის შემთხვევაში — უსაფრთხოების გარანტიებისა, რაც თავსებადი უნდა იყოს ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების მოთხოვნასთან;

ბ) ქართული ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ობიექტური პოლიტიკური შეფასება 1989-1992, 2004 და 2008 წლებში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებებისა, რაც გახდა საქართველოდან და სამხრეთ ოსეთიდან მოსახლეობის გახიზვნის ძირითადი მიზეზი. ლტოლვილებს როგორც საქართველოდან, ისე სამხრეთ ოსეთიდან უფლება აქვთ და უნდა იცოდნენ საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან მათი გახიზვნის ჭეშმარიტი მიზეზები და არ უნდა ეყრდნობოდნენ მათი ხელისუფლებისა და ანგაჟირებული მასმედიის მიერ ამ მიზეზების შესახებ თავს მოხვეულ ცრუ წარმოდგენებს. ჩვენი აზრით, ხელისუფლებების ქმედებების ობიექტური შეფასება ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს, რადგან:

– სარწმუნო ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მიმდინარე მოვლენების რეალურად შეფასების საფუძველი გახდებოდა, რათა ამ მოვლენებში მათ შეძლონ საკუთარი ადგილის პოვნა და ამ გარემოებების მიხედვით მიიღონ გააზრებული, არსებულ რეალიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებასა თუ ახლანდელ საცხოვრებელ ადგილებში დაფუძნების შესახებ;

– თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთში საქართველოს მიერ განხორციელებული ქმედებების ობიექტური პოლიტიკური შეფასება დაეხმარებოდა მიმღები თემების წარმომადგენლებს ყოფილიყვნენ უფრო მომთმენი და დიდსულოვანი ნებაყოფლობით დაბრუნებულების მიმართ, რომლებიც მათ წარმოდგენაში აღიქმებიან, როგორც იმ ერის წარმომადგენლები, ვისმა ხელმძღვანელობამაც მათ ამდენი უბედურება მოუტანა;

– დაბოლოს, მიმღები მხარის ხელმძღვანელობისთვის ეს იქნებოდა გარკვეული სახის ბერკეტი, გადაადგილებულ პირთა პრობლემის ობიექტური და სამართლიანი მოგვარებისთვის მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური პლატფორმა.

გ) ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებების მიმღები თანამდებობის პირები ამ ლტოლვილების ბედით იყვნენ შენუხებული და მათ საკუთარი პოლიტიკური თამაშებისთვის არ იყენებდნენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლენინგორის რაიონიდან ეროვნებით ქართველი, დაახლოებით 6 ათასი ლტოლვილის მიმართ, რომლებიც 2008 წლის აგვისტოდან საქართველოს ტერიტორიაზე, წეროვანის დასახლებაში იმყოფებიან. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ თანახმაა დაუბრუნოს ეს ადამიანები მათ უწინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს, თავიანთ სახლებსა და კერძო საკუთრებას, რადგან ისინი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ. ამ განცხადებას ოფიციალური თბილისის მხრიდან ერთობ თავისებური, მაგრამ მოსალოდნელი რეაქცია მოჰყვა: ლტოლვილებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლებაზე უარი ეთქვათ მოგონილი მიზეზით — უსაფრთხოების არარსებობის გამო, თუმცა მათი უმრავლესობა უსაფრთხოდ და წინააღმდეგობების გარეშე სისტემატურად აკითხავს საკუთარ სახლებს, ამუშავებს ნაკვეთებს, სარგებლობს იმავე პრივილეგიებით, რითაც რაიონის სხვა მაცხოვრებლები.

დ) საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობაზე იურიდიულად დამავალდებულებელი დოკუმენტის ხელმოწერა. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში, ლენინგორიდანაც, ეროვნებით ქართველ ლტოლვილებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ დღეისათვის ჩვენი მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარ სამშობლოში სტაბილური მშვიდობის დამყარების არ სჯერა და საქართველოს მხრიდან ახალ აგრესიას უფრთხის.

ე) აღიარება უფლებებისა, რომ ლტოლვილებსა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებს აქვთ თავიანთ უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება, ასევე — ამგვარი დაბრუნებისათვის სათანადო პირობების ქონის ან ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილებში მონყობის უფლება.

ვ) იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთაგან ბევრმა თავის დროზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, ლტოლვილისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის სტატუსის მისაღებად ოფიციალური რეგისტრაცია ვერ გაიარა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ წლების შემდეგ ბევრმა ლტოლვილმა და გადაადგილებულმა პირმა ეს სტატუსი დაკარგა, მაგრამ იმის გათვალისწინებითაც, რომ კონფლიქტის შედეგად ამ პირებს რეალური მატერიალური და მორალური ზარალი მიადგათ, სამართლიანი იქნებოდა: ან დაზარალებული პირისთვის რესტიტუციის და/ან კომპენსაციის უფლების მინიჭების კრიტერიუმად განისაზღვროს იძულებით გადაადგილების დადასტურებული ფაქტი, აგრეთვე — ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად პირისთვის ზარალის მიყენება და არა — ლტოლვილისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის სტატუსი, ან ლტოლვილისა თუ ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის სტატუსი დაუდასტურდეს და აღუდგეს ყველა პირს, მიუხედავად მისი ეროვნებისა და უწინდელი საცხოვრებელი ადგილისა, ვინც ასეთად იქცა 1989 წლიდან 2008 წლის ჩათვლით და ვისი უწინდელი საცხოვრებელი ადგილიც იყო ან საქართველოში, ან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში;

ზ) კონფლიქტის მხარეებმა და ამ პრობლემატიკით დაკავებულმა შესაბამისმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარონ როგორც სამხრეთ ოსეთიდან, ისე საქართველოდან ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა უფლება რესტიტუციაზე ან/და დაკარგული საცხოვრისისა და ქონების კომპენსაციაზე,

მიუხედავად მათი ეროვნებისა, უწინდელი და ახლანდელი საცხოვრებელი ადგილისა. ამასთან, ამ უფლების რეალიზება უნდა მოხდეს არჩევანის გაკეთების გზით:

- ან უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების სასარგებლოდ;
- ან ახალი საცხოვრებელი ადგილისა და დაკარგული საცხოვრისისა და ქონების კომპენსაციის უფლების სასარგებლოდ. იმ პირობათვის კი, ვინც უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას არ მოისურვებს — მორალური ზარალის კომპენსაციის გათვალისწინებით;

ამასთან, მიუღებელია ლტოლვილებზე, ქვეყნის შიგნით ან სხვა გადაადგილებულ პირებზე რაიმე ფორმით ზენოლა დაბრუნებასთან ან ახალ საცხოვრებელ ადგილზე მონყობასთან დაკავშირებით, მათი ნების სანინააღმდეგოდ გადაწყვეტილების თავს მოხვევის მიზნით.

თ) საქართველოს აგრესიული ქმედებების შედეგად სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას უზარმაზარი მატერიალური ზიანი მიადგა, ფაქტობრივად მთლიანად დაინგრა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სამშენებლო და სოციალური ინფრასტრუქტურები, საქართველოს მხრიდან მრავალწლიანი ეკონომიკური ბლოკადის გამო კი განადგურდა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რადგანაც სოციალური პროგრამების განსახორციელებლად, განსაკუთრებით კი — ლტოლვილთა დაბრუნებისა და მათი მონყობის საკითხების გადასაწყვეტად, დიდი ფინანსური სახსრებია საჭირო, საქართველომ უნდა იზრუნოს სამხრეთ ოსეთისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე.

ი) აუცილებელია კონფლიქტის მხარეებმა შექმნან ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების დაბრუნებისათვის საჭირო პირობები, მოსახლეობაში უნდა აღმოიფხვრას ერთმანეთის მიმართ მტრული დამოკიდებულების ნებისმიერი გამოვლინება, ამასთან, მხედველობაშია მისაღები ინციდენტებთან დაკავშირებული რისკები. ეს ზომები კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

ლტოლვილთა პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია მხარეებმა იზრუნონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებისთვის, უნდა ესწრაფოდნენ, რომ ზემოხსენებულ პრინციპებთან შეუთავსებელი საკანონმდებლო აქტები თუ წესები ან გადაისინჯოს, ან, საჭიროების შემთხვევაში, გაუქმდეს.

ურთიერთნდობის გაზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი იქნებოდა ორივე მხარის ზრუნვა საზღვარზე ნებისმიერი ინციდენტის პრევენციისა და აღკვეთისათვის; ასევე — მხარეთა ურთიერთქმედება იმ დანაშაულთან ბრძოლაში, რომელიც აფერხებს დაბრუნების პროცესის განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას.

თუკი მხარეები შეთანხმდებიან დაბრუნების ზემოჩამოთვლილ ძირითად პრინციპებზე და მივლენ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებამდე, შესაძლებელი გახდება პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა — არც ისე დიდი, მაგრამ დევნილებისა და გადაადგილებული პირებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე. პირველი ნაბიჯები შეიძლება იყოს მხარეების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან ჩატარებული, შედეგზე ორიენტირებული საინფორმაციო სამუშაოები, რისი მიზანიც იქნებოდა პოზიტიური და გამჭვირვალე ფსიქოლოგიური და სოციალური ატმოსფეროს ჩამოყალიბება საზოგადოებრივ აზრისა და მიმღებ და ნებაყოფლობით დაბრუნებულთა თემებში.

ნდობისა და უსაფრთხოების შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით მიმღებმა მხარემ შეიძლება გადაადგილებულ პირებს მათი უწინდელი საცხოვრებელი ადგილების მონახულების ნებართვა მისცეს. ამგვარი ვიზიტები წვლილს შეიტანდა უსაფრთხო დაბრუნების პრინციპის წინ ნამონევის საქმეში.

ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა რესტიტუციაზე და/ან კომპენსაციაზე უფლების აღდგენის მიზნითა და ამ უფლების სარეალიზაციოდ კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად აუცილებელია ჩატარდეს ღონისძიებები, რომ მოხდეს ლტოლვილების, გადაადგილებული პირებისა და

შესაბამისი სტატუსის არმქონე ლტოლვილების, ქვეყნის შიგნით და სხვა გადაადგილებული პირების რიცხოვნობის დადგენა და დადასტურება; ასევე დასადგენია, ამ კატეგორიის პირთა რა რაოდენობა დაუბრუნდა უნინდელ სცხოვრებელ ადგილებს. შესადგენია ლტოლვილთა, ქვეყნის შიგნით და სხვა გადაადგილებულ პირთა მიერ დაკარგული საცხოვრისისა და ქონების ნუსხა; ამასთან, მხარეებმა უნდა დაადგინონ და შეათანხმონ ამგვარი ინფორმაციის შეგროვების ერთიანი მეთოდიკა.

ქონების ჩამონათვალი და სია კონფლიქტის მხარეებს შორის შეიძლება მესამე მხარის შუამავლობით შეთანხმდეს.

საკომპენსაციო გადახდებისა და რესტიტუციის განსახორციელებლად საჭიროა დაფინანსების წყაროების მოსაძიებელი ღონისძიებების ჩატარება; ამასთან, ზემოხსენებული შესაბამისი სამუშაოების შესასრულებლად მიზანშეწონილი ან აუცილებელიც კი არის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სპეციალისტების მოზიდვის გზით კომისიების შექმნა, მათ შორის, შერიგების კომისიებისა.

РЕСПУБЛИКÆ ХУССАР ИРЫСТОНЫ ПРЕЗИДЕНТЫ**УКАЗ****УКАЗ****ПРЕЗИДЕНТА РЕСПУБЛИКИ ЮЖНАЯ ОСЕТИЯ****О первоочередных мерах по содействию процесса возвращения
беженцев и вынужденных переселенцев в РЮО**

В результате грузино-осетинского конфликта 1991 – 92 гг. многие десятки тысяч людей из сожжённых и разорённых сёл Южной Осетии и внутренних районов Грузии вынуждены были покинуть места постоянного проживания и стать беженцами или вынужденными переселенцами. Подавляющее большинство из них нашло приют в Республике Северная Осетия – Алания, где они были размещены и находятся по настоящее время в основном в общественных зданиях: турбазах, санаториях, общежитиях, сельских клубах и т. д. Несколько тысяч вынужденных переселенцев из сёл Южной Осетии и беженцев из Грузии проживают в г. Цхинвал.

Между тем, на фоне происходящих позитивных перемен по стабилизации обстановки в зоне конфликте, первых положительных результатов по мирному урегулированию осетино-грузинских отношений, принятия СКК «Порядка добровольного возвращения беженцев и вынужденно перемещённых лиц в результате грузино-осетинского конфликта в места их прежнего постоянного проживания», активизации международных гуманитарных организаций по оказанию помощи возвращающимся беженцам, а также появившихся у РЮО возможностей по обустройству беженцев и вынужденных переселенцев в места прежнего проживания становится реальным делом.

Возрождение сожжённых и разорённых сёл, возвращение в них населения, восстановление хозяйств, а также оказание помощи в обустройстве в Южной Осетии беженцев из Грузии, желающих обосноваться здесь, отвечает и нашим национальным интересам.

Исходя из изложенного и в целях поощрения процесса добровольного возвращения беженцев и вынужденных переселенцев в места прежнего постоянного проживания

ПОСТАНОВЛЯЮ:

1. Правительству РЮО изыскать возможность выделения финансовых средств на приобретение строительных материалов для восстановления домов беженцев и вынужденных переселенцев.

2. Министерству промышленности и транспорта, главам администраций города и районов совместно с Государственным комитетом по делам национальностей и миграции обеспечить бесплатную доставку и привоз личной собственности вынужденных переселенцев, добровольно возвращающихся в места прежнего проживания.

3. Комитету лесного хозяйства и главам администраций районов совместно с Госкомитетом по делам национальностей и миграции обеспечить выдачу беженцам и вынужденным переселенцам, вернувшимся в места прежнего проживания и имеющим возможность (желание) самим восстановить свои дома, разрешение на бесплатную заготовку лесоматериала в объёме 10 куб. м. на одну семью.

4. Правительству РЮО до конца 3 квартала 1997 г. разработать и представить на утверждение план восстановления объектов социального и культурного назначения в местах компактного проживания, возвращающихся беженцев и вынужденных переселенцев.

5. Беженцев и вынужденных переселенцев, возвращающихся в места прежнего проживания, освободить от всех видов сельскохозяйственных налогов сроком на 5 лет, за исключением налога на коммерческую деятельность.

6. Военному комиссариату РЮО предусмотреть предоставление лицам призывного возраста отсрочку от военной службы сроком на 2 года для беженцев и вынужденных переселенцев, вернувшихся в места прежнего проживания.

7. Признать действительными аттестаты, дипломы и иные документы об образовании, полученные беженцами в стране их временного проживания.

8. Сохранить за вернувшимися беженцами право пользоваться гуманитарной помощью и иными формами социальной защиты, существующими в Республике.

9. Правительству РЮО, главам администрации районов выделить земельные участки беженцам и вынужденным переселенцам, ранее не проживавшим в Южной Осетии и избравшим Южную Осетию место постоянного жительства в размере 0,15 га на одну семью.

10. Министерству сельского хозяйства изыскать возможность продажи вернувшимся беженцам семян и молодняка, птицы и домашнего скота по льготным ценам.

11. Комитету материальных ресурсов и торговли РЮО предусмотреть продажу инвентаря и товаров первой необходимости поселившимся в Южной Осетии беженцам и вынужденным переселенцам в местах их компактного проживания.

12. Министерству внутренних дел, главам Администраций города Цхинвал и районов оказать помощь в юридическом оформлении приобретённого жилья беженцами, самостоятельно обустроившимися на территории РЮО.

13. Государственному комитету по делам национальностей и миграции РЮО уточнить возможность и размеры реального участия УВКБ ООН и других международно-гуманитарных организаций в обустройстве беженцев по месту возвращения.

14. Государственному комитету по делам национальностей и миграции РЮО провести встречи и собрания с беженцами в пунктах временного размещения в Республике Южная Осетия в целях ознакомления их с принятым СКК «Порядком добровольного возвращения беженцев и вынужденно перемещённых лиц в результате грузино-осетинского конфликта в места их прежнего постоянного проживания» и настоящим Указом.

15. Все права и льготы возвращающихся в места прежнего проживания беженцев и вынужденных переселенцев распространить на беженцев, избравших Южную Осетию для нового места жительства.

16. Средствам массовой информации обеспечить достоверное и оперативное информирование общественности о процессе возвращения.

17. Контроль за выполнением данного Указа возложить на Госкомитет по делам национальностей и миграции РЮО.

Президент
Республики Южная Осетия

Л. Чибиров

г. Цхинвал
№ 59 от 11.06.1997

П О Р Я Д О К

добровольного возвращения беженцев и вынужденно перемещённых лиц⁴¹ в результате грузино-осетинского конфликта в места их прежнего постоянного проживания

Признавая право всех граждан на проживание в местах своего происхождения и возвращения в них, воплощённого во Всеобщей Декларации прав человека и Международном пакте о гражданских и политических правах,

действуя в соответствии с Соглашением о принципах урегулирования грузино-осетинского конфликта, подписанным в Сочи 24 июня 1992 года, Положением о Смешанной Контрольной Комиссии (СКК) от 31 октября 1994 года, Меморандумом о мерах по обеспечению безопасности и укреплению взаимного доверия между сторонами в грузино-осетинском конфликте и Заявлением об итогах встречи между Э. А. Шеварднадзе и Л. А. Чибировым в городе Владикавказе,

подтверждая своё стремление к межнациональному согласию, миру и соблюдению прав человека,

выражая свою готовность к добровольному возвращению беженцев и вынужденно перемещённых лиц в места прежнего постоянного проживания, а также уважая их право на свободный выбор места жительства,

стороны обеспечивают:

- право на добровольное возвращение беженцам и вынужденно перемещённым лицам в места их прежнего постоянного проживания;

- защиту беженцев и вынужденно перемещённых лиц от возможного преследования или ограничения их права на свободу, а также от других мер, ущемляющих их безопасность и достоинство после возвращения; такая защита не распространяется на лиц, совершивших серьёзные преступления неополитического характера, военные преступления и преступления против человечества, как это определено в соответствующих международных документах;

- право беженцев и вынужденно перемещённых лиц восстановить свои права на собственность, которой они были лишены в ходе конфликта;

- право на свободу передвижения;

- защиту от преследования, угрозы жизни или имуществу, а также от взимания несанкционированных выплат или иных материальных сборов;

- защиту от действий, ущемляющих национальное достоинство беженцев и вынужденно перемещённых лиц;

- условия для свободной реализации политических и гражданских прав, а также права на гражданство;

- создание условий для развития культуры, национальных традиций и обучения на родном языке для возвращающихся беженцев и вынужденно перемещённых лиц;

- достоверное и оперативное информирование общественности о процессе возвращения.

1. Возвращение беженцев и вынужденно перемещённых лиц при строгом соблюдении принципа добровольности и документально подтверждённых фактов постоянного проживания в местах их возвращения производится:

- в сохранившееся жильё, по праву принадлежащее им. По мере его высвобождения в случае занятости другими беженцами или вынужденно перемещёнными лицами;

- в восстановленное жильё;

- во временное жильё.

2. С целью содействия организации возвращения и для установления факта прежнего постоянного проживания беженцы и вынужденно перемещённые лица подают заявления (Приложение 1) в двух экземплярах в соответствующие органы власти принимающей стороны через органы миграции по месту их фактического временного нахождения.

⁴¹ Понятие «вынужденно перемещённое лицо» включает понятие «вынужденный переселенец» для соответствующей стороны.

3. На основании поданных заявлений органы миграции составляют сводные списки по территориям прежнего проживания и вместе с одним экземпляром заявления направляют их в соответствующие органы власти принимающей стороны.

Второй экземпляр хранится в органах миграции соответствующих сторон.

4. Рассмотрение направленных списков и заявлений осуществляется в течение 30 дней с момента их регистрации по поступлении в соответствующие органы власти принимающей стороны.

По окончании рассмотрения списки возвращающихся беженцев и вынужденно перемещённых лиц утверждаются и направляются в органы миграции соответствующих сторон.

5. При отрицательном решении о факте подтверждения прежнего постоянного проживания, органу миграции соответствующей стороны направляется письменный, юридически обоснованный ответ.

6. Направление беженцев и вынужденно перемещённых лиц к местам прежнего постоянного проживания осуществляется по мере их готовности. При этом соответствующий орган по миграции заблаговременно направляет официальное уведомление принимающей стороне.

7. Для добровольно возвращающихся беженцев и вынужденно перемещённых лиц принимающая сторона в тесном сотрудничестве с УВКБ ООН обеспечивает:

- приём и доставку к местам прежнего постоянного проживания;
- безопасность возвращения и проживания;
- все гражданские, политические, социально-экономические и культурные права;
- содействие в адаптации и реинтеграции в местах прежнего проживания, включая возможную отсрочку от военной службы.

8. С целью сохранения единства семей, супругам и/или детям возвращающихся беженцев и вынужденно перемещённых лиц, которые сами не являются гражданами принимающей страны, разрешается въехать и оставаться в районах возвращения.

9. Добровольно возвращающиеся беженцы и вынужденно перемещённые лица освобождаются от обычных для пунктов пересечения границ и автомагистралей иммиграционных, таможенных и других формальностей, а также от всех пошлин и налогов на автотранспортные средства. Личная и общественная собственность беженцев и вынужденно перемещённых лиц, которую они перевозят с собой, включая домашних животных, не облагается никакими таможенными пошлинами и налогами.

10. Все права и льготы возвращающихся в места прежнего постоянного проживания беженцев и вынужденно перемещённых лиц распространяются и на тех из них, которые избрали себе новое место жительства.

11. Координация усилий сторон по реализации данного Порядка возлагается на постоянно действующий орган, состоящий из представителей сторон и наделённый СКК соответствующими полномочиями.

Владикавказ, 13 февраля 1997 г.

За Российскую сторону

За Грузинскую сторону

За Юго-Осетинскую сторону

За Северо-Осетинскую сторону

При участии:

За ОБСЕ

За УВКБ ООН

შეთანხმება

საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების შესახებ

რუსეთის ფედერაცია და საქართველოს რესპუბლიკა, რომლებიც ისწრაფვიან, რაც შეიძლება მალე შეწყდეს სისხლისღვრა და ყოველმხრივ მონესრიგდეს კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის, ხელმძღვანელობენ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენის სურვილით... მხედველობაში იღებენ მიმდინარე წლის 10 ივნისს ყაზბეგში მიღწეულ მორიგებებს, შეთანხმდნენ:

...

მუხლი 4.

მხარეები დაუყოვნებლივ შეუდგებიან მოლაპარაკებას კონფლიქტის ზონაში არსებული რაიონების ეკონომიკური აღორძინებისა და ლტოლვილების დაბრუნებისთვის პირობების შექმნის შესახებ.

მხარეებს დაუშვებლად მიაჩნიათ ეკონომიკური სანქციებისა და ბლოკადების გამოყენება, ნებისმიერი სხვა დაბრკოლების შექმნა საქონლის, მომსახურებისა და ადამიანების თავისუფალი მოძრაობის გზაზე და ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების განწევის პირობები.

...

საქართველოს რესპუბლიკის სახელით
ე.ა. შევარდნაძე

რუსეთის ფედერაციის სახელით
ბ.ნ. ელცინი

ა. გალაზოვი

თ. კულუმბეკოვი

შეთანხმება

რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიონების ეკონომიკური აღდგენის შესახებ

რუსეთის ფედერაციის მთავრობა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიონების ეკონომიკური აღდგენის, აგრეთვე მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნებისთვის პირობების შექმნის მიზნით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

...

მუხლი 4.

მხარეები ორგანიზებას გაუკეთებენ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიებზე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან გამოსული ლტოლვილების აღწერას, აგრეთვე ხელს შეუწყობენ მათ დაბრუნებასა და თავიანთი საცხოვრებლისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების აღდგენაში.

...

შესრულებულია მოსკოვში 1993 წლის 26 სექტემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე...

რუსეთის ფედერაციის
მთავრობის სახელით

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნებაში ურთიერთქმედების შესახებ

საქართველოს მთავრობა (საქართველოსათვის — აღმასრულებელი ხელისუფლება) და რუსეთის ფედერაციის მთავრობა, შემდგომში „მხარეები“,

„ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“ 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების (სოჭი), „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ 1996 წლის 16 მაისის მემორანდუმისა (მოსკოვი) და ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისადმი მიძღვნილი შეხვედრის 1997 წლის 5 მარტის ოქმის (მოსკოვი) დებულებებიდან გამომდინარე,

ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რაიონების ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების, აგრეთვე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა (იძულებით გადასახლებულთა) ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ორგანიზებული დაბრუნებისათვის პირობების შექმნის მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეები ადასტურებენ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამუშაოთა შემდგომი დაფინანსების აუცილებლობას და სამხრეთ-ოსურ და ჩრდილო-ოსურ მხარეთა უფ-ლებამოსილი წარმომადგენლების მონაწილეობით შეიმუშავენ:

- ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენაში ურთიერთქმედების სახელმწიფოთაშორისო პროგრამას;
- ლტოლვილთა დაბრუნების, მონყობის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის სახელმწიფოთაშორისო პროგრამას, რომელიც შეიცავს ღონისძიებებს მეურნეობის აღდგენისათვის იმ რაიონებში, სადაც ბრუნდებიან ლტოლვილები.

მხარეები მიიღებენ ზომებს ზემოაღნიშნული პროგრამების რეალიზაციისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების მოზიდვით.

საქართველოს მხარე საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მიიღებს ზომებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების აღსადგენად მათ მიერ ადრე დაკავებულ საცხოვრებელზე.

მხარეები ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევას კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში სოციალური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული პროგრამების რეალიზაციის მიმართულებით.

...

შესრულებულია ქ. თბილისში 2000 წლის 23 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე...

რუსეთის ფედერაციის
მთავრობის სახელით

საქართველოს
მთავრობის სახელით

**ლენინგორის რაიონი: პოლიტიკური თავისებურებანი,
დემოგრაფიული მასშასსიათებლები, ეკონომიკა,
სასაზღვრო პრობლემები**

მარია კოტაევა

სამხრეთ ოსეთი – კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე მდებარე პატარა რესპუბლიკაა, რომლის მოსახლეობაც 100 ათას კაცს შეადგენს⁴². საერთაშორისო საზოგადოებისთვის აქცენტირებულად ცნობილი იგი 2008 წლის აგვისტოში მსოფლიო მასმედიის მიერ მის ტერიტორიაზე მიმდინარე ომის გაშუქებისას გახდა. აგრესიის მოგერიების შემდეგ, 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციამ აღიარა რესპუბლიკა, რასაც რამდენიმე სახელმწიფოს მხრიდანაც მოჰყვა აღიარება. დღესდღეობით სამხრეთ ოსეთი განვითარებას აგრძელებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველოსთან, რომელიც სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტსა და სახელმწიფო საზღვარს არ აღიარებს, მას მეტად დაძაბული, პრაქტიკულად კი, განყვეტილი ურთიერთობები აქვს.

სამხრეთ ოსეთის ლენინგორის (ქართული დასახელება – ახალგორი) რაიონი ამ კონტექსტში ოდითგანვე ოსი და ქართული მოსახლეობის მჭიდრო, შერეული თანაცხოვრების ტრადიციულ ადგილს წარმოადგენდა. ოსურმა მოსახლეობამ თანამედროვე ლენინგორის რაიონის ტერიტორიაზე შელწევა ადრეული შუასაუკუნეების ეპოქაში დაუს რაიონის მდინარე დიდი ლიახვის ზემო წელიდან დაიწყო. თავდაპირველად ქსნის, შემდეგ კი ლეხურის ხეობაში ოსური მთის თემები დაფუძნდა: ძიმირ (ყამური) – ქსნის ზემო წელი, ცურთა და კარცუხ⁴³ – ქსნის საშუალო დინებაში, ალევ⁴⁴ – ქსნიდან აღმოსავლეთით, ჩისან – ქსნისა და ლეხურის საშუალო დინებაში, ლეხურის ხეობაში. ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემების მიხედვით, ქსნის საერისთავოში ოსები მოსახლეობის 2/3-ს შეადგენდნენ. დაბა ლენინგორში დღევანდლამდეა შემორჩენილი ქსნის ერისთავების სასახლე (რომელიც ამჟამად მუზეუმი), აგრეთვე — ბევრი ისტორიული ძეგლი: იკორთის ეკლესია (1172 წ.), კაბენისა (IX საუკუნე) და ლარგვისის⁴⁵ (XIII საუკუნე) მონასტრები, ლომისის, არმაზისა და ბიკარის ბაზილიკები, ციხე-სიმაგრეები ცირკოლი და ციკმორი.

XIX საუკუნიდან 1922 წლამდე ახლანდელი ლენინგორის ტერიტორია ტიფლისის გუბერნიის დუშეთის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა. 1922 წელს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისას, თანამედროვე ლენინგორის რაიონის ტერიტორია ავტონომიის შემადგენლობაში სამ ცალკეულ რაიონად შევიდა: ახალგორის, კეხურის და მონასტერის. ამჟამინდელ საზღვრებით ლენინგორის რაიონი 1940 წელს შეიქმნა. 1990 წლის სექტემბერში ლენინგორის რაიონული საბჭოს სახალხო დეპუტატების სესიაზე დაბა ლენინგორს სახელი გადაერქვა და ეწოდა ახალგორი. თავის მხრივ, ეს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭომ არამართლზომიერად და უკანონოდ სცნო.

არა უმეტეს ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის (რაიონის რუკა თანდართულია) ამ მთიანი რაიონის მოსახლეობა, 2002 წლის აღწერის მონაცემებით, 8,5 ათასს შეადგენს⁴⁶.

მიუხედავად ქართულ-ოსური კონფლიქტის ხანგრძლივობისა, ამ რაიონში მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს შორის უწინდებურადაა შენარჩუნებული სტაბილური, ხშირად — მეგობრული ურთიერთობები, მაგრამ თვით ტერიტორია ქართული და ოსური ხელმძღვანელობისთვის სადავო პოლიტიკურ საკითხად იქცა.

⁴² საბჭოთა კავშირის დაშლამდე და ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე 1989-1990 წ.წ-ში.

⁴³ ყოფილი ქარჩოხი.

⁴⁴ ყოფილი ალევი.

⁴⁵ ყოფილი ლარგვისი.

⁴⁶ საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული აღწერა. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას აღწერა ჯერ არ ჩაუტარებია.

პრინციპში საქართველო, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიულ მთლიანობას არასდროს აღიარებდა, მიიჩნევს, რომ დედაქალაქიცა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყველა რაიონიც საქართველოს ეკუთვნის. მაგრამ ლენინგორის რაიონი, რომელიც ქართული ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, მოექცა და ასეთ რეჟიმში 2008 წლამდე იმყოფებოდა, 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის მოგერიების შემდეგ სამხრეთ ოსეთის სრული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონტროლის ქვეშ გადავიდა.

ორივე მხარე — ოსურიცა და ქართულიც — ლენინგორის მთელ რაიონს კონფლიქტამდელ საზღვრებში ყოველთვის საკუთარ ტერიტორიად განიხილავდა. 2008 წლის აგვისტოში ოსურმა რაზმებმა რუსეთის ჯართან ერთად ქსნის ხეობაზე კონტროლი დაამყარეს, რითიც ლენინგორის მთელ რაიონზე გავრცელდა სამხრეთ ოსეთის რეალური იურისდიქცია.

სამხარეო და რაიონულ ხელმძღვანელობას შორის უთანხმოება ჯერ კიდევ 1990 წელს დაიწყო, როცა 1990 წლის 4 სექტემბერს ლენინგორის რაიონის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე სესიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სუვერენიტეტის დამგმობი დეკლარაცია მიიღეს და, აგრეთვე, ლენინგორს ახალგორი უწოდეს. 1990-იანი წლების დამდეგს, ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად, ლენინგორის რაიონი 16 წლით ფაქტობრივად ორ ქვეყანას შორის გაიყო. პრაქტიკულად მხოლოდ ოსებით დასახლებული რაიონის დასავლეთი (ლესურის ხეობა და ტირიფონის დაბლობი) იმ მომენტისათვის არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონტროლქვეშ დარჩა. რაიონის ოსურ ნაწილს საბჭოთა სახელწოდება „ლენინგორის რაიონი“ შერჩა, ამ ნაწილის ფაქტობრივი ცენტრი კი სოფელ წინაგარში მდებარეობდა. რაიონის უმეტეს ნაწილში (ქსნის ხეობა), რომლის ცენტრი დაბა ლენინგორი იყო, დამყარდა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება. აქ მოსახლეობა შერეული იყო, მაგრამ სჭარბობდნენ ქართველები. რაიონულ ცენტრს მისი ისტორიული სახელწოდება – ახალგორი – დაუბრუნდა; შესაბამისად, რაიონსაც „ახალგორის“ დაერქვა. ქსნის ხეობაზე სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლის დაწესების შემდეგ ქართული მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მომდევნო წლებში ქართული მოსახლეობის ორივე მიმართულებით გადაადგილების რთული პროცესი მიმდინარეობს. დღეისათვის ქართული მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა რთულია, მაგრამ სამხრეთ ოსეთში პასპორტების გამოცვლის დაგეგმილი პროცესი შესაძლებელს გახდის დადგინდეს მოსახლეობის შემადგენლობა. ლენინგორის რაიონის საპასპორტო მაგიდის უფროსის მ. ძუკაევას მონაცემებით, საკომლო შემოვლის შედეგებით, მხოლოდ დაბა ლენინგორის მოსახლეობა 1600 ადამიანს შეადგენს (რაიონის მოშორებული ოთხი სოფლსაბჭოს გარეშე).

2008 წლის აგვისტოში ლენინგორის რაიონი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ხელმძღვანელობის ქვეშ გადავიდა, რის საპასუხოდაც იმავე წელს საქართველომ რაიონის მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა (გაზს, ელექტროენერჯიას და მთელ სოციალურ პაკეტს რაიონის მოსახლეობა მხოლოდ საქართველოდან იღებდა). შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება აქ (ისევე, როგორც, პრინციპში, მთელ სამხრეთ ოსეთში) გაიყო „2008 წლამდე“ და „2008 წლის შემდგომ“ პერიოდებად. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოში, შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ლენინგორის რაიონის ტერიტორიაზე არც ერთხელ არ გაუსვრიათ და სწორედ ამ რაიონში ქართულ-ოსური შერეული მოსახლეობა თავის მჭიდრო თანაარსებობას განაგრძობს, ქართულ მოსახლეობაში თანდათანობით მაინც მატულობს დაძაბულობა. ხელისუფლების ცვლა, საპასპორტო მონაცემების რუსულ ენაზე გადაყვანა და პასპორტიზაციის შემდგომი პროცესი რაიონში მცხოვრებ ქართველებს არაკომფორტულ გარემოს უქმნის. ამასობაში კი ქართული ხელისუფლება ლენინგორის რაიონის მოსაზღვრე წეროვანის დასახლებაში დაჩქარებული ტემპით ასობით კოტეჯს აშენებს. კოტეჯები ლენინგორში მაცხოვრებელთათვისაა განკუთვნილი, ვისაც საქართველო „ლენინგორზე უკეთეს ცხოვრების პირობებს“ სთავაზობს.

ლენინგორის მაცხოვრებელთა ინფორმაციით, „ძალიან ბევრი ადგილობრივი მკვიდრი გადადის წეროვანში და იღებს კოტიჯს“. ამავდროულად ლენინგორში ისინი თავის სახლებს არ ტოვებენ და დაბის მოსახლეობის ნაწილი „ორ ფრონტზე“ ცხოვრობს, ე.ი. წეროვანის ახალ კოტიჯებშიც და ლენინგორში უწინდელ საცხოვრებელ ადგილებშიც. აღსანიშნავია, რომ ლენინგორის რაიონის მაცხოვრებლებს საქართველოს მოქალაქეობა და ქართული პასპორტები უნარჩუნდებათ. საქართველოსთან ზუსტი საზღვარი ჯერ დადგენილი არაა, მაგრამ რაზდახანის⁴⁷ გამშვებ პუნქტზე, სადაც სამხრეთ ოსეთის მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებიან, ქართულ პასპორტებს წარადგენენ. შემდგომ შემონმებას რუსეთის მესაზღვრეები აწარმოებენ, ხოლო უკვე საქართველოს ტერიტორიაზე შესულებს ქართული მიგრაციის სამსახური ხვდებათ.

ამასობაში, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აცნობიერებს რა, რომ საქართველოს პოლიტიკა მიმართულია იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გადასახლდეს წეროვანში და შედეგად რაიონში ქართული მოსახლეობა მინიმუმამდე დავიდეს, რაიონის განვითარებისთვის უზარმაზარ სახსრებს გამოყოფს. განვითარების პროგრამაში პირველ რიგში შედის 80 კმ. სიგრძის ცხინვალ-ლენინგორის გზის მშენებლობა, ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა, „ძირკაუ-ცხინვალის“ გაზსადენის ქსელთან მიერთება, ჯანდაცვისა და კულტურის ობიექტების აღდგენა, მოსახლეობის პასპორტიზაციის ჩატარება, საზღვრის მონყოფა და ა.შ.

მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პრობლემაა ცივი სეზონის დროს, როცა ხალხს ესაჭიროება გათბობა, ბუნებრივი აირის არქონა. მაცხოვრებლები სახლებში შეშის ღუმელებს აყენებენ, სკოლები დიზელის სანვავის საშუალებით თბება, ყენევის დისკუსიების მონაწილე სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები კი დისკუსიების ყოველ რაუნდზე ლენინგორის რაიონში გაზმომარაგების საკითხს აყენებენ. დისკუსიების მე-13 რაუნდის წინ საქართველოს ხელისუფლებამ რაიონში გაზმომარაგების აღდგენაზე თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმ პირობით, თუ რაიონში განლაგებული რუსეთის მესაზღვრეები მონოდებულ გაზს არ მოიხმარდნენ. ასეთი პირობით ბუნებრივი აირის მიღებაზე სამხრეთ ოსეთის მხარე უარს აცხადებს.

ლენინგორის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის თანაშემწის, სერგეი გაგლოვეის, ინფორმაციით, ლენინგორის რაიონის ადმინისტრაციასთან არსებულმა მოსახლეობის სოციალური დაცვის განყოფილებამ ლენინგორის 64 უმწეო ოჯახი ზამთრის პერიოდისთვის შეშით მოამარაგა – თითო ოჯახზე ერთი კუბური მეტრი; ეს ნახევარი სატვირთო მანქანაა, რომლის ღირებულება 10 ათასს რუბლს შეადგენს⁴⁸. ამასთან, როგორც ადმინისტრაციაში აღნიშნეს, დახმარება მხოლოდ უმწეო ოჯახებისთვის არაა განკუთვნილი – „ადმინისტრაციაში ბევრი ოჯახი გვიგზავნის განაცხადებს; ჩვენ ამ განაცხადებებს ვაგზავნით ადგილობრივ სატყეო მეურნეობაში. განაცხადების მიხედვით სატყეო მეურნეობა ამზადებს შეშას და სახლებში მიაქვს. ადმინისტრაციის დახმარება იმაში მდგომარეობს, რომ განმცხადებლებს ვუნაზღაურებთ თანხის ნაწილს – 3 ათას რუბლს,“ – აღნიშნა გაგლოვემა.

რაც შეეხება დიზელის სანვავს, გაგლოვემა განაცხადა: „სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დიზელის ბოილერები მოქმედებს. ჩვენ სკოლებს ვანვდით სანვავს და ვახერხებთ ბავშვების სითბოთი უზრუნველყოფას. ლენინგორის ბავშვთა სახლის კლასებისთვის, საძინებლებისა და სასადილოსთვის ზეთის ელექტროგამათბობლები შევიძინეთ. ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია. სამწუხაროდ, ბუნებრივი აირი რესპუბლიკას ჯერჯერობით არ მიეწოდება. უკვე მესამე წელია რალაცნაირად ასე გავდივართ ფონს“. შეშის დამზადება ხდება ლენინგორის რაიონის ახლომდებარე ტყეებში.

უკეთესადაა საქმე ელექტროენერგიასთან დაკავშირებით. რაიონის ადმინისტრაციის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც 2010 წლის დასაწყისში სამხრეთ ოსეთმა ლენინგორის რაიონში ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაასრულა, სამხრეთ ოსეთის დენით 60-ზე მეტი სოფელი სარგებლობს. გამონაკლისს ორი სოფელი – ახმაჯი

⁴⁷ ყოფილი მოსაბრუნე.

⁴⁸ რაც 450 ლარის ტოლია.

და ტიჯიტა⁴⁹ — წარმოადგენენ, რომლებიც ჯერ არაა ელექტროფიცირებული. ახმაჯში, სადაც რუსეთის მესაზღვრეები სასაზღვრო საგუშაგოს აშენებენ, ელექტროენერჯიას მესაზღვრეები საკუთარი ძალებით გაიყვანენ. სოფელ ტიჯიტაში ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად სახელმწიფო უნიტარული საწარმო „ენერგორესურს-სამხრეთ ოსეთი“ უკვე ყიდულობს საჭირო მოწყობილობას. ორგანიზაციის წინაშე დგას ამოცანა, რომ სამუშაოები უმოკლეს ვადაში ჩაატაროს.

2010 წელს სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონის ადმინისტრაციამ რუსეთის მესაზღვრეებს ადმინისტრაციული შენობების ასაშენებლად მიწები გამოუყო. 1992 წლის შემდეგ გაუქმებული ძველი სკოლა-ინტერნატისა და ინტერნატის საერთო საცხოვრებლის ადგილზე ახლა რუსეთის მესაზღვრეებისთვის საგუშაგოები შენდება. თავად მესაზღვრეები კი ჯერჯერობით სოფლის სატყეო მეურნეობის შენობასა და იმავე მეურნეობის ტერიტორიაზე გაშლილ კარვებში არიან განთავსებული.

ლენინგორში სასაზღვრო სამსახურის განყოფილების გამგე ვ. ლიუბჩენკო აღნიშნავს, რომ რუსეთის მესაზღვრეებს ადგილობრივ მოსახლეობასთან მეგობრული ურთიერთობა უყალიბდებათ. რუსეთის მესაზღვრეების იქ ყოფნას ადგილობრივი ოსურ-ქართული მოსახლეობა დადებითად აფასებს. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ 2008 წლის სამხედრო აგრესიის საშინელება ჩვენს თავზე არ განგვიცდია, რუსეთის მესაზღვრეების დაცვის ქვეშ ცხოვრება უფრო მშვიდად გვეჩვენება,“ – ამბობს ლენინგორის სასურსათო მაღაზიის გამყიდველი ა. კოზაევა. „არ მახსოვს, რომ რუს ჯარისკაცებს აქ ვინმესთვის ხელი შეეშალოთ; პირიქით, მათი გამოჩენის შემდეგ რაიონში ვაჭრობა უკეთესად წავიდა. რახან არ გვანუხებენ — იცხოვრონ,“ – აცხადებს ბოსტნეულის გამყიდველი ა. მამიშვილი.

ამასობაში კი, როგორც აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ლენინგორის რაიონში №3 საშუალო სკოლა რუსმა მესაზღვრეებმა დაანგრიეს. ამის გამო რუსეთის ფედერაცია ქართველების ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გაგრძელებასა და, ასევე, ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლების – მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელყოფაში დაადანაშაულეს. ქართული მხარის მონაცემების მიხედვით, დანგრეულ სკოლაში 150 ქართველი და ოსი ბავშვი სწავლობდა.

ლენინგორის რაიონის ხელმძღვანელის მოადგილე ა. ბარათაშვილი გამოეხმაურა საქართველოს საგარეო სამინისტროს განცხადებას და თქვა, რომ ლენინგორის რაიონში არც ერთი სკოლა არ დანგრეულა, ხოლო ქართული მხარე ისევ და ისევ რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობს. ჯერ კიდევ 2008 წელს ქართული მხარე ქართული სკოლების დახურვის შესახებ იუნყებოდა, თუმცა შემდეგ ლენინგორში ჩამოსულმა უფლებადამცველებმა ეს არ დაადასტურეს. დღეისათვის ლენინგორში ორი მოქმედი სკოლაა – ქართული და რუსული. რადგანაც რუსული სკოლის შენობა საკმაოდ დაძველდა, ამ სკოლის დირექტორმა ციალა დრიაევამ ბავშვები ქართული სკოლის შენობაში გადაიყვანა და ახლა, შენობის არქონის გამო, ქართველი და რუსი ბავშვები ერთ შენობაში სწავლობენ. №3 სკოლის რუსული ენის ყოფილმა მასწავლებელმა ზაირა ჩოჩიევამ კლასებში ვითარების აღწერისას გვითხრა: „გასულ ზამთარს რთულ პირობებში ვმუშაობდით; იმის გამო, რომ საქართველომ ჯერ კიდევ 2008 წელს გაგვითიშა გაზი, სკოლაში გათბობა არ იყო. იძულებული გავხდით სკოლებში შეშისა და ნავთის ღუმელები დაგვედგა. ჩვენთვის მოჭქონდათ დიზელის საწვავი და მისი საშუალებით ვთბებოდით. ასეთი ვითარება მარტო სკოლაში არ ყოფილა. ლენინგორის ბავშვთა სახლში 42 აღსაზრდელია, რომელთა გაყოფა არც ქართველმა და არც ოსმა ხელისუფლებამ არ მოისურვა. ბავშვები სხედან ოთახში, უყურებენ ტელევიზორს, აქვთ სათამაშოები, მოსახერხებელი საწოლები და ნავთის ღუმელი, რომელიც მათ ზამთარში სითბოთი უზრუნველყოფს“.

ავვისტოს ომამდე ლენინგორის სკოლებში ათასამდე მოსწავლე იყო, ახლა კი მთელ რაიონში სამასიც არ შეგროვდება. სკოლების კედლებზე ქართულენოვანი კედლის გაზეთები და წარწერებია, მათ შორის — რუსულ სკოლებშიც. მაგალითისთვის,

⁴⁹ ყოფილი ნაგომევი.

ცხინვალის სკოლის მოსწავლე ქართულ წარწერას ვერ გაიგებს, რადგან ამ ენას არ სწავლობს, ხოლო ქუჩებსა და სახლში ეს ენა არ ესმის. ლენინგორში კი ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მისი მშობლიური ენისა, ესმის ქართული და ლაპარაკობს ამ ენაზე. თუმცა რუსული სკოლების პედაგოგები შეშფოთებული არიან არა იმით, რომ ბავშვები ქართულად ლაპარაკობენ, არამედ იმით, რომ ისინი ოსურს ივინყებენ.

ლენინგორის რუსული სკოლის ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება და მიმართეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამინისტროს თხოვნით, უზრუნველყოთ სკოლები მშობლიური ენის სახელმძღვანელოებით, ოსი მწერლების თხზულებებით, ოსური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესასწავლი პროგრამებით და ა.შ., სამწუხაროდ, მათი ყველა მოთხოვნა როდი დაკმაყოფილდა. პრობლემა ამ დრომდე რჩება.

ოდესლაც მდიდარ რუსულ სკოლაში 33 მოსწავლე დარჩა, ქართულში — 48. მოსწავლეების ასეთი კლება გამოწვეულია არა იმდენად ცუდი პირობებით, რამდენადაც მშობლების გადანყვეტილებით, თან წაიყვანონ ბავშვები მცხეთასთან განლაგებულ წეროვანის დასახლებაში; სამ თვეში ქართულმა ხელისუფლებამ იქ ორი ათასზე მეტი კოტეჯი ააშენა.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების განცხადებით, ასეთი, პრაქტიკულად უკონტროლო გადაადგილება საქართველოში და უკან მოსახლეობის პასპორტიზაციის დასრულებისთანავე აღმოიფხვრება, ხოლო ლენინგორის რაიონში შესვლა შეიძლება ფასიანი გახდეს. როგორც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციული კონტროლის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ს. ტიგიევი გვიყვება, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის სამსახური უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქართულ-ოსური საზღვრის გადაკვეთისთვის ბაჟის დასანესებლად ემზადება. რესპუბლიკის ლენინგორის რაიონში შესვლისას ქართული პასპორტების მქონე პირები უცხოური ქვეყნის მოქალაქეებად მიიჩნევიან და, შესაბამისად, „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ბაჟის სახით 320 რუბლს გადაიხდიან. კანონში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში შესვლას ან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან გასვლასთან დაკავშირებული ქმედებებისთვის სახელმწიფო ბაჟი შემდეგი ოდენობით განისაზღვრება: სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის დროებით შესვლისა და ამ ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის გადასხდელია 320 რუბლი.

ამ დროისათვის რესპუბლიკის ლენინგორის რაიონში შემომსვლელებს ბაჟს არ ახდევინებენ. ეს ლენინგორის რაიონის ადმინისტრაციის უფროსმა ა. ჯუსოევმა და მილიციის პოლკოვნიკმა ს. ტიგიევმა დაადასტურეს, რომელთა თანამშრომლები რაზდახანის გამშვებ პუნქტზე მსახურობენ. სამხრეთ ოსეთის შიდასამოქალაქო პასპორტისა და, შესაბამისად, მასთან ერთად სამხრეთ ოსეთის მოქალაქის სოციალური მომსახურების მთელი პაკეტის მისაღებად ლენინგორის მაცხოვრებლები სურვილისამებრ იღებენ ე.წ. „ფორმა №9“ დოკუმენტს, ხოლო შემდეგ უკვე მიიღებენ პასპორტებს (თუმცა ამ დრომდე ჯერჯერობით არ არსებობს პასპორტის ნიმუშები, პასპორტიზაციის შესახებ გადანყვეტილების მიღება კი ჭიანჭურდება). ტექნიკური სამუშაო ბევრია: დაბადების მონმობების თარგმნას ქართულიდან ოსურ ენაზე, სამისამართო ფურცლისა და სტატისტიკური ტალონის გაფორმებას დრო სჭირდება. ფორმა №9-ის საფასური 35 რუბლს შეადგენს. რაიონის მოსახლეობის არცთუ მაღალი შემოსავლის გათვალისწინებით მიღებულია გადანყვეტილება, რომ დაინიოს მოქალაქეებისთვის ყველანაირი ცნობის საფასური. ამასთან, ცნობების მისაღებად არ არის აუცილებელი ცხინვალში წასვლა; სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პასპორტების გამცემ პუნქტში. რაიონული საპასპორტო-სავიზო სამსახურის მონაცემებით, ლენინგორში ხელზე უკვე 600-ზე მეტი ფორმა №9 გაიცა, ხოლო 800 კაცზე მეტმა შეიტანა განცხადება და თავის

რიგს ელოდება. ეს მონაცემები ეხება საკუთრივ დაბას; რაიონიდან მოშორებულ დასახლებულ პუნქტებში ცნობების გაცემა კი ჯერ არ დაწყებულა.

სამხრეთ ოსეთის მოქმედი კანონმდებლობით ორმაგი ქართულ-ოსური მოქალაქეობა გათვალისწინებული არ არის და, არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ამგვარ შეთანხმებებზე ხელის მოწერა განჭვრეტად მომავალშიც არ მიიჩნევა შესაძლებლად. აქედან ნათელია, რომ ლენინგორის ქართველი მაცხოვრებლები არჩევანის წინაშე დადგებიან — შეინარჩუნონ საქართველოს მოქალაქეობა და უარი თქვან სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობაზე თუ უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და მიიღონ სამხრეთ ოსეთისა. საქართველოს მოქალაქეობაზე წერილობითი ფორმით უარის თქმა და საპასპორტო განყოფილებაში ქართული პასპორტის ჩაბარება აუცილებელი პირობაა სამხრეთ ოსეთის პასპორტის ასაღებად.

„ადამიანები ათწლეულობით ცხოვრობენ ლენინგორში თბილისური ჩანერით. ჩვენ მათ დროებითი რეგისტრაცია უნდა გავუფორმოთ, მაგრამ მათ, თავის მხრივ, თბილისიდან ამონერა არ უნდათ, რადგან იქ სახლები აქვთ, ცხოვრებით კი ლენინგორში ცხოვრობენ. ადამიანებს ძირითადად უნდათ, რომ ჰქონდეთ როგორც ქართული, ისე ოსური პასპორტები, მაგრამ ჩვენ მათ ვუხსნით, რომ ეს შეუძლებელია. უკვე დროა გააკეთონ არჩევანი; შეუძლებელია მათ იცხოვრონ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ერთდროულად იყვნენ ჩვენი და საქართველოს მოქალაქეები,“ – აღნიშნავს მ. ძუკაევა.

სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოში შეგვატყობინეს, რომ ლენინგორის მაცხოვრებლები საქართველოში შესვლას ქართული პასპორტებით აგრძელებენ. „რაიონის მაცხოვრებლებს შესაძლებლობა აქვთ საზღვარი ასევე დროებითი პირადობის მოწმობით — ფორმა №9-ით გადალახონ, მაგრამ საზღვრის გადაკვეთისას ამ დოკუმენტით არ სარგებლობენ. სხვა საქმეა, რომ საქართველოში ლენინგორის მაცხოვრებლებს ამ საბუთით არ უშვებენ, ვინაიდან ქართული ხელისუფლება მის ნამდვილობას არ სცნობს,“ – დაამატეს ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოში.

გასული წლის იანვარში რუსმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ გამკაცრდა კონტროლი საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე და რუსული ან ოსური პასპორტის გარეშე ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა შეიზღუდება. მაგრამ პასპორტების მიღების ასეთი პირობებისთვის თავად ადგილობრივი მაცხოვრებლები არ არიან მზად. მთელი რიგი მიზეზების გამო (საქართველოში ნათესაური კავშირები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა, თბილისის ექიმებთან კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება) ლენინგორის მაცხოვრებლები სამხრეთ ოსეთის პასპორტების მიღების ასეთი პირობებს არ თანხმდებიან და დარწმუნებული არიან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სასაზღვრო კონტროლის პუნქტების გავლით ოსური პასპორტებით მათ არ შეუშვებენ. „მე მაღაზიის მეპატრონე ვარ და საქონლის ჩამოსატანად რეგულარულად მიწევს გორში წასვლა. მე პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ყველა ნაბიჯი უბრალო მოქალაქეებზე აისახება. ჯერ რუსულ ენაზე დოკუმენტების გადაყვანა შემოიღეს, იქ ვიდექით რიგში, ახლა პასპორტები უნდა შევცვალოთ და საქონლის ჩამოსატანად როგორ ვიარო, რითი ვიცხოვრო?“ – ამბობს ლენინგორის მცხოვრები ი. ჩარაევა.

აღვინიშნავთ, რომ განსხვავებულია ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის არსებული განწყობილებები.

„მე ეროვნებით ოსი ვარ. ოცი წლის წინ ჩვენ გვაიძულეს გვარების დაბოლოებები გადაგვეკეთებინა „შვილ“-ზე ან „ძე“-ზე, ასევე — აგველო ქართული პასპორტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრებას ვერ გაკვალავდი: ვერც ნორმალურ სამსახურში მოენყობოდი და ვერც ისწავლიდი. ახლა ყველაფერი შეიცვალა. რატომ უნდა ვიარო ქართული პასპორტით, თუ ვარ ოსი და ვცხოვრობ ოსეთში? მე პასპორტს გადავცვლი.“

მართალია, ჯერჯერობით ფორმა №9 მომცეს, მაგრამ მითხრეს, რომ პასპორტების ბლანკებს მოგვიანებით ჩამოიტანენ“, – გვიყვება 63 წლის პენსიონერი ს. მარგიევი.

ადგილობრივი მაცხოვრებლები, როგორც ქართველები, ისე ოსები, თავის პრობლემებზე ხალისით გვიყვებიან, თუმცა ზოგ მათგანს საკუთარი სახელის გამჟღავნება არ სურს — ფიქრობენ, რომ ამან შემდგომში, საქართველოსთან საზღვრის გადაკვეთისას, შეიძლება პრობლემები შეუქმნას. ფატიმა ლენინგორში სუვენირების მაღაზიაში მუშაობს. მას ფორმა №9 ჯერ არ მიუღია და ამ პროცედურის გადადებას რაც შეიძლება დიდხანს აპირებს. „მე ქართველი ვარ, გამყიდვლად ვმუშაობ. ჩემი შვილი ცხოვრობს და სწავლობს თბილისში. რადგან ხელისუფლებამ ასე გადაწყვიტა, მე სამხრეთ ოსეთის პასპორტს ავიღებდი, მაგრამ ჩემიც გაიგეთ — მერე თბილისში შვილთან როგორ ვივლი? დარწმუნებული ვარ, რომ საზღვარზე ქართული პოლიცია ამ დოკუმენტს ან წამართმევს, ან დამიხვეს. საუკეთესო შემთხვევაში — უბრალოდ არ გამატარებს. ქართულ პასპორტზე უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ შვილს ვეღარ შევხვდები, მაგრამ ლენინგორიდან წასვლაც არ მინდა; აქ ჩემი სახლია, ჩემი ქონება; რა, ეს ყველაფერი პასპორტის გამო გავყიდო?“ – შემფოთებულია ფატიმა. 63 წლის დ. ჯავანაშვილი შაქრის დიაბეტიტაა დაავადებული. ის საპასპორტო განყოფილებაში თავისთვის და თავისი ცოლისთვის ფორმა №9-ის ასაღებად მივიდა. ამასთან, ის საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას არ აპირებს. დავითი დარწმუნებულია, რომ დაბაში ქართულ პასპორტებს არავინ ჩააბარებს, მაგრამ სამხრეთ ოსეთისას ყველა აიღებს: „მოსახლეობის ძირითად ნაწილს რუსული პასპორტები სურს. ამ პასპორტებით ლენინგორის მთელ რაიონში იშოვი სამუშაოს. მე ქართველი ვარ, ბებიაჩემი კი ოსი იყო. მე ოსური ხელისუფლების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ სამუშაოს რუსული პასპორტის გარეშე ვერ ვშოულობ. ოსური პასპორტით თბილისშიც ვერ წავალ ექიმებთან. თვეში ერთხელ თბილისში მიწევს ჩასვლა ექიმთან, რა თქმა უნდა, ოსური პასპორტით მე იქ არ წავალ. საზღვარზე უბრალოდ არ გამატარებენ. ცხინვალში კი საქართველოს მსგავს სამედიცინო პირობებს ვერ შემომთავაზებენ“, – მიიჩნევს დ. ჯავანაშვილი.

საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარისხზე საუბრისას არ შეიძლება ქართველი ექიმები ჯეროვნად არ დავაფასოთ: ამჟამად თბილისსა და სხვა ქალაქებში პაციენტებისთვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება გარანტირებულია. რაც შეეხება ლენინგორის რაიონს, ერთადერთ რაიონულ საავადმყოფოში ვითარება როგორც სამედიცინო დახმარების განხილვის, ისე სპეციალისტების მხრივ რთულია. ამჟამად შენობის ერთ ნაწილში რემონტია. ლენინგორის საავადმყოფოს აღდგენაზე 30 მილიონი რუბლია გამოყოფილი. ჯერჯერობით ექიმები შენობის მეორე ნაწილში არიან. შენობის შიგნით სინესტისა და ბოლის მძაფრი სუნი დგას, აქ შენობას ჯერ კიდევ შეშით ათბობენ.

ლენინგორის ცენტრალური საავადმყოფო 1964 წლიდან მოქმედებს. ამ წლების მანძილზე საავადმყოფოში კაპიტალური რემონტი მხოლოდ ორჯერ (!) ჩატარდა. როგორც საავადმყოფოს მთავარი ექიმი ზ. მარგიევი ყვება, „საავადმყოფო ახლა სრულ კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. სამუშაო პირობები, რბილად რომ ვთქვათ, სასურველია უკეთესი იყოს. ამას გარდა, ჩვენ პედიატრების, სტომატოლოგების ნაკლებობას განვიცდით, არ გვყავს კბილის ტექნიკოსი. საავადმყოფოში სტომატოლოგი გვყავს, მაგრამ ის ნეროვანში ცხოვრობს და ლენინგორში კვირაში ორჯერ ჩამოდის“.

ზაურ მიხაილოვიჩი მთავარ ექიმად აქ თითქმის საავადმყოფოს გახსნის დღიდან მუშაობს; ჯერ კიდევ პირველი ომის დროს⁵⁰, — როგორც თვითონ ამბობს. „ზვიადიზმის“⁵¹ დროს ის თანამდებობიდან ოსობის გამო გაათავისუფლეს და მის ადგილზე მთავარ ექიმად დანიშნეს ქირურგი, რომლის გვარიც „შვილზე“ მთავრდებოდა. ლენინგორის სამხრეთ ოსეთის კონტროლქვემ დაბრუნების შემდეგ ზაურ მიხაილოვიჩმა მთავარი ექიმის კანონიერი თანამდებობა დაიბრუნა. „ჩვენთვის

⁵⁰ იგულისხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის პირველი შეიარაღებული ფაზა 1991–1992 წლებში.

⁵¹ პერიოდი, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია იყო, რომელიც ნაციონალურ ექსტრემიზმს ავლენდა.

ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, – ამბობს ის. – ჩვენ ვემსახურებით ყველას, ოსი იქნება ის თუ ქართველი. ცხრა თვის განმავლობაში საავადმყოფომ სამედიცინო დახმარება 193 ავადმყოფს აღმოუჩინა. ახალი წლიდან კაპიტალურ რემონტს გვპირდებიან და არაჩვეულებრივი იქნება, თუკი ეს დაპირება რეალურ საქმედ იქცევა. მედიკამენტებთან დაკავშირებით საქმე კარგადაა, სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის სამინისტრო ჩვენი განაცხადის საფუძველზე საჭირო ნამლებით უზრუნველგვყოფს“. კაბინეტების დავლისას დეფორმირებულ რკინებში ძნელად გასარჩევია საავადმყოფოს სანოლები, საოპერაციო მაგიდები, ანტიბაქტერიული ნათურები, რენტგენის აპარატი და ა.შ. არ არის ქირურგიის განყოფილება, საოპერაციო ბლოკები, გაპარტახდა რენტგენისა და ულტრაბგერითი კვლევის კაბინეტები.

საავადმყოფო არანაკლებ 50 სანოლზე იქნება გათვლილი. ფულადი სახსრების უქონლობის გამო იძულებულები ვართ სასწრაფო დახმარება, სანეპიდსადგური, პოლიკლინიკა და თვითონ საავადმყოფო ძირითად კორპუსში განვალაგოთ,“ – ამბობს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კაპიტალური, საგზაო მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრი ჩ. ხუგაევი. შენობის რემონტს რუსეთის სანარდო ორგანიზაცია „დაგსტროი“ აწარმოებს. სპეციალისტები ძირითადად დაღესტნიდან ჩამოვიდნენ. სამუშაო ძალის მოსაზიდად მუშების ორი მესამედი ადგილობრივი მოსახლეობიდანაა დაქირავებული. მშენებლობის სამინისტროს გეგმის მიხედვით, საავადმყოფოს შენობის აღდგენა, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა დამთავრდეს.

ამ პირობებში სასწრაფო გადაუდებელი დახმარება მუშაობას არ წყვეტს. „როგორც კი მოდის გამოძახება, ჩვენ გავდივართ რაიონის ყველა მოშორებულ სოფელშიც კი. საშუალოდ დღეში ათ გამოძახებამდეა ხოლმე. ჩვენ მაქსიმალურად ოპერატიულად გავდივართ და მაცხოვრებლებს პირველ სამედიცინო დახმარებას ვუწევთ. სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის სამინისტრომ ხუთი მანქანა გამოგვიყო, რამაც სასწრაფო დახმარების მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესა. ეს სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი ყურადღების გამოხატულება იყო. მანამდე ჩვენ მხოლოდ ორი ძველი მანქანა გვქონდა,“ – ამბობს ზ. მარგიევი. ხელფასს ექიმები არ უჩივიან, მათი თქმით, მიმდინარე წელს მათ ხელფასები მოუმატეს. ლენინგორის საავადმყოფოს ექიმების ჯგუფმა შარშან რუსეთში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა. ახლა აქ დარწმუნებული არიან, რომ რემონტის დასრულების შემდეგ სამუშაო პირობები გაუმჯობესდება, ხოლო მედპერსონალი ახალ მონყობილობებს მიიღებს.

ლენინგორის რაიონის ყველა პრობლემა ერთი დიდი პრობლემაში იყრის თავს – ცუდია ცხინვალი–ლენინგორის დამაკავშირებელი გზა. ცხინვალიდან ლენინგორში მგზავრობას ოთხი საათი სჭირდება, თუმცა მათ შორის მანძილი მხოლოდ 80 კმ-ია. ტრაქტორის მიერ გადათხრილ გზაზე, გარდა ტვირთმზიდი „კამაზებისა“ და სამხედრო ტრანსპორტისა, ნებისმიერი ტრანსპორტი ტალახში ეფლობა. მანქანა ლენინგორის ტალახიან გზაზე, ღრანტეებისა და ორმოების გავლით, ძალიან ნელა გადაადგილდება. გზა გრძელი, მთიანი, ვიწრო სერპანტინით მიდის. გზადაგზა პატარა სოფლები, მთიანი და ტყიანი ადგილები მოჩანს. თითქმის მთელი გზის გაყოლებაზე არიან მშენებლები; აქვეა საგზაო ტექნიკა, ხრემის ნაყარი და სხვა. სამხრეთ ოსეთში ყველა სამთავრობო თათბირზე აღინიშნება, რომ სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2011 წლის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამის ერთ-ერთ ძირითად პუნქტს წარმოადგენს. პროგრამის განხორციელებაზე რუსეთის ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი 6 მილიარდ 800 მილიონი რუბლის ნახევარზე მეტი გზების მშენებლობას და ყველაზე მასშტაბურ პროექტს – ცხინვალი–ლენინგორის გზის მშენებლობას უნდა მოხმარდეს. გარდა ამისა, დაგეგმილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რომლებიც რაიონის მოშორებულ სოფლებს ერთმანეთთან დააკავშირებს. გზის მშენებლობა დაიწყო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღდგენაზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ. შემდეგ, შარშან, ესტაფეტა „პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის სამხრეთმა დირექციამ“

გადაიბარა. მიმდინარე წელს დამკვეთი ისევ შეიცვალა – გზის მშენებლობის დასრულება სამხრეთ ოსეთის მშენებლობის სამინისტროს მოუწევს. როგორც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კაპიტალური, საგზაო მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრი ჩ. ხუგაევი აღნიშნავს, მშენებლობის ზოგ მონაკვეთზე გამოვლინდა ნორმატივების დარღვევა. კერძოდ, დარღვევებია საყრდენი კედლების აგებისას, რომლებმაც მომავალში მთელ გაყოლებზე გზა ბორცვებიდან ჩამონოლილი ტალახის მენყერებისგან უნდა დაიცვას. მშენებლობის გენერალურ მენარდედ სახელმწიფო უნიტარული საწარმო „დორექსპოსტროი“.

ნათელია, რომ ამ გზას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რაიონსა და რესპუბლიკის დედაქალაქს შორის უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე განწყვეტილი ურთიერთობების განვითარებისთვის. გარდა ამისა, ის ცხინვალის რაიონის უამრავ დასახლებულ პუნქტზე გადის. ახალი, ასფალტდაგებული გზით ცხინვალიდან ლენინგორამდე მგზავრობას დაახლოებით ოთხჯერ ნაკლები დრო დასჭირდება, ანუ დაახლოებით ერთი საათი. რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკისთვის ცხინვალის-ლენინგორის გზას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისთვის.

ახალ დონეზე ცხინვალსა და ლენინგორს შორის არა მხოლოდ კულტურული, საგანმანათლებლო და სხვ. ურთიერთკავშირების განვითარება ხდება შესაძლებელი, არამედ სამეურნეო ხასიათისაც.

რაიონის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს ლუდსახარში ქარხანა, დღევანდელი სახელწოდებით „ალუთონი“⁵². 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ დიდი ხნის მანძილზე გაჩერებული ლუდსახარში ქარხანა კვლავ ამუშავდა და ხელმძღვანელად ჩამოსული სპეციალისტი ი. კარიმოვი დაინიშნა. ქარხანა წარმოების ნორმალურ რეჟიმში გადავიდა, 2009 წლის დეკემბრიდან 2010 წლის აპრილამდე აწარმოა სამი სახეობის 160 ტონა ლუდი – „ალუთონი“, „ჟიგულევსკოე“ და „კარლოვ მოსტი“. ეს პროდუქცია საღებოდა თვითონ ლენინგორში, ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებში. თუმცა პროკურატურის მონაცემებით, ლუდის რეალიზაციიდან მიღებული თანხა — 800 ათასი რუბლი რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის ანგარიშზე არ დაჯდა, რის გამოც 2010 წლის 20 აპრილს ქარხნის ქონებას ყადაღა დაედო, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 160-ე მუხლის მე-4 ნაწილით⁵³ (ქონების მისაკუთრება ან გაფლანგვა) და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით (უკანონო მენარმოება) აღიძრა. როგორც პროკურატურაში აღნიშნეს, საგამოძიებო შემოწმების დაწყებისთანავე ქარხნის მთელი საბუღალტრო დოკუმენტაცია ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად გაქრა. ამჟამად საწარმოში პროდუქცია არ იწარმოება, მაგრამ სამხრეთ ოსეთის გენერალური პროკურატურა მზადაა, როგორც კი რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შეძლებს საწარმოს თავის ბალანსზე აყვანას, ქარხანას მოხსნას ყადაღა და აღადგინოს წარმოება.

ლენინგორის რაიონი საერთაშორისო და სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციების მუდმივი და განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. ლენინგორის რაიონის საკითხი გამუდმებით დაისმის და განიხილება ჟენევის დისკუსიებზე, განიხილება დასავლეთის, ქართულ და სამხრეთ ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებზე. ერთ-ერთი მიზეზი ასეთი განსაკუთრებული ყურადღებისა არის ის, რომ ამ რაიონში ქართველები და ოსები კომპაქტურად სახლობენ. 2009 წლის ზაფხულში ცნობილი ქართველი პოლიტიკოსისა და პოლიტოლოგის – პაატა ზაქარაიშვილის ჩამოსვლამ რაიონში დიდი რეზონანსი გამოიწვია; იგი თავად დარწმუნდა, რომ ლენინგორის რაიონში ქართული მოსახლეობა სინამდვილეში არანაირ შევიწროებას არ განიცდის; სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები თანმიმდევრულად გვარდება, ახალი ადმინისტრაციის საქმიანობა

⁵² ოსური ეროვნული ეპოსის — „ნართიდას“ — მიხედვით, ასე ჰქვია მაგარ სასმელს.

⁵³ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი გამოიყენება.

ნორმალურ მმართველობით რეჟიმში შედის. ამავდროულად, პ. ზაქარეიშვილის ვიზიტთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის პარლამენტში მესაზღვრეების ხელმძღვანელობასთან და ლენინგორის ადმინისტრაციასთან გაჩნდა კითხვები, ხოლო ოფიციალური გაზეთში — „სამხრეთ ოსეთი“ — დაიბეჭდა სტატია, სადაც პ. ზაქარეიშვილის ვიზიტიც და თავადაც, როგორც ქართველ საზოგადო მოღვაწე, უარყოფითად იყო შეფასებული.

2010 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთს ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისარი ეწვია. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ეუთომ, სამხრეთ ოსეთის მიმართ მოღალატური დამოკიდებულების გამო, ხალხში და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ავტორიტეტი სრულად დაკარგა. ამიტომ კ. ვოლბეკის ჩამოსვლაზე თანხმობის მიცემა სამხრეთ ოსეთის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ღია დიალოგის წარმართვაზე კეთილი ნების გამოხატულება იყო. კომისარი შეხვდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამხრეთ ოსეთის ნაციონალურ თემებს, ასევე ეწვია ლენინგორის რაიონს. ვიზიტის შედეგებზე კ. ვოლბეკმა ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოზე ანგარიში წარადგინა. ანგარიშის გაცნობისთანავე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საგანგებო კომენტარის გაკეთება ჩათვალა საჭიროდ, რაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევა⁵⁴. „სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიშში მოყვანილი მრავალი პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის რეალურ ვითარებასთან და შეფასებებთან, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ვიზიტისას მის მიერვე იყო გამოთქმული, – ნათქვამია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. — ბატონმა კ. ვოლბეკმა გამოხატა მადლიერება რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებების მიმართ და არც ერთი სიტყვით არ უხსენებია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთში, როგორც სუვერენულ და აღიარებულ სახელმწიფოში (რომელიც, თუმცადა, ჯერ არაა ეუთოს წევრი), ვიზიტის შესაძლებლობა მას სწორედ ჩვენი სახელმწიფოს ხელისუფლებამ მისცა“. შემდეგ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო კომისრის აღმაშფოთებელი ანგარიშებულობის მტკიცებულებებს წარმოადგენს – ბატონმა ვოლბეკმა აღნიშვნის ღირსად მხოლოდ ცხინვალისა და ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით დანახული ქართული დაცარიელებული სოფლები ჩათვალა და არც ერთი სიტყვით არ უხსენებია ცხინვალში ნანახი ნანგრევები, მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები, მით უფრო, 2008 წლის სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ განხორციელებული ქართული აგრესია, რამაც რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები დააზარალა. არ ითვალისწინებს რა სხვა ეროვნებებს, ანგარიშში ის შემოთავსებს სამხრეთ ოსეთში ქართველების იდენტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გამოთქვამს, მათ შორის — ლენინგორის რაიონში. ანგარიშში არ მოიხსენიება ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთში რვა ქართული სკოლა ფუნქციონირებს, აქედან ექვსი — ლენინგორის რაიონში; არც ის, რომ ამ სკოლებში ბავშვებს აქვთ საშუალება ქართული სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით ისწავლონ. არ არის შემჩნეული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ინიციატივა გაეროს დევნილთა საკითხებზე უმაღლესი კომისრის მეთვალყურეობის ქვეშ ლენინგორის რაიონში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ყველა იმ პირის დაბრუნების მიმართულებით, ვინც საქართველოში გადაადგილებულ პირებად ითვლებიან და წეროვანს აფარებენ თავს. ანგარიშში ასახვა ვერც იმ ფაქტმა ჰპოვა, რომ ლენინგორის რაიონის ამ მაცხოვრებლებს საკუთარ სახლებში ჩამოსვლისა და მიწის ნაკვეთების დამუშავების შესაძლებლობა აქვთ. არაფერია ნათქვამი რუსეთის მიერ ლენინგორის რაიონში განხორციელებულ ჰუმანიტარულ აქციებზე (მათ შორის — ჯანდაცვის სფეროში). ანგარიშში გამოთქმულია შემოთავაზება საზღვარზე გადაადგილების თავისუფლების გამო (თუმცა დღემდე რეალობაში არაა ნახსენები), მაგრამ არ

⁵⁴ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ ეუთოს ეროვნული უმცირესობების საკითხებში უმაღლესი კომისრის კნუტ ვოლბეკის ანგარიშთან დაკავშირებით// სამხრეთ ოსეთი. 27.10.2011.

ზუსტდება, რომ გადაადგილებასა და ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით სირთულეებს არა სამხრეთ ოსეთის, არამედ საქართველოს ხელისუფლება ქმნის (რაც თავის თავზე ბატონმა ვოლბეკმაც გამოსცადა). სამხრეთ ოსეთში განსაკუთრებული გულისწყრომა ოსების პრობლემისადმი კ. ვოლბეკის მიდგომამ გამოიწვია: ნაციონალური უმცირესობების პრობლემების მიმართ შერჩევით მიდგომად შეფასებულია ის, რომ ანგარიშში არაფერია ნათქვამი არა მხოლოდ საქართველოდან განდევნილი ოსების შესახებ, არამედ ამჟამად საქართველოში მცხოვრები ოსების პრობლემების შესახებაც, თუმცა ცხინვალში ბატონ ვოლბეკს საქართველოში მცხოვრები ოსების უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი წარუდგინეს. მან თვითონაც აღნიშნა, რომ კახეთის ზონიდან ოსებისგან ბევრი საჩივარი მიიღო. ირონიტაა ციტირებული კ. ვოლბეკის სიტყვები, რომლებიც „სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო წარმომადგენლობის“ თაობაზე დაჟინებულ მოთხოვნებს იმეორებს.

ამრიგად, ლენინგორის რაიონი ცხოვრების ახალ ფაზაში შევიდა, რომლის პირობებიც იმ გარემოებებით განისაზღვრება, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარებისა და ახლადაღიარებულ სახელმწიფოში მასშტაბური აღდგენითი პროგრამებისა და განვითარების პროგრამების განხორციელების შემდეგ ჩამოყალიბდა. რაც შეეხება საქართველოსთან ურთიერთობებს, ლენინგორის რაიონის სასაზღვრო საკითხებს, სამხრეთ ოსეთის მხარე, პირველ რიგში, ამ რაიონის მაცხოვრებლების ინტერესებიდან გამომდინარე გადანყვეტს.